შემძლებელთა ჩუენსა უმეტეს რასმე ხედვად არა თავს-ვიდებთ შეუწევნელად დატევებასა; ამისთვის აღმწერელყოფად მოვიყვანენით თავნი ჩუენნი. ქოლო არარას ახლის-მეტყუელება-სა კადნიერ ვიქმნებით, გარნა უწულილესადრე ოდენ ნაწილ-ნაწილთა და კერძოთა გამოძიებად ველ-ვჭყოფთ განრჩევითა და გამოცხადებითა შემოკლებულად თქუემულთა ნამდვლვე ტაძრისა იმრთისა **სეროთეოსისთაათა**.

თაჳი ლ:

სახიმრამისათჳს, ნათლისათჳს, ხეთილისათჳს, ერშიაღმისათჳს, ჴანაჴრამისათჳს, ყჳრისათჳს; ლა ჳითარამელ ბორბოტი არას წრს არს, არსა არსისაბან, არსა არსთა შორის

1. შოვედ უკუე აწ და თვთ მის სახიერების სახელისა სიტყჳსა მივიწინეთ, რომელსა-იგი უპირატესად დიდნი იმრთის-მეტყუელნი ზეშთაღმერთთასა იმრთეებასა განუკუთნებენ და ყოველთაგან ზეშთა-ალამაღლებენ. ჴამეთუ ვითარ ვჭგონებ, თვთ იმერთ-მთავრობითსა მას მყოფობასა სახიერება უწოდენ და ვითარმედ სახიერ-ყოფასა, ვითარცა არსებითი სახიერება, ყოველთა არსთა ზედა იგი განჭფენს სახიერებით. ჴამეთუ ვითარცა ხილული ესე ჩუენგან მზე არა განიზრახავს, არცა წინა-აღირჩევს რასმე, არამედ თვთ ბუნებით განმანათლებელ არს ყოველთა ძალისაებრ მიძლებელთა ნათლისაგან მისისა, ვერეთვე უზეშთაეს მზისა, თვთ ბუნებითი იგი სახიერებაჳ პირმშოლსა მის სახისაგან ყოველთა მიმართ განფენისა სახიერებათა ძჳსთაჳსა კნინ-ოდენად წულილად და მცირედ სახედ აჩუენებს ხილულსა ამას მზესა ყოველთა ზედა განფენისათჳს შარავანდედთაჳს.

წმათ სახიერების განფენათა შისთა მიერ დაებადნეს ყოველნი საცნაურნი და მცნობელნი არსებანი და ძალნი და მოქმედებანი. წმიერ არიან და ცხოველ არიან და ცხოვრებაჳ აქუს მოუკლებელი და შეუმრღუეველი ყოვლისავე ხრწნილებისა და სიკუდილისა და ნივთისა და შობისაგან განწმედლი, და დაუჴყრობელობისა და მდინარეობისა და სხვთი-სხუად მიმოვრდომითისა შეცვალებისა ზეშთაქმნული. ოა ვითარცა უჴორცონი და უნივთონი იცნობებიან და ვითარცა გონებანი ზეშთასოფლისა სცნობენ; და თავისა თჳსისა შორის განაბრწყინებენ სიტყუასა არსთა გულისჴმის-ყოფისაჳ; და კუალად შემდგომთაჳს თანა-მონათესავეთა თჳსთა დასთა მიმართ მიანვეენ გულისჴმის-ყოფა-

სა მას; და სახიერებისაგან იმრთისა აქუს სიმტკიცე დგომისაჳ; და მის მიერ არს დამყარებაჳ მათი და შემოკრებაჳ და ცვაჳ და ურთიერთარს ერთბამობაჳ ხეთილსა შინა შისსა სურის და შისგან აქუს ყოფაჳცა და კეთილ-ყოფაჳცა; და, რაოდენ ძალ-უც, მსგავსებისა შისისა მიმართ დაჴსახვენ თავთა თჳსთა, ვინაჳცა ხეთილის სახე არიან და შემდგომთაჳს მათთა იზიარებენ, ვითარცა საღმრთოჳ მჴულის-დებაჳ მოგვთხრობს. ჴამეთუ მათდა მიმართ მიწვეწულთა ნიჭთა ხეთილისაგან სხუათაჳსა განუყოფენ.

2. წმიერ არიან მათნი ზეშთასოფლისა წესნი, ერთობანი თავთა თჳსთა მიმართ, დატევენანი ურთიერთას, შეურევნელნი განყოფანი, უზეშთაესთა მიმართ აღსლვისა ძალნი უდარესთანი, მეორეთა მიმართ განმგებელობანი უპირატესთანი, თჳსისა ძალისა მიმართ ცვანი თითოეულისანი, ურთიერთას დატევენანი შეურევნელი, იგივეობანი და მწუერვალობანი სურვილისა მიმართ კეთილისა და სხუაჳ, რაოდენი-რაჳ თქუემულ არს ჩუენ მიერ «თვთებათათჳს და წესთა ანგელოზებრთაჳ» აღწერილსა შინა.

ოა კუალად რაოდენი გვთქუამს ზეცისა მღდელთ-მთავრობისა თავთა შინა: ანგელოზ-შუენიერნი განწმედანი, ზეშთასოფლისა განათლებანი და სრულყოფანი ყოვლისა ანგელოზებრივისა სრულებისანი. ჴამეთუ ესე ყოველი აქუს მათ ყოველთა მიზეზისაგან და წყაროსა სახიერებისაჳსა, ვინაჳ-იგი მიენიჭა მათ სახიერების სახეობაჳ და საიდუმლოჳსა მის სახიერებისა თავთა შორის თჳსთა გამომაჩინებელობაჳ და ანგელოზ-ყოფაჳ, ვითარცა მომთხრობელთა საღმრთოჳსა დუმილისათა და ვითარცა ნათელთ-სა-

ჩინოებით შემოსილთა გამომთარგმნელთა შეუ-  
ვალთა დაფარულთასა.

სრამედ ამათ დიდთა და წმიდათა გონებათა  
შემდგომად არიან სულნი და რაოდენი-რად არს  
სახიერებად სულთად, მონიჭებული ზემთასახი-  
ერებათა სახიერებისაგან. ჩამეთუ ამათცა შის  
მიერვე მოენიჭების და არიან საცნაურ. ნა აქუს  
არსებით ცხორებად შეუმრლუეველი თვთ მით  
სამარადისოდ მყოფობითა და ანგელოზებრსა  
ცხორებასა მობაძავ-ყოფად შემძლებლობითა.  
ჩამეთუ მათ მიერ, ვითარცა კეთილთა წინამძ-  
ლუართა, ყოველთა კეთილთა ზეთილთ-დასა-  
ბამისა მიმართ აღიყვანებიან და მის მიერ აღ-  
მომდინარეთა ბრწყინვალებათა ძალისაებრ თვ-  
სისა მიიღებენ და სახიერების სახეთა ნიჭთა,  
რაოდენ ძალ-უც, შეინყნარებენ და სხუად, რა-  
ოდენი რად ჩუენ მიერ «სულისათვს» თქუთულთა  
შინა აღრაცხულ არს.

სმათ თანა უკუეთუ ნამდვლვე თვთ მათ-  
თვსცა ჯერ-არს თქუმად, პირუტყუთა ანუ ცხ-  
ოველთა სულებისა რაოდენი არს ჰაერისა გან-  
მკუეთელ და რაოდენი ქუეყანასა ზედა მავალ  
და რაოდენი ქუეყანასა ქუეშე დამალულად და  
დაფლულად ცხორებს და რაოდენი არს ქუეყ-  
ანასა ზედა მეთრევე და რაოდენი ზღუათა შინა  
მცურვალ, რაოდენი წყალთა შინა ცხოვლობს  
და რაოდენი ორ-ცხოვლობს; და ერთბამად ყოვ-  
ელთა, რაოდენთა გრძნობადი აქუს სული ანუ  
ცხორებად – ესე ყოველნი სახიერებისაგანვე სუ-  
ლიერ და ცხოველ არიან. ნა ნერგათცა ყოველ-  
თა სახიერებისაგანვე აქუს ცხორებად მოძრავო-  
ბითი და მოზარდობითი. ნა რაოდენნი უსულო  
და უცხოველო არსება არიან, სახიერებისაგანვე  
არიან და შის მიერ არსებითისა წესისა ქონებასა  
ხუედრებულ არიან.

3. **ქოლო უკუეთუ ზემთა ყოველთა არსთა**  
არს სახიერებად (ვითარ-იგი არსცა ჭემმარიტ-  
ად), და უსახოსაცა სახოვან ჰყოფს მხოლოდ  
თავსა შორის ძუსსა, და არაარსსა არს ექმნების  
ზეშთააღმატებულად, და უცხოველოსა შეზ-  
თა-ექმნების ცხორებად, და უგონებოსა ზემთა-  
ჰმატს სიბრძნე და სხუად ყოველი, რაოდენი არს  
სახიერებისა შორის ზემთა ბუნებისა სახე-ყოფად  
უსახოთად. ნა ჯერ-არს თუ თქუმად, ვითარმედ  
სახიერებისა მიმართ ზემთა ყოველთა არსთაჲსა  
თვთ მას არაარსსაცა სურის და იბრძოლების  
ვითამე ზეთილისა მიმართ, რადთა იგიცა იქმნეს  
ნამდვლვე ზემთაარსებისა კერძოხსაგანად ყოვ-

ელთაგან განკუთნვილად თვსაგან.

4. **სრამედ რომელი-იგი შუვა-დაშთომით გან-**  
მეველთა ჩუენ, ხეცისათა მათცა დასაბამთა და  
შესრულებათა მიზეზ იგივე ბუნებითი სახიერე-  
ბად არს აღუორძინებელისა და მოუკლებელი-  
სა და ყოვლად დაუქსნელისა არსებისა მათისა  
და, ჯერ-არს თუ თქუმად, ყოვლად დიდთა მათ  
დაუბგერებელთა ცის-მავალობათა მათთად და  
ვარსკულავთა წესიერებისა და შუენიერებისა,  
ნათლისა და სიმტკიცისა და რომელთამე ვარ-  
სკულავთა მიმოქცევადისა მრავალ მოძრავობი-  
სად და ორთა მათ მნათობთა, რომელთა სიტყუ-  
ად დიდად უწოდს(შესქ.1,16), მათგანვეობისაგან,  
მათდა მიმართვე მოქცევისა და კუალად გებისა,  
რომელთა მიერ ჩუენ შორისნი ესე დღენი და  
ღამენი განისაზღვრებიან და თუენი და წელი-  
ნადნი აღირიცხუვიან, განუჩინონ რად წელი-  
ნადსა და წელინადთა შინათა მომრგულებითი  
მოძრავობად და განჰზომენ და განანესებენ და  
შემოჰკრებენ მათ(გამს.თ.1).

ჩაა-მე ვინ თქუას მისთვსვე და მას ზედავე  
ხილულთა მზისა შარავანდედთათვს? რამეთუ  
სახიერებისაგან არს ნათელი და სახე არს სახ-  
იერებისა. სმისთვს ნათელთ-სახელობით იგა-  
ლობების სახიერებად, რომელმან მზისა შორის,  
ვითარცა სახისა შორის, აჩუენა პირმშოჲ ხატი  
თვსი. ჩამეთუ ვითარცა-იგი ყოველთა მიერ  
კერძოხსა იმრთეებისა სახიერებად, უზენაესთა  
მათ და უმოხუცებულესთა არსებათაგან ინყებს  
და ვიდრე უკუანაჲსკენლთადმდე მიინვეის. ნა  
ზეშთა მათ ყოველთა არს, რამეთუ ვერცა ზე-  
ნანი მისწუთებიან სიმაღლესა შისსა, ვერცა  
ქუენანი გარეგან ექმნებიან გარე-შეუნერელო-  
ბასა და ყოველთა გარე-შემცველობასა შისსა,  
არამედ განანათლებს ყოველთა შემძლებელთა  
ნათლისა დატევისათა, დაჰბადებს და ცხოვ-  
ელ-ჰყოფს, იპყრობს და სრულ-ჰყოფს. ნა საზომ  
არს არსთა და რიცხუ, და საუკუნე და წეს და  
გარე შემცველ და მიზეზ და დასასრულ.

უგრეთვე სახიერებისა იმრთისა საჩინოჲ სახე,  
დიდი ესე და ყოვლად მბრწყინვალე და მარადის  
მნათობი მზე, მრავალ-სასმენელობისაგანი ნე-  
შტილა არს წმისა სახიერებისა; და ყოველსავე  
განანათლებს, რაოდენსა ძალ-უც მიღებად ნათ-  
ლისა მისისა, და ზემთა ყოველთა განფენილად  
აქუს ნათელი თვსი. სმისთვს ყოველსავე ზედა  
ხილულსა გარდაჰფენს და ზედა-ქუე მიანვეს  
ბრწყინვალეებასა თვსთა შარავანდედთასა. ქო-

ლო რომელი რა ვერ მიიღებს ნათელსა მისსა, ესე არა უძღურებისა არს, არცა სიმცირისა ნათელთ-მიმცემლობისა მისისა, არამედ უმარჯობისაგან ნათელთ-მიმღებელთაგან, რომელთა ვერ განიმარტეს მიღებად ნათლისა. <sup>5</sup> ღინაცა მრავალთა უმარჯობისა მქონებელთა თანა-წარჰყდა შარავანდედი და შემდგომნი მათნი განანათლნა. <sup>10</sup> თა არცა ერთი არს ხილულთაგანი, სადა-იგი არა მიიწვევის ზეშთაგარდარეულითა სიდიდითა თვსთა ბრწყინვალეობათა. <sup>15</sup> თა ქმნასაცა გრძობადთა გუამთასა თანა-შეეზავების და ცხოველობისა მიმართ ძრავს მათ და ზრდის, აღაორძინებს და სრულ ჰყოფს, განსწმედს და განაახლებს.

თა საზომი არს და რიცხვ ჟამთა დღეთაგან და ყოვლისავე წელიწადთა ჩუენთა მოქცევისა და ხილული ესე ნათელი, რამეთუ თვთ ესე მზე არს ნათელი, დაღაცათუ დასაბამსა მას მაშინ სოფლის შესაქმნისასა დაუსახველ იყო, ვითარცა იტყვს საკრველი **შოსე**, და თვთ მაშინდელსა მას დასაბამისასა განასაზღვრებდა დღეთა ჩუენთა სამობასა(მესქ.1,3-13); და ვითარცა ყოველსავე თავისა მიმართ ძვსისა მოაქცევს სახიერება; და დასაბამ შემოკრებისა არს განბნეულთა, ვითარცა ერთ-მთავრობითი და ერთ-მყოფელი <sup>25</sup> იმრთეება; და ყოველსავე შისსა მიმართ სურის, ვითარცა დასაბამისა და შემომკრებელისა და აღსასრულისა; და, ვითარცა სიტყუანი **ქერილთანი** იტყვან, სახიერება არს, ჯომლისაგან ყოველი დაიბადა და არს, ვითარცა მიზეზისაგან <sup>30</sup> ყოველთა მომყვანებელისა, და ჯომლისა შორის ყოველი შემოკრებულ არს, ვითარცა ყოველთა მპყრობელობითითა ზღუდითა გარე-შეზღუდვილნი და შეცვულნი; და ჯომლისა მიმართ ყოველნი მიიქცევიან, ვითარცა თვსისა თითოეულისა მათისა აღსასრულისა, და რომლისა სურის ყოველთა: საცნაურთა უკუე და სიტყუერთა – <sup>35</sup> მეცნიერებით, ხოლო გრძობადთა – გრძობადობით, და უნანილოთა გრძობისაგან – მათ შორის დანერგულითა მით აღძრვითა ცხოველობისა სურვილისაგან, ხოლო უცხოველობითა და მხოლოდ არსთა ოდენ – მხოლოდ არსებითითა ოდენ სიმარჯვსა მიმღებელობითა.

წმითვე საჩინოვსა ხატისა სახის მსგავსებითა ნათელიცა ესე შემოჰკრებს და მოაქცევს <sup>45</sup> თავისა მომართ თვსისა ყოველთავე მხედველთა მისთა, მოძრავთა და განათლებადთა და განტფობადთა, ყოველთა მისვე და ერთისა შარავანდედთა მისთა ბრწყინვალეებისა შორის

შემოკრებად, ვინაცა მზე ენოდების, რამეთუ ყოველთა მის ქუემე შემოკრებულ ჰყოფს და შეაერთებს განბნეულებსაგან. <sup>5</sup> თა ყოველთა გრძობადთა მისსა მიმართ სურის, ანუ ვითარცა ხედვისათვს, ანუ ვითარცა ძრვისა და განათლებისა და განტფობისათვს და ყოველად მას შინა პყრობისათვს სურვიელთა მათ ნათლისათა. <sup>10</sup> წმას ყოველსა ზედა არა ვიტყვ მე ძუელეზრისა მისებრ სიტყვსა, ვითარმედ იმერთ არს მზე და, ვითარცა დამბადებელი ამის ყოვლისა, თვთებით მოიხილავს ხილულსა ამას სოფელსა, არამედ ამას ვიტყვ, ვითარმედ: «უხილავნი იგი <sup>15</sup> იმრთისანი დაბადებით სოფლისაგან ქმნულთა მათ შორის საცნაურად იხილვებიან, სამარადისოა იგი ძალი შისი და იმრთეება»(რომ.1,20). <sup>20</sup> წრამედ ესე ჩუენ «სახის-მეტყუელებითა იმრთის-მეტყუელებასა» შინა გვთქუამს.

5. **ქოლო ან საცნაური იგი სახიერებისა ნათელთ-სახელობად იგალობებოდენ ჩუენგან და ითქუემოდენ, ვითარმედ ნათელ საცნაურ სახიერებასა ენოდების, რამეთუ ყოველივე ზემთაცათა გონება ალსავსე არს საცნაურითა ნათელითა.** <sup>25</sup> თა ყოველივე უმეცრებად და საცთური განიჯადების ყოველთაგან სულთა, რომელთაცა შინა შევიდეს იგი, რამეთუ ყოველსავე ნათელთ-სიდიდესა მისცემს მათ და საცნაურთა მათ თუალთა მათთა განსწმედს ზედამდებარისაგან მათდა უმეცრებისა არმურისა, რამეთუ <sup>30</sup> აღსძრავს და განაფრთხობს ფრიადითა სიმძიმითა ბნელისაგან დაწუხვილთა. <sup>35</sup> თა მისცემს მათ პირველად უკუე ნათელსა ზომიერსა. <sup>40</sup> თა ესრეთ მათ გემოდ რად იხილონ ნათლისა მის და უმეტესად სუროდის, მაშინ უსრულესადრე მისცემს მათ თავსა თვსსა და უმეტესად გამოუბრწყინდების, «რამეთუ შეიყუარეს ფრიად»(ლკ.7,47). <sup>45</sup> თა მარადის ნამართ აღხილულ ჰყოფს მათ შემსგავსებულად მათისა თვთ გულს-მოდგინებით აღხილვისა.

6. **ნათელ უკუე საცნაურ ითქუმის ზეშთა ყოვლისა ნათლისა იგი სახიერება, ვითარცა წყაროდ შარავანდედთა და ზეშთააღმომდინარე ნათელთ-განფენად, რომელი ყოველთა ზემთა-<sup>50</sup> სოფლისათა და სოფლისა ზედათა და სოფლისა შინათა გონებათა სავსებისაგან ძვსისა განაბრწყინვებს და ყოველთა მათ საცნაურთა ძალთა მათთა განაახლებს, ყოველთა გარე-შეიცავს ზემთაგანფენითა და ყოველთა უზეშთავს**



არს ზეშთააღმატებითა. ოა ერთბამად ყოვლისა განათლებითისა ძალისა ოფლებად თავსა შორის ძვსსა შემოკრებულად აქუს ზეშთაქონებით და წინადათვე ქონებით, ვითარცა ნათელთ-და-საბამსა, უზეშთაესსა ნათელთასა და საცნაურთა და სიტყვერთა ყოველთა შემოჰკრებს და ერთ-გუამ ჰყოფს. ჰამეთუ ვითარცა უმეცრებად განმწვალებელი არს შეცთომილთაჲ, ეგრეთვე საცნაურისა მის ნათლისა მოსლვად შემკრებელი და შემაერთებელი და სრულ-მყოფელი არს განათლებულთაჲ. ომას თანა მომაქცეველიცა არს არსისა მიმართ, რომლისა მოაქცევს მრავალ სახეთაგან მოგონებათა და თითო-ფერთა ჩუენებათა, გინა თუ უსაკუთრეს არს თქუმად, ვითარმედ ოცნებათა და შემოჰკრებს ერთისა მიმართ ჭემმარიტისა და წმიდისა და ერთ-სახისა მეცნიერებისა და აღავსებს ერთითა ერთ-მყოფელითა ნათლითა.

7. ოსრეთ იქების სახიერებად დიდთა იმრთის-მეტყუელთა მიერ, ვითარცა ჰეთილი და ვითარცა სიკეთე, ვითარცა სიყუარული და ვითარცა საყუარელი და რაოდენნი რაჲ სხუანი არიან კეთილად შუენიერნი კეთილ-მყოფელისა და სახარულეგანისა შუენიერებისა იმრთის სახელნი. ოლო სახელნი ესე ჰეთილისა და სიკეთისანი არა განყოფილად სათქუმელ არიან ერთისა მის ზედა ყოველთა შემომკრებელისა მიზეზისა. ჰამეთუ ესენი საცნაურთა ყოველთა ზედა მისაღებელთა და მიმღებელთა მიმართ განიყოფვიან. ჰამეთუ კეთილ-ყოფად ვიტყვთ მიმღებელთა ჰეთილისათა, ხოლო თვთ სიკეთედ მისაღებლობათა კეთილთ-მოქმედისა ყოველთა კეთილთა შიზეზისათა. ოლო ზეშთარსებისა იგი ჰეთილი სიკეთედ უკუე ითქუმის მის მიერისა მისთვს ყოველთა არსთა თვსსა თითოეულისასა სიკეთესა მიმცემელობისა და ვითარცა ყოველთა ჰეთილად შეწყობილებისა და შუენიერებისა შიზეზისა. ჰამეთუ მსგავსად ნათლისა ყოველთა ზედა აღმობრწყინვებულისა მისცემს ყოველთა შარავანდელსა კეთილთ-მოქმედებისა ძვსისა წყაროვსასა და ყოველთა თავისა მიმართ ძვსისა მიუწოდს (ვინაჲცა სიკეთედ ითქუმის) და ყოვლად ყოველთა შორის განფენითა თავისა ძვსისა მიმართ შემოჰკრებს ყოველთა. ოლო ჰეთილ არს, ვითარცა ყოვლად ჰეთილი და თანად ზეშთა ყოველთა კეთილთა მარადის არსი მასვე ზედა სიკეთისა მასვეობასა. «ოა არცაღა რას მოიპოებს, არცა წარსწყმედს,

არცა აღორძნების, არცა მოაკლდების, არცა ამით რაჲთმე ჰეთილ არს და იმით რაჲთმე არა ჰეთილ, არცა ოდესმე არს და ოდესმე არა არს, არცა ვიეთმე მიმართ ჰეთილ არს და ვიეთმე მიმართ ძვრ, არცა აქა სადმე ოდენ არს და იქი სადმე არა, ვითარმცა ვიეთმე მიმართ სახიერ იყო და ვიეთმე მიმართ არა სახიერ»(პლატონი, ნადიმი, სიტ.211).

ორამედ ვითარცა-იგი არს მასვე ზედა თავსა შინა ძვსსა, მარადის ერთ-სახედ ჰეთილ არს და ვითარცა ყოვლისა კეთილთა წყაროვსა სიკეთისა თავსა შორის ძვსსა, ზეშთააღმატებულად წინადათვე მქონებელ არს. ჰამეთუ მარტივისა და ზეშთაბუნებისა ყოველთა კეთილთა ბუნებისა შორის ყოველივე სიკეთე და ყოველი კეთილი ერთ-სახეობით და მიზეზობით წინადათვე მყოფ არს. ჰამეთუ ამის ჰეთილისაგან აქუს ყოველთა არსთა თვთ მისითავე სიტყვთა თითოეულსა კეთილ-ყოფად და ჰეთილისა მიერ არიან ყოველნი შემოკრებანი და მეგობრობანი და ზიარებანი.

ჰეთილისა მიერ შეიერთა ყოველი და ჯი მთავრობს ყოველთა ჰეთილთა ზედა, ვითარცა მიზეზი და მძრველი შემოქმედებითი და შემომკრებელი ყოვლისაჲვე თვსისა სიკეთისა ტრფიალებითა და ოასასრული ყოველთაჲ და საყუარელი, ვითარცა სრულებითი მიზეზი (რამეთუ ჰეთილისა ძლით შეიქმნა ყოველი) და სახის შემოღებითი. ჰამეთუ შას განეკუთნვის ყოველი, ვინაჲცა იგივე არს და ერთ სახიერისათვს ჰეთილ სახელ-დებადცა. ჰამეთუ ჰეთილისა და სახიერებისა მიმართ სურის ყოველთა ყოველსავე ზედა მიზეზსა და არარაჲ არს არსთაგანი, რომელი არა მიიღებს რასმე ჰეთილისა და სახიერებისაგან. ოკადროს ამისიცა თქუმაჲ სიტყუამან, ვითარმედ არა-არსიცა მიიღებს ჰეთილისა და სახიერებისაგან. ჰამეთუ მაშინღა ერთ არს ჰეთილი და სახიერი, რაჲამს იმრთისათვს ყოველთაგან აღმატებით ზეშთაარსებისა იგალობებოდის. ოსე ერთი სახიერებაჲ და სიკეთე ერთობითი არს ყოველთა და მრავალთა ჰეთილთა მიზეზისაჲ შისი.

ომისგან არიან ყოველნი არსთა არსებითნი გუამოვნებანი, ერთობანი, განყოფანი, იგივეობანი, სხუაობანი, მსგავსებანი, უმსგავსოებანი, ზიარებანი წინააღმდეგობთანი, შეურევნელობანი შეერთებულთანი, წინა-განმგებლობანი უზეშთაესთანი, ერთბამობანი თანა-მონივეთანი, მოქცევანი უდარესთანი, ყოველთანი იგი თავთა თვსთა მდგმოობანი და დამყარებანი და კუალად

ყოველთანი ყოველსა შინა განკუთვნილად თითოეულისა ზიარებანი და შეტყუებანი, და შეურეგნელნი მეგობრობანი და შეწყობილებანი ყოვლისანი შეზავებასა შინა ყოვლისასა, დაუწყსნელნი შემოკრებანი არსთანი, მოუკლებელნი მიმღებელობანი ქმნადთანი, ყოველნივე ძრვანი და დგომანი გონებათანი, სულთანი, გუამათანი. ჯამეთუ დგომა და ძრვა ყოვლისა არს უზეშთაესი იგი ყოვლისა დგომისა და ყოვლისა ძრვისა, ჯომელი დაამყარებს ყოველსა სიტყვთა წამის-ყოფისა წესისადათა და ძრავს თვსად საკუთრად თითოეულისა მოძრავობისა.

8. წმისთვის მოძრავობად ითქუმის წმიდათა მათ გონებათად მომრგულებითად უკუე, რამეთუ შეერთებულ არიან დაუსაბამოთა მათ და დაუსრულებელთა გამობრწყინვებათა ზეთილისა და სახიერისათა; ხოლო მართებითად, რაჟამს განვიდენ წინა-განმგებელობისა მიმართ უდარესთადასა და მართლ განვლენ ყოველნი; ხოლო იკანკლედობითად, რამეთუ რაჟამს ილუნიდენ უდარესთათვს, განუწყებლადვე ჰგიან მასვეობასა შინა იგივეობისა მიზეზისასა და მოუკლებელად იშუებენ ზეთილსა შინა და სახიერებასა.

9. ნა სულისადაცა მოძრავობად მომრგულებითი არს, თავისავე მომართ თვისსა შემომავლობად გარეგანთაგან და საცნაურთა ძალთა მისთა ერთ-სახეობითი იგი შემოკრებად, ვითარცა სიმრგულისა რადაგანმე უცთომელობისა მომნიჭებელი მისი და მრავალთა მათგან გარეშეობათა მომაქცეველი და პირველად თავისავე თვისსა მომართ შემომკრებელი. წმისსა შემდგომად, ვითარცა ერთსახე ქმნული, ერთობითად შეაერთებს ძალითა შეერთებისადათა და ესრეთ ზეთილისა მიმართ და სახიერებისა ჯელ-პყრობით უძღვს ზეშთა ყოველთა არსთადასა მიმართ და ერთისა და დაუსაბამოსა და დაუსრულებელისა.

ხოლო იკანკლედობითად ესრეთ იძრვის სული, რაოდენცა თვსად განსაკუთრებითა საღმრთოსა მეცნიერებისადათა განბრწყინდებოდის არა საცნაურად და ერთობითად, არამედ სიტყვურად და განფენითად და რეცა შერევნითად და მიმოცვალებისა მოქმედებითად.

ხოლო მართებითი სლვად სულისადა არს, რაჟამს არა თავსა შინა თვისსა შემოვიდოდის და ერთობითად საცნაურებად აღიძრვოდის (რამეთუ ესე, ვითარცა პირველ ვთქუ, მომრ-

გულებითი ძრვად არს), არამედ რაჟამს თვსთა მიმართ განვიდოდის და გარეშეთა მათგან, ვითარცა სახეთა რათმე მრავალფერ-ქმნულთა და განმრავლებულთა მარტივთა მიმართ და შეერთებულთა ხედვათა აღვიდოდის.

10. უსევე ზეთილი და სახიერებად გრძნობად-თაცა ამათ ყოველთა სამ მოძრავობისა და ფრიად უპირატეს ამათსა თითოეულთა მათთა დავანებათა და დგომათა და დამყარებათა მიზეზ არს და შემომკრებელ და დასასრულ ზეშთა ყოვლისა დგომისა და მოძრავობისა, ვინადაცა ყოველი დგომად და ძრვად შისგან და შის ძლით და შის მიერ და შისსა მიმართ არს. ჯამეთუ შისგან და შის მიერ არს ყოველთა ყოველი არსებად და ცხორებად და გონებისა და სულისა და ყოვლისა ბუნებისა სიმცირენი, სისწორენი, სიდიდენი და საზომნი ყოველთანი, შეტყუებელობანი და შეწყობილებანი და შეზავებულებანი არსთანი, ყოვლობანი და კერძობანი, ყოველი ერთი და სიმრავლე, საკრველნი ნაწილთანი, ერთობად ყოვლისა სიმრავლისა, სრულებანი ყოვლობათანი, რომელთანი, რავდენთანი, რაბამთანი, ურიცხეთანი, თანა-შეტყუებანი, განრჩევანი, ყოველი მიუნდომელობად, ყოველი მისანდომელობად, ყოველნივე საზღვარნი, წესნი, მთავრობანი, ნივთნი, სახენი, ყოველი არსებად, ყოველი ძალი, ყოველი მოქმედებად, ყოველი წესი, ყოველი გრძნობად, ყოველი სიტყუად, ყოველი მოგონებად, ყოველი შეხებად, ყოველი ჯელოვნებად, ყოველი შეერთებად და ერთბამად ყოველი, რომელი არს ზეთილისა და სახიერებისაგან და ზეთილსა შინა და სახიერებასა და მიიქცევის ზეთილისა მიმართ და სახიერებისა.

ნა ყოველი, რაოდენი არს და იქმნების, ზეთილისათვს და სახიერებისა არს და იქმნების და შისსა მიმართ ხედავს ყოველი და შის მიერ იძრვის და იპყრობების; და შის ძლით და შისგან და შის შორის არს ყოველი დასაბამი იგავითი, სრულებითი, მოქმედებითი, თვთებითი, შენივთებითი და ზოგად ყოველი დასაბამი, ყოველი პყრობად, ყოველი დასასრული; და რაათა შემოკრებულად ვთქუა: ყოველნი არსნი ზეთილისაგან არიან და სახიერებისა, და ყოველნი არაარსნი ზეშთაარსებისა ზეთილსა შინა არიან და სახიერებასა. ნა ჯგი არს ყოველთა დასაბამ და დასასრულ ზეშთადასაბამისა და ზეშთადასასრულისა, «რამეთუ შისგან და შის ძლით და შის შორის და შისსა მიმართ არს

ყოველი»(რომ.11,36), ვითარცა იტყვს სიტყუადა განწმენილი.

ყოველთათვის უკუე სანადელ და სასურველ და საყუარელ არს ზეთილი და სახიერებაჲ. ნა შისთვს და შისსა მიმართ ტრფიალ არიან უდარესნი უმაღლესთა მიმართ მიქცევით და ზიარებით, თანა-მონივთენი თანა-მოდასეთა თანა და უმაღლესნი უდარესთა მიმართ წინა-განმგებელობით და თვთ თავთა თვსთა მიმართ თითოეული შემოკრებით. ნა ყოველთა ზეთილისა და სახიერებისა მოსურნეთათვს იქმს და ჰნებავს ყოველი, რაოდენთა იქმს და ჰნებავს. ზადნიერ იქმნეს სიტყუაჲ ჭეშმარიტი ამისსაცა თქუმად, ვითარმედ ჴვთ შასცა ყოველთა მიზეზსა სახიერებისა გარდამატებულეებითა ჰსურის ყოველთა მიმართ, ყოველსავე ჰყოფს, ყოველსავე სრულ ჰყოფს, ყოველსავე იპყრობს, ყოველსავე მოაქცევს. ნა არს საღმრთოთაცა ღრფიალებაჲ ზეთილ ზეთილისა მიერ ზეთილის-ყოფისათვს. ჴამეთუ თვთ იგი ზეთილის მოქმედი არსთა ტრფიალებაჲ სახიერებისა შორის ზემთაღმატებით წინაბთვე იყო, რომელი-იგი არა უტევა შან უშობელად თავსა შორის ჴვსსა ყოფად, არამედ აღძრა იგი მოქმედების ყოფად ყოველთავე მოქმედებისა აღმატებულეებითა.

11. ნა ნუმცა ვინ გარეგან საღმრთოთა სიტყუათა ჰგონებს ჩუენ მიერ მსახურ-ყოფასა ღრფიალების მოსახელეობისასა. ჴამეთუ არს იგი, ვითარ-ესე უწყით, პირუტყულიცა და უჯეროჲ. ოკუეთუ ვინმე არა ძალსა საქმისასა მიხედვიდეს, არამედ მხოლოდ სიტყუათა ოდენ, რომელი-ესე არა თვს ეყვის მნებებელთა საღმრთოდ გულისწმის-ყოფისათა, არამედ მათ, რომელნი წულილადთა წმათა მიითუალეიდენ და მათცა, ვიდრე გარეშეთა ყურთამდე ოდენ დააყენებდენ არღარა მიშუებითა მათისა სიღრმედ სულისა შემავალეობისადათა და არა მნებებელობითა განცდისადათა, თუ რასა მოასწავებს ესე სიტყუაჲ, ანუ თუ ვითარ ჯერ-არს ამისი სხვთა ერთ-ძალითა და უსაჩინოესებითა სიტყვთა თარგმანებაჲ. წმისთვს უგუზურებით ეკუეთებიან ასოებსა და წერილებსა, მარცულეებსა და სიტყუებსა და არა შეუტევებენ მათ საცნაურებისა მიმართ სულთა მათთაჲსა, არამედ გარეგან ოდენ ბაგეთა და ყურთა საბგერელ ჰყოფენ, ვითარმცა ვერ ეგებოდა ოთხისა რიცხუსა ორყოფად თქუმიითა ორ-გზის ორისადათა, ანუ თუ წაზიდულ ასოსა მართლ ასოდ

სახელის-დებად, ანუ თუ დედულსა მამულად, ანუ თუ სხუათა რათმე სიტყუათა მსგავსთა მსგავსითა და ერთ-ძალითა.

ჯერ-არს ცნობად სამართალისაებრ სიტყვსა, ვითარმედ ასოთა და მარცულთა და სიტყუათა და წერილთა ვიჭუმევეთ გრძნობადთათვს, ვითარ-იგი რაჟამს სული ჩუენი საცნაურითა მოქმედებითა საცნაურთა მიმართ აღძრას. ჩამეტავ არიან გრძნობადთა თანა გრძნობანი და ვითარცა საცნაურნი ძალნი, რაჟამს სული იმრთის მხილველ იქმნეს, უცნაურითა შეერთებითა მოუჭდების მიუწდომელისა ნათლისა შარავანდედთა მიხედვითა უთუალოთა. ჴამეთუ რაჟამს გონებაჲ გრძნობადთა მიერ აღძრვად მოსწრაფე იყოს ხედვითთა მიმართ გულისწმის-ყოფათა, მაშინ უეჭუელად უპატიოსნეს არიან გრძნობადთანი იგი უგანცხადებულესნი-რე წიალ-სავალნი უგანცხადებულესთა მათ სიტყუათაგან, და ხილულთა ამათ ცხადთა სახის-შემოღებათაგან, ვითარ-იგი რაჟამს გამოუცხადებელ საგრძნობელთა იყოს წინამდებარე იგი საძიებელი, მაშინ ვერ შესაძლებელ არს საძიებელისა მის ზეთილად და ზედამინევიით წარმოდგინებაჲ გონებისა წინაშე გრძნობადთა საქმეთა მიერ.

25. ჴარნა რადათა არა გარეგან საღმრთოთა ჩერილთა რასმე მეტყუელ საგონებელ ვიქმნე ამისითა თქუმიითა, ისმინედ მათი მათ, რომელნი ღრფიალებისა სახელსა ჰგმობენ: «ეტრფიალე მას, იტყვს, და დაგიცვას შენ; გარე-მოიზლუდე იგი და აღგამაღლოს შენ; პატივე-ც მას, რადათა შეგიტკბოს შენ»(იგ.4:6,8) და სხუად, რაოდენი იგალობების სატრფიალოთა იმრთის-მეტყუელეებათა შინა.

12. წინადაცა სთნდა ვიეთმე ჩუენთა სამდელო მეტყუელთაგან უსაღმრთოესცა ყოფად ღრფიალებისა სახელი უფროჲს სიყუარულისა. ნა სწერს საკვრველი **წგნატიცა**: «ღრფიალი ჩემი ჴუარ-ცუმულ არს»(რომ. მიმართ,7,2). ნა წინა-შემყვანებელთა სიტყუათა შინა ჰპოვო ვინმე მეტყუელად საღმრთოთა სიბრძნისათვს: «ტრფიალ ვექმენ სიკეთესა შისსა»(სიბრ.8,2). წინადაცა ამის ჯერისათვს ნუ შემეშინოს ჩუენ ღრფიალებისა სახელისაგან, ნუცა ვინ მაშინებს ჩუენ სიტყუაჲ ამის პირისათვს შემინებული. ჴამეთუ ჩემდა საგონებელ არს იმრთის-მეტყუელთათვს, ვითარმედ ზოგად შეჰრაცხეს მათ სახელი სიყუარულისა და ღრფიალებისაჲ; ამისთვსცა საღმრთოდ განასაკუთრეს ჭეშმარიტი ღრფი-

ალებად უფროს სიყუარულისა, რადთა სრულიად ზეშთა-ალამაღლონ იგი ესე-ვითართა მათ კაცთა უჯეროდ შერაცხვისაგან. ჟამეთუ იმრთივ-შუენიერყოფად ჭეშმარიტისა ღრფილები-სად არა ხოლო ჩუენგან, არამედ ყოველთა საღმრთოთა სიტყუათაგან იგალობებოდა რად, ვერ დაიტყეს ერთა სიმრავლემან ერთ-სახეობად იგი ტრფილებისა იმერთ-სახელობისად. ამისთვის თავთა თვსთად მიიხუეჭეს ნაწილებსა ზედა ჯორცთ შუენიერისა განყოფისასა, რომელი იგი არა ჭეშმარიტი ტრფილებად არს, არამედ კერპი ოდენ, გინა თუ უფროსლა განვრდომად ჭეშმარიტისა ტრფილებისაგან; რამეთუ დაუტყვენელ არს სიმრავლისაგან ერთ-სახეობად ტრფილებითისა ერთობისა და საღმრთო სახელობისად. ამისთვის ვითარცა საძაგელი და ბოროტ-რადმე სახელი ერთ-საგონებელი მრავალთა მიერ საღმრთოთა სიბრძნისა სახელად განიწესა, რადთა აღმყვამებელ ჩუენდა ყოს თავი თვისი მეცნიერ-ყოფად ნამდვლვე ჭეშმარიტისა ღრფილებისა, რადთა ესრეთ განწესნილ ვიქმნნეთ საძნაურ მგონებლობისაგან მისისა.

რამედ ჩუენ შორისცა ქუემეთრევეთა სადაცა რადმე უჯეროდ საგონებელ იყვის, იგიცა წმიდათა მიერ საქებულადვე შეცვალებულ იქმნის. ჴითარ-იგი «დამეკუეთა ჩემ ზედაო, იტყვს ვინმე, სიყუარული ჰენი, ვითარცა სიყუარული დედათაა»(2მეფ.1,26), ვინაიცა მართლიად მსმენელთა შორის საღმრთოთა სიტყუათასა მისვე ძალისად განწესებულ არს დიდთა იმრთის-მეტყუელთაგან სახელები სიყუარულისა და ღრფილებისად საღმრთოთა მათებრ გამოცხადებათა. ზა არს ღრფილება საღმრთოდ ძალ ერთ-მყოფელ და შემკრველ და შემზავებელ განყოფილთა ერთ-ყოფად კეთილსა ზედა და სახიერებასა წინადათვე ქონებულისა მისთვის ზეთილისა და სახიერებისა, და ზეთილისაგან და სახიერებისა კეთილსა და სახიერებასა მომცემელობასა, რომლითა იპყრობს ერთ-მოდასეთა ზიარებითა შინა ურთიერთ არსობასა და აღსძრავს პირველთა განმგებელყოფად შემდგომთა და განამტკიცებს უდარესთა მიქცევად უმაღლესთა მიმართ.

13. ღოლო არს განმაცვბრებელცა ღრფილება საღმრთოდ, რამეთუ არა უტყვენს, რადთა თავთა თვსთად ცხოველ იყვნენ ტრფიალნი იგი, არამედ მათდა, რომელთა მიმართ ტრფიალ იყვნენ. ზა ამას ცხად-ჰყოფენ უმაღლესნი

უკუე განმგებლობითა უმდაბლესთადათა და ერთ-ნივთისაგანნი ურთიერთას პყრობითა და განმტკიცებითა, ხოლო უქუემოესნი საღმრთოდ მიქცევითა მათითა პირველთა მიმართ. ჴინაიცა დიდი **სავლე**, შეპყრობილ რად იქმნა საღმრთოთა ღრფილებითა და მიილო ძალი იგი მისი განმაცვბრებელი, საღმრთოთა მით პირითა იტყვს: «არლარა მე ცხოველ ვარო, არამედ ცხოველ არსო ჩემ შორის ჴრისტე»(გალ.2,20). ზა ვითარცა ჭეშმარიტი ტრფიალი, განცვბრებულადცა იმრთისა უწოდს თავსა თვსსა, რამეთუ არლარა თავისა თვსისად ცხოვდებოდა, არამედ ღრფილისა მის მისისა ცხოველ იყო, ვითარცა ფრიად საყუარელისა.

საკადრებელ იყოს ამისიცა თქუმადა ჭეშმარიტებისათვს, ვითარმედ ჴვთ მიზეზიცა იგი ყოველთა ზეთილთა და სახიერებათადა ყოველთა ტრფილებისათვს გარდამატებულებითა ტრფილებისათვის სახიერებისადათა გარეგან თავისა ჴვსისა იქმნების წინა-განმგებლობისა მიმართ ყოველთა არსთადა და ვითარცა სახიერებით რადმე და სიყუარულით და ტრფილებით მწყალობელ არს. ზა ზეშთა ყოველთაობისაგან და ყოველთა აღმაცვბრებისაგან ყოველთა მომართ შთამოინწევის განცვბრებითითა ძალითა ზეშთა არსებისადათა გამოუვალად თავისა ჴვსისაგან. ჴინაიცა საღმრთოდ განსწავლულნი შოშურნედცა სახელ-სდებენ მას, ვითარცა ფრიადსა არსთა მომართ სახიერებითითა ტრფილებითა და ვითარცა ჰურად აღდგინებულსა სურვილისა მისგან ტრფილებითისა და ვითარცა მოშურნედ გამომაჩინებულსა მისსა, რომლითა სასურველი საშურველცა არს, და ვითარცა წინა-მომგონებულსა ნამდვლვე საშურველთა მი-სათავს. ზა ყოვლად ზეთილისა და სახიერებისა სასურველ არს ღრფილებადაცა და ზეთილსა და სახიერებასა შინა წინადათვე დამყარებულ არს და ზეთილისა და სახიერებისათვს არს და იქმნების.

14. ღოლო ყოვლად რადსა ნებებითა იმრთის-მეტყუელნი ოდესმე ღრფილებად და სიყუარულად იტყვან მას და ოდესმე სასურველად და საყუარელად? ამისთვის, რამეთუ პირველისა მის მიზეზ არს და წინა-მომაცყუებელ და მშობელ, ხოლო მეორე ჴვთ ჴგი არს და პირველითა მით იძრვის, ხოლო მეორესა ძრავს. ჴინა თუ ამისთვის, რამეთუ ჴგი თავისა მიერ ჴვსისა და თავით ჴვსით წინა-მომყვანებელ არს და მძრველ ყოველთა. ამის პირისათვს საყუარელად

და სასურველად უწოდენ მას, ვითარცა ზეთილ-  
 სა და სახიერსა; ხოლო კუალად ღრფილადა და  
 სიყუარულად, ვითარცა ძალსა თანად მძრველ-  
 სა და აღმყვანებელსა მისსა მიმართ, მხოლოდ  
 თვსად და თავისა მიერ თვსისა ყოფისა მის  
 მიმართ ზეთილისა და სახიერებისა. ოა ვითარ  
 თუმცა განჩინებაჲ იყო თავისა ღვსისაჲ თავისა  
 მიერ ღვსისა და კეთილ-გამოსავალ აღმატები-  
 თისა ერთობისა და ღრფილაღებისა აღძრვი-  
 სა, მარტივ, თვთმოძრავობა, თვთმოქმედება, წი-  
 ნა-მყოფ სახიერებასა შინა და სახიერებისაგან  
 არსთადა აღმომდინარე და კუალად სახიერები-  
 სა მიმართვე მიქცეული. ზინადა დაუსრულე-  
 ელობაჲ შისი და დაუსაბამოებაჲ საღმრთოსა  
 ღრფილაღებისა მიერ უმეტესად სახილველ არს.  
 ოა ვითარცა საუკუნოჲ რაჲმე სიმრგულე სახი-  
 ერებისათვს, სახიერებისაგან, სახიერებასა შინა  
 და სახიერებისა მიმართ უცთომელითა მოქცე-  
 ვითა მოიმრგულევის და შის შორის და შასვე  
 ზედა მარადის გამომავალ არსცა და ჰგიესცა  
 და დგას. ოსევე დიდებულმანცა ჩუენმან მლ-  
 დელთ-სრულმყოფელმან საღმრთოდ მოგვთხ-  
 რა საღრფილოთაებრ ქებათა, რომლისა არა  
 უადგილო არს მოწსენებაჲ და ვითარცა სამღ-  
 ლოსა რასმე თავსა ზედა დადგამა ღრფილაღები-  
 სათვს თქუმულსა ამას შინა სიტყუასა ჩუენსა.

**წმიდისა ზეროთეოსისი  
 «საღრფილოთა მათგან  
 ქებათა» მისთა**

15. «ღრფილაღებაჲ გინა თუ საღმრთოჲ ანუ  
 ანგელოზებრი, გინა საცნაურებრი, გინა მშვნ-  
 ვიერებრი ანუ ბუნებითი და ნერგობითი რაჲამს  
 ვთქუათ, ერთობითსა რასმე და შეზავებითსა  
 ძალსა გულისწმა-ვჰყოფთ. ქამეთუ რომელიმე  
 უზეშთაესთა აღსძრავს განმგებელ-ყოფად  
 უდარესთა, ხოლო კუალად თანა-მონივთეთა  
 ზიარებითად ურთიერთ არსობად და უკუან-  
 ასკნელთა და უდარესთა უზეშთაესთა მათ და  
 უმეტესთა მიმართ მიქცევისა ყოფად».

**შისივე წმიდისა ზეროთეოსისი  
 კუალად მათგანვე  
 «საღრფილოთა ქებათა»**

16. «ვინადათგან ერთისაგანნი მრავალნი ღრ-  
 ფილაღებანი განვანესენით შემდგომითი-შემდ-  
 გომად თქუმითა, თუ რანი არიან სოფლიოთა

და ზეშთასოფლიოთა ღრფილაღებათა მეცნიერე-  
 ბანი და ძალნი, რომელნი-იგი უმეტესად ჰქონან  
 უკუ-ზღვისაებრ სიტყუსა წესისა, მცნობელთა  
 და ცნობადთა ღრფილაღებისა წესთა და შემკო-  
 ბილებათა, რომელთა თანა თვთცნობადნი იგი  
 და საღმრთონი ნამდვლვე მუნანი კეთილთა ღრ-  
 ფილაღებათა ზეშთამდგომობანი და ჩუენ მიერცა  
 საკუთრებით ქებულ არიან. ღოლო ან კუალად  
 ვინყოთ ყოველთაგან ერთად შემოკრებულისა  
 ღრფილაღებისათვს, რაჲთა მათ ყოველთა შამასა  
 შემოუკრიბოთ თანად და შემოუნივთოთ პირვე-  
 ლად, რაჲთა მრავალთაგან ორად შემოუკრიბ-  
 ნეთ მას ყოველნი ძალნი ღრფილაღებითისანი,  
 რომელთა ყოველთა მპყრობელ და წინადასაბამ  
 არს ყოველთა მიერ კერძოჲ ყოველისა ღრფი-  
 ალებისა შიზეზი ვერ შესაპყრობელი და რომ-  
 ლისა მიმართ აღიპყრობვის ერთბამობით თი-  
 თოეული არსთაგანი და ყოველთა არსთა მიერი  
 ყოველითურთი ღრფილაღებაჲ».

**შისივე წმიდისა ზეროთეოსისი  
 კუალად მათგანვე  
 «საღრფილოთა ქებათა»**

17. «მოვედ უკუე, კუალად მათითავე ერ-  
 თად შემოკრებითა ვთქუათ, ვითარმედ ერთი  
 რაჲმე არს მარტივი ძალი ღვთმოძრავობითი,  
 ერთობითად რაჲმე შეზავებად სახიერებისაგან  
 ვიდრე თვთ ამათ უკუანასკნელთამდე და კუ-  
 ალად მიერვე შემდგომთა ყოველთა სახიერები-  
 სა მიმართ შისგან და შის მიერ და შის შორის  
 თავისავე მიმართ ღვსისა მომრგულეული და  
 მარადის თავსა შინა ღვსსა მომქცევი».

18. ორამედ თქუას ვინმე, ვითარმედ: უკუე-  
 თუ ყოველთა სასურველ და საყუარელ არს  
 ზეთილი და სახიერებაჲ (რაჲმეთუ შისსა სუ-  
 რის არა-არსსაცა, ვითარცა თქუმულ არს, და  
 ძღვევის-მოყუარეობს ვითამე შის შორის ყოფად  
 და ზგი არს სახე-მყოფელი უსახოთადაცა და შის  
 შორის არა-არსი ზეშთაარსებისა ითქუმის და  
 არს), ვითარ სიმრავლესა ეშმაკთასა არა სუ-  
 რის ზეთილისა და სახიერებისა, არამედ ნივთთ-  
 მოყუარე არს და განვრდომილ მისვეობისაგან  
 ანგელოზებრივისა მის ზეთილთ-მოსურნეობისა  
 და არს და ითქუმის მიზეზ ყოველთა ბოროტ-  
 თა, თავისადაცა თვსისა და სხუათა, რაოდენნი  
 განბოროტნებნიან? და ვითარ ყოველად სახიერ-  
 ებისაგან დაბადებული ნათესავი ეშმაკთაჲ არა

სახიერების სახე არს? ანუ ვითარ კეთილ-ქმნული ღეთილისა მიერ კეთილისაგან შეიცვალა? და რად არს განმბოროტებელ მისსა, ანუ თვთ ყოვლად რად არს სიბოროტე? და რომლისა დასაბამისაგან დაბადებულ არს? და რომლისა არსთაგანისა შორის არს? და ვითარ სახიერება მან ინება დაბადებამ მისი? ანუ ინება თუ ვითარ უძლო? და უკუეთუ სხვსა მიზეზისაგან არს ბოროტი, ვინ არს სხუად მიზეზი არსთად, თვნიერ სახიერებისა? ანუ უკუეთუ განგებულე-ბად არს ბოროტი, ვითარლა არს ანუ ყოვლად დაბადებულ, ანუ არა კუალად დაწსნილ? და ვითარ არსთაგანსა რასცა გული უთქუამს სხვსა, თვნიერ სახიერებისა?

19. სმას ნუუკუე და იტყოდის ვინმე ესე-ვითართა სიტყუათა ზედა უღონო-ქმნული. ღლო ჩუენ ღირს ვყოთ იგი საქმეთა ჭემმარიტებასა მიხედვად და პირველად ამისდა თქუამად კადნიერ ვიქმნეთ: ბოროტი არა სახიერებისაგან არს; და უკუეთუ სახიერისაგან არს, არა ბოროტ არს; რამეთუ არცალა ყინვად ცეცხლისაგან არნ, არცა სახიერსა თვს ეყვის დაბადებამ უსახურისადა. თა უკუეთუ არსნი ყოველნი სახიერებისაგან არიან (რამეთუ ბუნება სახიერისა არს დაბადებამ და ცხოვნებამ, ხოლო ბოროტისა – განხრწნამ და წარწყმედამ), არარად არსთაგანი არს ბოროტისაგან. თა არცალა თვთ ბოროტი იყოს რამმე, ვინათგან თვთ თავისა თვსისა ბოროტ არს. თა უკუეთუ ესე არა იყოს, არასადმე ბოროტ არს ბოროტი იგი, არამედ აქუს რამმე ნაწილი სახიერებისაგან, რომელი-იგი ნაწილები არს ყოვლისადა.

თა უკუეთუ არსთა ღეთილისა და სახიერებისა სურის და ყოველსა, რაოდენსა იქმან, კეთილ-საგონებლობით იქმან და ყოველსა არსთა პირსა საქმისასა დასაბამად და აღსასრულად ღეთილი აქუს (რამეთუ არა ბოროტისა ბუნებისა მიხედვითა ჰყოფს, რასა-იგი ჰყოფს), ვინადა ვითარ იყოს ბოროტი არსთა შინა, ანუ ყოვლად იყოს განვრდომილ ესე-ვითარისა მისგან კეთილთ-ნებებისა? და უკუეთუ ყოველნი არსნი სახიერებისაგან არიან და Ⴤვთ სახიერებად მიერ კერძო არს ყოველთა არსთა, არს უკუე სახიერებასა შინა არა-არსიცა იგი არსი, ხოლო ბოროტი არცა წრს არს. თა უკუეთუ არა ესრეთ იყოს, არასადმე ყოვლად ბოროტ არს, არცა არა წრს არს, რამეთუ არარად არს ყოვლად არა-არს, რომელი არა სახიერებისა შორის ითქუმის ყო-

ფად ზეშთაარსებისა. თინადაცა სახიერებად არს ფრიად უპირატეს და მტკიცებულ ყოვლად არსისადა და არა-არსისა ყოვლისა. ღლო ბოროტი არცა არსთა შორის არს, არცა არა-არსთა, არამედ თვთ მის არა-არსისადა ფრიად რამმე უცხო არს იგი და განვრდომილ სახიერებისაგან და ფრიად უფროს მისსა უარსებო.

წრამედ თქუას ვინმე: ვინადა უკუე არს ბოროტი? რამეთუ უკუეთუ არა არს ბოროტი, სათნობად და უკეთურებად იგივე და ერთი იყვენ და ყოველი ყოველსა და კერძოდ ძალისაებრსა შორის; ანუ თუ არცალა სათნობისა მბრძოლ იყოს სიბოროტე, არამედ წინააღმდეგომ არიან სინმიდე და არანმიდებამ, და სიმართლე და უსამართლოებამ. თა არასადა ვთქუა, ვითარმედ მართლისაებრ არს უსამართლოდაცა და წმიდისაებრ არანმიდაცა, არამედ პირველ გარეგან გამოჩენითისა განყოფილებისა სათნოებით მოქალაქეთადა და წინააღმდეგომად მათსა ცხოვრებულთადა ფრიად უპირატეს სადმე თვთ სულსა შინა კაცისასა ფრიად რამმე განყოფილ არიან სიბოროტენი სათნობათაგან და სიტყვერებისა მიმართ წინა-განწყობამ აქუს ვნებათა. თა ამიერ საქირო არს მიცემად რასმე კეთილისადა წინააღმდეგომ-ყოფად ბოროტთა მიმართ. ჴამეთუ არა თავსა Ⴤვსსა წინააღმდეგების ღეთილი, არამედ ვითარცა ერთისა თასაბამისაგან და ერთისა შიზეზისაგან შობილი, ზიარებასა და ერთობასა და სიყუარულსა ზედა იხარებს. თა არცა უდარესი კეთილი წინააღმდეგომ არს უმეტესისა კეთილისა, რამეთუ არცა უდარესი მჭურვალეებითა გინა სიგრილითა წინააღმდეგომ არიან უმეტეს გრილისა გინა მჭურვალისა. სმისთვს არსთა შორის არს და არს და წინააღმდეგომ და მბრძოლ ღეთილისა არს ბოროტი. თა უკუეთუ განხრწნა არს არსთა, ამით ჯერითა არა განიჭადების ყოფამ ბოროტისადა, არამედ იყვის იგი ოდესმე შობის მოქმედცა არსთა არსებისა. წნუ არა მრავალ-გზის ამის რაღსმე განხრწნამ იმის რაღსმე მშობელ იქმნისა? და იყვის ბოროტი აღმასრულებელ ყოველთა აღსავსებასა და თავისა მიერ თვსისა მიმბადლებელ ყოვლისა, რადთა არა უსრულ იყოს.

20. წრამედ თქუას ამისსა მიმართ ჭემმარიტმან სიტყუამან, ვითარმედ ბოროტი, რომელი-იგი თვთ ბოროტ არს, არცა ერთისა არსებისა ანუ მშობლობისა მიზეზ იქმნეს, მხოლოდ განაბოროტებს ოდენ და თავისა მიერ

თვისა განხრწნის არსთა გუამოვნებასა. **ჟოლო** უკუეთუ ვინმე მშობლობის მოქმედ იტყოდის ყოფასა მისსა, ამისთვის რომელ ამისი განხრწნა იმას შობასა მისცემს, მიუგოთ ჭეშმარიტი, ვითარმედ არა ხრწნილება მისცემს შობასა, არამედ ხრწნილება და ბოროტი განხრწნა და განაბოროტებენ ოდენ, ხოლო ქმნა და არსება სახიერებისათვის იქმნებია. **წმისთვის** არს ბოროტი თავით თვსით უკუე განმხრწნელ ოდენ, ხოლო ქმნა არსებისა სახიერებისათვის არს. **ნა ბოროტი** არცა **წრს** არს, არცა მოქმედება არსთა, ხოლო სახიერებისაგან არსცა არს და ზეთილთ-მოქმედებაცა. **ოფრომსლა**, არცა იყოს იგივე მას შინა ბოროტცა და კეთილცა, არცა იგივე არს და ერთ შობა და ხრწნილება იგივე მითვე ერთ-ძალ ყოფითა, არცა თვთ ძალ არს თვთხრწნილება. **წინადაცა** თვთსიბოროტე არცა **წრს** არს, არცა კეთილ არს, არცა შობის მოქმედ, არცა ჭეშმარიტთა და ზეთილთა რათმე მოქმედ.

**ჟოლო** ზეთილი, რომელთა ოდენ სრულებით მიენიჭოს, სრულ ჰყოფს და შეურევნელ და ყოვლად აღსავსე კეთილსა მათსა. **ჟოლო** უდარესად-რე მიმღებელთა შორის შისთა უდარესცა არს ზეთილი და შერევნულცა მოკლებითა ზეთილისაგან. **ნა** არა არს ყოვლითურთი სიბოროტე არცა კეთილ, არცა კეთილის მოქმედ, არამედ უფრომს გინა უმცრომს მახლობელ-ყოფა ზეთილისა შემსგავსებულად ზეთილ ჰყოფენ. **წინადაცა** უკუე ყოველგან მიმწევნელი ყოვლითურთი სახიერება არა ხოლო მახლობელთა მათ მიმართ ოდენ მისთა მიწევნის ყოვლად სახიერთა არსებათა, არამედ ვიდრე უკუანაჲსკნელთამდეცა. **ნა** რომელთამე თანა ყოვლითურთ არს, რომელთამე თანა უდარესად, ხოლო სხუათა თანა უკუანაჲსკნელესად, ვითარცა თითოეული არსთაგანი შემძლებელ არს მიღებად შისსა. **ნა** რომელნიმე ყოვლად მიიღებენ სახიერებასა, სხუანი უფრომსად და უცმირესად დააკლდებიან შისგან. **ნა** რომელთამე უწულილესად აქუს მიღება ზეთილისა და სხუათა შორის ვითარცა უკუანაჲსკნელი რამე ნეშტი ვმისა არს ზეთილი. **ქამეთუ** უკუეთუმცა არა შემსგავსებულად თითოეულისა ძალისა და დატევნისა განეყოფოდა ზეთილი, უპირატესთა მათმცა და უსადმრთოესთა დასთა უკუანაჲსკნელთა მათივე აქუნდა სწორება. **ნა** ვითარ შესაძლებელ იყო ერთ-სახეობით პყრობა ყოვლისა სახიერებისა მიერ, უკუეთუმცა

არა აქუნდა მას სიმარჯუტ მისალებლად შესაძლებელი თითოეულისაგან?

**ჟოლო** ან ესე არს ზემთააღმატებული დიდებულება სახიერებისა ძალისა, რამეთუ მოკლებულსა მას შისისა დამტევნელობისაგან **წუსითა** ძალითა განაძლიერებს ყოვლად მიმღებელ-ყოფად შისსა. და ჯერ-არს თუ კადნიერებით თქუმა ჭეშმარიტისა, მბრძოლსა მასცა შისსა მის შიერვე მიუღიეს ძალი, რათა დგეს და ჰბრძოდის მას. **ოფრომსლა**, რათა შემოკრებულად ვთქუა: არსნი ყოველნი, რაოდენნი არიან, კეთილ არიან და ზეთილისაგან არიან, ხოლო რაოდენ დააკლდებიან ზეთილისაგან მით კერძოთა, არცა კეთილ და არცა არს არიან. **ქამეთუ** სხუათა გუართათვს, ვითარ-იგი მწურვალებისა და სიგრილისათვს დაუტევის მწურვალებამან, და ჯერეთ არნ და ეგის გუამი იგი განწურვებული; და მრავალნი არიან ცხოვლობისა და გონიერებისაგან უნაწილონი და ჯერეთ არიანვე არსებასა შინა; და იმერთი უზეშთაეს არს ყოველთა არსებათა და არსვე ზემთაარსებისა.

**ნა** რათა ერთბამად ვთქუა, ვითარმედ სხუათა ყოველთა ანუ შემდგომად მოსლვისა კუალად წარსლვითა, გინა თუ ყოვლად არა მოსლვითა რაჲსავე გუარისადა იყენიან არსნი და შესაძლებელ არს ყოფად მათი. **ჟოლო** ყოვლითა სახითა დაკლებული ზეთილისაგან არაოდეს არასადა იპოვოს, არცა ყოფილ არს, არცა არს, არცა იყოს, არცა ყოფად შესაძლებელ არს, ვითარ-იგი ტრფიალი სიძვისა დაღაცათუ დაკლებულ არს ზეთილისაგან პირუტყულითა მით გულის-თქუმითა, რამეთუ მით კერძოთა არცა არს, არცა არსისათვს გული უთქუამს, გარნა ეგრეთცა მიიღებსვე სახიერებისაგან მითვე შეერთებისა და სიყუარულისა წურილითა ნაწმევითა. **ნა** კუალად განრისხებულიცა მიიღებს ნაწილსა სახიერებისაგან აღძრვითა მით და სურვილითა მის მიერ ბოროტ-საგონებელისა მის საქმისა მის მიერ კეთილ-საგონებელისა რაჲსამე მიმართ მოქცევად და განმართებად. **ნა** თვთ იგიცა ბოროტისა ცხორებისა ტრფიალი, ვითარცა ყოვლად ცხორებისა ტრფიალი, და კეთილ-საგონებელისა მის მისდა ნადიერებითა თვთ მით სურვილითა და ცხორებისა მიმართ სურვილითა და უმჯობესისა რაჲსამე ცხორების მიხედვითა მიიღებს ნაწილსა სახიერებისაგან.

**ნა** უკუეთუ ყოვლითურთ მოსპო ზეთილი, არცა არსება იყოს, არცა ცხორება, არცა სურ-

ვილ, არცა ძრვა, არცა სხუად არცა ერთი რად. ზინაძეცა ხრწნილებისა მიერ ქმნილი შობა არა ბოროტისა ძალისად, არამედ უდარესისა ზეთილისა მოსლვისად არს, ვითარცა-იგი სნებად მოკლებად არს წესისად, არამედ არა ყოვლისაფე, რამეთუ უკუეთუ ესე იქმნეს, ვერცალა თვთ სნებად იგი იყოსლა. ღოლო სნებად მაშინ ჰგიეს და არს, რაჟამს არსებად აქუნდეს უდარესობად წესთა რათმე გუამისათად და მას შინა იყოფებოდის. ჯამეთუ ყოვლად უნანილოდ ზეთილისაგან არცა იყოს, არცა არს, არცა არსთა შორის არს. ღოლო შერეული სახიერებისა მიერ არს არსთა შორის და ამით ოდენ არს არსთა შორის და არს, რაოდენისა რაჟს კერძოდას მიმღებელ არს სახიერებისაგან. ოფროსლა, არსნი ყოველნი ამით არიან უფროს და უმცროს, რაოდენ სახიერებისა მიმღებელ არიან.

ნა რამეთუ მასვე და ერთსა ზედა მყოფი სიბოროტე არასადა არა არს, არცა იყოს; ხოლო ოდესმე არსი და ოდესმე არა-არსი, რაოდენითა რაჟთ კერძოთა განვრდომილ არს მარადის მყოფისაგან მით კერძოთა, არა არს; ხოლო რაოდენითა-რაჟთ მიიღებს მყოფობასა, მით სახიერებისაგან არს და ამის ყოვლად მყოფობისაგან არა არს-ყოფისაცა იგი კერძო მისი იპყრობების და ცხონდების. ნა ბოროტიცა, რომელი ყოვლად ზეთილისაგან განვდრომილ არს, არცა უფროსთა, არცა უმცროსთა ზეთილთა შინა არს. ღოლო ოდესმე ზეთილი და ოდესმე არა-ჰეთილი ებრძოლების უკუე ჰეთილსა რასმე და არა ყოვლითურთ ზეთილისა კერძო არს. ღოლო იპყრობების იგიცა მიმღებლობითა ზეთილისადათა.

ნა კერძოდ მიღებული იგი ზეთილი ნაკლულევანსა მასცა და მოუძღურებულსა კერძოსა იპყრობს და განაძლიერებს, რაჟთა მზა იყოს, ოდესცა უნდეს, კუალად ყოვლისავე მიმღებელ-ყოფად. ჯამეთუ უკუეთუ ყოვლად წარვიდეს რაჟსაგანცა ზეთილი, არცალა ყოვლად ეგოს ზეთილსა შინა, არცა კერძოდ, ვერცა შერეულად, ანუ თვთგუამოვნად სიბოროტედ. ჯამეთუ უკუეთუ სიბოროტე არს უსრულობად ზეთილისად, ყოვლად განშორებად ზეთილისად უსრულსა მასცა და სრულსა ზეთილსა დაჰწნის. ნა მაშინლა მარტოდ იყოს და იხილვებოდის სიბოროტე, რაჟამს რომლითამე იყოს ბოროტ, რომლითა-იგი წინააღუდგებოდის, ხოლო რომლითამე ვითარცა ზეთილთა შეზავებულ იყოს. ჯამეთუ თვთ იგივე და ერ-

თი სიბოროტე გინა სათნოებად თავისა თჳსისა მბრძოლ-ყოფად ყოვლად შეუძლებელ არს; ამისთჳს არა წრს არს ბოროტი.

21. ნა არცა ყოვლად არსთა შორის არს ბოროტი. ჯამეთუ უკუეთუ ყოველნი არსნი ზეთილისაგან არიან და ყოველთა შორის არსთა არს ზეთილი და ყოველივე შემოუკრებიეს ზეთილსა, ანუ არა არს ბოროტი არსთა შორის, ანუ იგიცა ზეთილისაგანვე არს. ნა აჰა, არა არს ზეთილსა შინა. ჯამეთუ არცა ცეცხლისა არს განცივებად, არცა მისი არს განბოროტებად, რომელი-იგი ბოროტსაცა კეთილ ჰყოფსვე. ღოლო უკუეთუ არს, ვითარ იყოს ბოროტი ზეთილსა შინა? რამეთუ უკეთუ მისგან არს, ესე უჯერო არს და შეუძლებელ, რამეთუ ვითარცა-იგი სიტყუათა ჭემმარიტებად იტყვს, «ვერ შემძლებელ არს ხე ზეთილი ნაყოფსა ბოროტსა ყოფად»(მთ.7,18), ვერცა კუალად წინა-უქმო.

ღოლო უკუეთუ არა მისგან არს, ცხად არს, ვითარმედ სხჳსა დასაბამისაგან არს და სხჳსა მიზეზისა. ჯამეთუ ანუ ბოროტი ზეთილისაგან იყოს, ანუ ზეთილი ბოროტისაგან, ანუ უკუეთუ ესე შეუძლებელ არს, სხჳსა და სხჳსა დასაბამისა და მიზეზისაგან იყვნენ და ზეთილიცა და ბოროტიცა. ჯამეთუ ყოველი ორობად არა არს დასაბამ, არამედ ერთობად არს დასაბამ ყოვლისა ორობისა. ზინაძეთგან უჯერო არს ერთისა და მისგანვე გამოსლვად ორთად ყოვლითურთ ურთიერთას წინააღმდგომთად და რაჟთამცა იყო იგივე დასაბამი არა მარტივი და ერთობითი, არამედ განყოფილი და ორ-სახეობითი და წინააღმდგომი და დამჳსნელი თავისა თჳსისად. ნა კუალად ვერცა ორთაგან არსთა შესაძლებელ არს ყოფად წინააღმდგომთა დასაბამთად და ამით ურთიერთას და ყოველსავე ზედა მბრძოლთად. ჯამეთუ უკუეთუ ესე ესრეთ იყოს, არა უვნებელ იყოს იმერთი, არცა თავისუფალ სიძნელისაგან. ოკუეთუ ნამდვლვე არს შის შორისცა აღმაშფოთებელი რაჟმე, ამისსა შემდგომად იყოს ყოველი უწესო და მარადის მბრძოლ.

ნა აჰა ვხედავთ, რომელ სახიერებისაგან განეყოფვის ყოველთა არსთა საქმე სიყუარულისა და მეგობრობისად და მას ეწოდების წეტმშვდობა და მშვდობისა შომნიჭებულად იგალობების დიდთა იმრთის-მეტყუელთა მიერ. ზინაძეცა მეგობარ და კეთილ და შეწყობილ არს ყოველი და ერთისა ცხორებისა ნამობ და ერთი-



სა სახიერებისა მიმართ განწესებულ და მოყუ-  
არულ და მსგავს და მომზავებელ ურთიერთას.

ჩინაძე არა იმრთისა მიერ არს ბოროტი,  
არცა იმრთისა შორის არს ბოროტი და ბოროტი  
არა საღმრთო არს. ჩინაძე ანუ არა კეთილ  
არს, ანუ უკუეთუ კეთილ არს, კეთილის მო-  
ქმედცა არს და კეთილისა მომყვანებელ; და  
არა ოდესმე და ვიეთმე, ხოლო ოდესმე არა და  
არა ყოველთა. ჩამეთუ ამას შინა შეცვალეზა  
და ქცეულება იქმნების წვთ მისიცა ყოველთა  
უსაღმრთოესისაცა შიზეზისაჲ. ღოლო უკუე-  
თუ იმრთისა შორის გუამოვან არს ზეთილი,  
იყოს იმერთი იგი კეთილისაგან შეცვალეზული  
ოდესმე არს და ოდესმე არა-არს. ღოლო უკუე-  
თუ მიღებით აქუს ზეთილი და სხვსაგან აქუს, და  
ოდესმე აქუს და ოდესმე არა აქუს. წრასადმე  
იმრთისაგან არს ბოროტი, არცა იმრთისა შო-  
რის, არცა სამარადისო, არცა ჟამიერ.

22. წრამედ არცა ანგელოზთა შორის არს  
ბოროტი. ჩამეთუ უკუეთუ მომთხრობელ არს  
საღმრთოსა სახიერებასა სახიერების სახე ან-  
გელოზი, იგიცა თვთ მიმღებელოზით სახი-  
ერვე არს მეორე შემდგომი მისი, რომელსა-იგი  
მომთხრობელ იქმნების პირველად მიზეზად.  
ჩინაძე ხატი იმრთისაჲ არს ანგელოზი, გა-  
მომაცხადებელი უხილავისა მის ნათლისაჲ,  
სარკე სრული ბრწყინვალე, შეუმრღუეველი,  
უხრწნელი, უბინო და, ჯერ-არს თუ თქუმად,  
მიმთუალველი ყოვლისავე მის შუენიერებისა  
სახიერების სახისა და იმრთის სახისაჲ, რო-  
მელსა შეურევენელად გამოაბრწყინვებს თავსა  
შორის თვსსა (ვითარ-რაჲმე იგი არს სახიერებაჲ)  
შეუვალთა შინა დუმილისათა. ჩინაძე არცა  
სადმე ანგელოზთა შორის არს ბოროტი, არამედ  
მტანჯველოზასა ზედა შეცოდებულთასა არიან-  
ო ბოროტ, იტყოდის თუ ვინმე. ღოლო ჩუენ  
მიუგოთ: უკუეთუ ესე ესრეთ არს, ამის ჯერ-  
ისათვს გამწურთელნიცა იგი ბრალეულთანი  
ბოროტ იყვნენ და მღდელნიცა, ზიარებისაგან  
განმყენებელნი – ბინიანთანი (რომელი-ესე ნუ  
იყოფინ!). ჩამეთუ არა მტანჯველოზაჲ არს ბო-  
როტ, არამედ ღირს სატანჯველისა ყოფაჲ, არ-  
ცა ღირსებით და სამართლად განმწედლოზაჲ  
მღდელთაჲ, არამედ ბილწ და არა წმიდა-ყოფაჲ  
და უხრწნელთა საიდუმლოთა არა ღირს-ყოფაჲ.

23. წრამედ არცაღა ეშმაკნი ბუნებით ბოროტ  
არიან. ჩამეთუ უკუეთუმცა ბუნებით ბოროტ

იყვნეს, არცამცა სახიერებისაგან იყვნეს, არცა  
არსთა შორის იყვნეს, არცამცა შეცვალეზულ  
ბუნებითისაგან ზეთილისა მარადის ბოროტ-ყო-  
ფილ თუმცა იყვნეს. წმას თანა თავთა თვ-  
სთათვს-მე არიანა ბოროტ, ანუ სხუათათვს?  
უკუეთუ თავთა თვსთათვს არიან ბოროტ, და  
განხრწნიანცა თავთა თვსთა; ხოლო უკუეთუ  
სხუათათვს არიან ბოროტ, ვითარ განხრწნიან?  
ანუ რასა განხრწნიან? არსებასა-მეა, ანუ ძალსა,  
ანუ მოქმედებასა?

აკუეთუ არსებასა, პირველად უკუე ესე  
ვთქუათ, რამეთუ ვერ გარეგან ბუნებისა იქმან.  
ჩინაძეთან ბუნებით განუხრწნელნი არა განიხ-  
რწნებიან, არამედ მქონებელნი ოდენ ბუნები-  
თისა განხრწნადობისანი. წმას თანა არცა  
თვთ განხრწნაჲ იგი არს ყოვლითურთ ბოროტ;  
არამედ არცაღა განიხრწნების რაჲმე არსთა-  
განი მისგან, ვითარ-იგი თვთ არს არსებით და  
ბუნებით, არამედ მოკლებისაგან ბუნებითთა  
წესთაჲსა მოუძღურდების ოდენ გუარი შეწყო-  
ბილებისა და შეზავებულებისაჲ მისვეობისა-  
გან წესთა პირველ ქონებულთაჲსა. ღოლო  
უძღურებაჲ იგი არა ყოვლითურთი არს; რა-  
მეთუ ყოვლითურთი თვთ მას ხრწნილებასაცა  
განხრწნის მის დამოკიდულითურთ გუამით.  
წა ესე-ვითარი იგი ხრწნილებაჲ თვთ თავი-  
საცა თვსისა განხრწნა იყოს. ჩინაძე ესე-ვი-  
თარი იგი ზოგს-რე მოუძღურებაჲ არა ბოროტ  
არს, არამედ ნაკლულეგანება ზეთილისა. ჩა-  
მეთუ ყოვლად უნაწილოჲ ზეთილისაგან არცა  
ყოვლად არს, არცა არსთა შორის არს; და ძალ-  
ისა გინა მოქმედებისა განხრწნისათვს ამასვე  
ზემოთქუმულსა ვიტყვთ.

წმისსა შემდგომად ამასცა იკითხვენ, თუ ვი-  
თარ იმრთისა მიერ დაბადებულ არიან ეშმაკნი  
და ბოროტ არიან? რამეთუ სახიერებაჲ სახი-  
ერთა დაჰბადებს და წარმოადგენს. წა ვითარ  
ბოროტ ითქუმიანო ესენი, თქუას ვინმე. წარ-  
ნა არა ვითარ ესე აწ არიან, ესე-ვითარნი ყო-  
ფილ არიან (რამეთუ სახიერებისაგან არიან და  
კეთილსა არსებასა ხუედრებულ არიან), არამედ  
ეგრეთ არიან, ვითარ-იგი არა დაბადებულ ყო-  
ფილ არიან: «რამეთუ უძღურ იქმნეს (ვითარცა  
საღმრთონი სიტყუანი იტყვან) დაცვად თვსისა  
მთავრობისა»(იუდ.1,6). ჩამეთუ რასა ზედა გან-  
ბოროტებულად ვიტყვთ ეშმაკთა, მითხარ მე,  
თვნიერ დაცხრომასა ზედა საღმრთოთა წესთა  
და მოქმედებათასა?

წმას თანა უკუეთუმცა ბუნებით ბოროტ

იყვნეს ეშმაკნი, და მარადის ბოროტი; და ბოროტი დაუდგომელ არს. ღოლო იგინი, ვინათგან მასვე ზედა ჰგიან, არასადმე ყოვლად ბოროტი არიან, რამეთუ მარადის მასვე ზედა ყოფად ზეთილსა თვს ეყვის. ღოლო რომელნი არა მარადის ბოროტი იყვნენ, არა ბუნებით ბოროტი არიან, არამედ მოკლებითა ანგელოზებრთა კეთილთაგან განბოროტნიებან. ნა არა ყოვლად უნაწილო არიან ზეთილისაგან მით კერძოთა, რომლითა არიან, და ცხოველ არიან და სცნობენ და ყოვლად არს რამდე მათ შორის აღძრვად წადიერებისაჲ. ღოლო ბოროტი-ყოფად ითქუმიან მოკლებითა მათ შორის ბუნებითა მოქმედებათაჲთა. ჴცუელეება უკუე არს მათ შორის ბოროტი და განსლვა წესისაგან მათდა შემს-გავსებულისა და მიუმთხუეველობა, უსრულობა და უძალოობა და ცხოველისა მის მათ შორის სრულებისა ძალისა უძღურება და ლტოლვა და განვრდომა.

სრამედ ვითარცა ვინ თქუა, რად არს ეშმაკთა შორის ბოროტი? ვეტყუთ, ვითარმედ რისხვად პირუტყული, გულის-თქუმაჲ უგუნური, ოცნებაჲ აღტაცებული. სრამედ ესენი დაღაცათუ არიან ეშმაკთა შორის, არა ყოვლადვე, არცა ყოველთა ზედა, არცა თვთ თავით თვსით არიან ესენი ბოროტი. ჴამეთუ სხუათა ცხოველთა შორის არა თუ ჴუმევაჲ ამათი არს ბოროტი, არამედ მოსპოლვაჲ ამათი იქმნების განხრწნა და განბოროტება ცხოველისა. ღოლო ჴუმევაჲ ამათი აცხოვნებს და მყოფობასა შეიქმს ამათისა მქონებელისა ცხოველთა ბუნებისასა. წმისთვის არა ბოროტი არს ნათესავი ეშმაკთაჲ, ვითარ-იგი დაბადებულ არს ბუნებით, არამედ მით განბოროტნიების, რომლითა განვალს გარეშე ბუნებისა. ნა არა თუ ყოველი ზეთილი მიცემული მათდა შეეცვალა, არამედ თვთ იგინი განვარდეს მიცემულისა მის მათდა ყოველისა ზეთილისაგან და მინიჭებულთა მათ მათდა ანგელოზებრთა ნიჭთაგან.

წმისთვის არა ოდეს ვთქუნეთ იგინი შეცვალებულად, არამედ არიან იგინი ყოვლად სავესე და ყოვლად ბრწყინვალე არიან, დაღაცათუ იგინი ვერ ხედვენ, რამეთუ თავით თვსით დაუწუნებან კეთილად მხედველობისა ძალნი. ჴინაჲცა ვითარ-იგი არიან, სახიერებისაგან არიან; და კეთილისა და სახიერებისა სურის მყოფობითა და მცნობელობითა და მცხოვრებლობითა, და ამათ მიზეზთა მიერ არსისათვს სურის. ღოლო მოკლებითა და განვრდომითა

მათდა შემსგავსებულთა კეთილთაჲთა ბოროტად ითქუმიან და არიანცა ბოროტი, ვითარ-იგი პირველ არა იყვნეს. ნა არა-არსისათვს მოსურნეობითა ბოროტისათვს სურის.

24. სრამედ სულთათვს ვინ-მე თქუას ბოროტი-ყოფად? რომელნი უკუეთუ თანა ექცეოდინ ბოროტთა წინა-განმგებელობით და მაცხოვრებლობით, ესე არა ბოროტი არს, არამედ კეთილ და ზეთილისაგან, ჴომელი-იგი ბოროტსა(ცა ზეთილვე ჰყოფს. ღოლო უკუეთუ განბოროტებასა ვიტყოდით სულთასა, რათა განბოროტნიებან, თვნიერ მოკლებითა კეთილთა წესთა და მოქმედებათაჲთა და თვსითა უძღურებითა, რომელ შეემთხვა წარწყმედისაგან და განხევისა ბუნებითა კეთილთაჲსა? რამეთუ აჰა ჩუენ ზედაცა მყოფსა ამას ჰაერსა დაბნელებულად ვიტყუთ მოკლებითა და წარსლვითა ნათლისაჲთა. ღოლო თვთ ნათელი მარადის ნათელ არს, რომელი-იგი ბნელსა(ცა განანათლებს. ჴინაჲცა არცა ეშმაკთა შორის, არცა ჩუენ შორის არს ბოროტი, ვითარ-იგი არს ბოროტი, არამედ ვითარცა მოკლებაჲ და ოჭრებაჲ თვსთა კეთილთა სრულებისაჲ.

25. სრამედ არცა ცხოველთა პირუტყუთა შორის არს ბოროტი. ჴამეთუ უკუეთუ მოსპო მათგან რისხვად და გულის-თქუმაჲ და სხუად, რაოდენი რად ითქუმის მათთვის, და არარად არს ბუნებასა მათსა შინა მარტივი, ესე იგი არს გუამოვნებითი სიბოროტი. ჴამეთუ უკუეთუ წარწყმიდოს ლომმან სიმწნე და მბრდღუნელობად, არღარა იყოს ლომი; და უკუეთუ ყოველთა მშუდ ექმნეს ძაღლი, არღარა იყოს ძაღლი, რამეთუ ძაღლისაჲ არს მყეფარობად და რათა ჰლიქნიდეს თვსთა და სდევნიდეს უცხოთა. ჴინაჲცა დაცვაჲ და არას განხრწნად ბუნებითა წესთაგანსა არა ბოროტი არს. ღოლო განხრწნა ბუნებისა არს უძღურებაჲ და მოკლებაჲ ბუნებითა წესთა და ძალთა და მოქმედებათაჲ. ნა უკუეთუ ყოველთა შობითგანვე ჟამიერებასა მათსა შინა აქუს სრულება(ცა, არარად არს უსრულ ყოველსა შინა ბუნებასა.

26. სრცა რად არს ბოროტი ყოველსა შინა ბუნებასა. ჴამეთუ უკუეთუ ყოველნივე სიტყუანი ბუნებითნი ყოველთავე ბუნებისაგან არიან, არარად არს მის შორის წინააღმდეგომი. ღოლო თითოეულსა ბუნებასა შინა რომელიმე ბუნები-

თი არს და რომელიმე არა ბუნებითი. ჯამეთუ სხუად სხვსად ბუნებისა გარეგანი არს და ამის რაღსმე ბუნებითი იმის რაღსმე ბუნებისა გარეგან არს. ღოლო სიბოროტე ბუნებისა არს ბუნებისა გარეგანი მოკლებად წესთა ბუნებითთაჲ. ჴინა-  
5 ცა არა ბოროტ არს ბუნებაჲ, არამედ ესე არს ბუნებასა შინა ბოროტ მოუძღურებაჲ ქმნად წესთა ბუნებისა თვისსათა.

27. წრამედ არცა ჳორცთა შინა არს ბოროტი. ჯამეთუ გარდარეულებად და სნეულებად მოკ-  
ლებანი არიან სახისანი და ნაკლულევენებანი ბუნებითთა წესთანი, რომელი-ესე არა ყოვლად  
ბოროტ არს, არამედ უდარესობა ჰეთილისა. ჯამეთუ უკუეთუ ყოვლითურთი იქმნეს დაჳსნად  
15 სახისა და სიკეთისა და წესისაჲ, თვთ იგი გუჲ-  
მიცა წარჳდესვე. ღოლო რამეთუ არა ბოროტისა მიზეზ სულისა არიან ჳორცნი, ესე ცხად არს  
ამით, რამეთუ ძალ-უც სულსა ცოდვად თვნიერ ჳორცთაცა, ვითარ-იგი ცოდვენ ეშმაკნი. ჯა-  
მეთუ ესე არს სიბოროტე ჳორცთაცა შინა და  
სულთა და გონებათა, განვრდომად და მოუ-  
ძღურებაჲ ბუნებითთა მათ ჰეთილთა თვისთა  
წესთაგან.

28. წრამედ არცალა მრავალ-განსმენილ-  
სა მას ნივთსა შინა არს ბოროტი, ვითარ-იგი იტყვან ვიეთნიმე ბოროტ-ყოფასა ნივთისასა,  
რომელი-იგი არა ბოროტ არს. ოკუეთუ ოდენ  
ეგრეთ იყოს ნივთ, ვითარ იგი დაბადებულ არს?  
რამეთუ მასცა აქუს მიმღებელობად სიკეთისა და  
შემკობისა და სახოვნებისაჲ. ჯამეთუ უკუეთუ  
ამათგან გარეგან იყოს ნივთი, თავით თვისით  
ურომელო არს და უსახო. ოა ვითარ ქმნას რამე  
ნივთმან, რომელსა არცა თუ ქმნად რასმე შემ-  
ძღებელობად ანუ თავს-მდებელობად რაღსამე  
ძალ-უც თავით თვისით? ამას თანა კუალად ვი-  
თარ იყოს ნივთი ბოროტ? რამეთუ უკუეთუ  
არასადა არა წრს არს, არცა კეთილ არს, არ-  
ცა ბოროტ; ხოლო უკუეთუ არს ვითამე, ხოლო  
არსნი ყოველნი სახიერებისაგან არიან, იგიცა  
სადმე სახიერებისაგან იყოს. ოა უკუეთუ სახი-  
ერებაჲ და კეთილი არს ბოროტის-მოქმედ, ანუ  
ბოროტიცა კეთილ იყოს, ვითარცა კეთილისა-  
განი, ანუ ბოროტი კეთილის-მოქმედ იყოს და  
კეთილიცა, ვითარცა ბოროტისაგან შექმნული,  
კეთილვე-იყოს; ანუ კუალად ორნი დასაბამნი  
იყვნენ და იგინიცა სხვსა ერთისა თავისაგან გა-  
მომავალნი.

ღოლო უკუეთუ საჭირო-ყოფად იტყვან  
ნივთსა, ვითარცა აღმავსებელსა ყოვლისა სოფ-  
ლისა სავსებისასა, ვითარ ბოროტ იყოს ნივთი?  
რამეთუ სხუა არს ბოროტი და სხუა საჭიროჲ.  
5 ოა ვითარ ჰეთილი ბოროტისაგან მოიყვანებდეს  
ვიეთმე არსად? ანუ ვითარ ბოროტი მოქმენე იყ-  
ოს კეთილისა? რამეთუ ველტის ბოროტი ბუნე-  
ბასა ჰეთილისასა. წნუ ვითარ შობს და ზრდის  
ბუნებასა ნივთი, უკუეთუ ბოროტ არს? რამეთუ  
10 ბოროტი, ვითარ-იგი არს თვთ ბოროტ, არავის-  
სა იყოს მშობელ, ანუ მზრდელ, ანუ ყოვლად  
მოქმედ, ანუ მაცხოვნებელ.

ღოლო უკუეთუ იტყოდინ, ვითარმედ იგი  
არა ბოროტის-მოქმედებს სულთა შინა, არამედ  
15 მიიზიდავს მათ ბოროტისა მიმართ, ვითარ ჳემ-  
მარიტ იყოს ესე? ვინაფთგან მრავალნი მათვე  
ნივთიერთაგანნი კეთილისა მიმართ ხედვენ.  
ოა ვითარმცა იქმნებოდა მრავალთა კეთილი-  
სა მიმართ ხედვად, უკუეთუმცა ნივთი მძღაგრ  
20 მიზიდვიდა მათ ბოროტისა მიმართ? ვინაფცა  
არა ნივთისაგან არს სულთა შინა სიბოროტე,  
არამედ უწესოვსა და ბრალეულად აღძრვისა-  
გან. ღოლო უკუეთუ თქუან, ვითარმედ ესეცა  
უეჭუელად ნივთსა შეუდგს და საჭირო არს მტ-  
25 კიცედ დგომად ვერ შემძღებელისა მის ნივთისა  
დაუდგრომელობისა თავსა შორის თვისსა დგო-  
მად, ვითარ საჭირო იყოს ბოროტი, ანუ ბოროტი  
საჭირო?

29. წრამედ არცალა თვთ ესე, რომელ ვთქუთ,  
მოკლებად ბუნებითთა წესთა და ძალთა თვისთაჲ  
მბრძოლ იყოს ჰეთილისა. ჯამეთუ ყოვლითურ-  
თი მოკლებად ყოვლად შეუძღებელ არს, ხოლო  
ზოგს-რე მოკლებად არა მით კერძოთ მიიღებს  
35 ძალსა, ვინაჲ მოკლებულ არს, არამედ მიერ  
კერძოთ, ვინაჲ-იგი არა ყოვლითურთ მოკ-  
ლებულ არს. ჯამეთუ მოკლებად კეთილისაჲ  
არა ყოვლითურთ ბოროტ არს, არამედ კერ-  
ძოდ ოდენ. ღოლო უკუეთუ ყოვლითურთი სი-  
40 ბოროტე იქმნეს, მაშინ ბუნებაჲცა იგი ბორო-  
ტისაჲ დაიჳსნების, რაჳამს ყოვლად მოკლებითა  
კეთილისაჲთა ვერლარა ეგოს გუჲამი.

30. ოა რაფთა შემოკლებით-რე ვიტყოდი,  
კეთილი ერთისაგან ოდენ არს და ყოველ-  
თა შიზეზისა, ხოლო ბოროტი მრავალთაგან  
და ნაწილებთა კერძოთა მოკლებისათა. Ⴑცის  
იმერთმან კეთილ-ყოფად ბოროტისაჲცა და შის  
მიერ ძალ კეთილისა მოქმედ არიან მიზეზნი-

ცა ბოროტთანი. აკუეთუ ბოროტი სამარადი-  
 სო არს და დაჰბადებს და ძალ-უც და არს და  
 იქმს, ანუ იგი კეთილისაგან არს, ანუ კეთილი  
 ბოროტისაგან, ანუ ორნივე სხვსა მიზეზისაგან.  
 ყოველი ბუნებითი მიზეზისაგან განსაზღვრე-  
 ბულისა იშვების; ვინაჲცა უკუეთუ ბოროტი  
 უმიზეზო არს და განუსაზღვრებელ, არასადმე  
 ბუნებითი არს, რამეთუ არცა ეგების ბუნებასა  
 შინა გარეგანი ბუნებისად, არცა უჭელოვნობად  
 სიტყუასა შინა ჴელოვნებათასა.

ნუ ნუუკუე სული-მე არსა მიზეზ ბოროტ-  
 თა, ვითარ-იგი ცეცხლი განწურვებისა, და ყოვ-  
 ელთა, რომელთა მიეხლოს, აღავსებს ბოროტი-  
 თა? ანუ თუ კეთილ არს ბუნებად სულისად, ხო-  
 ლო მოქმედებანი თვისნი ოდესმე ეგრეთ ჰქონან  
 და ოდესმე არა ეგრეთ? და უკუეთუ ბუნებით  
 აქუს სიბოროტე, ყოფადცა სადმე მისი ბოროტ  
 არს? და ვინაჲ არს ყოფად მისი, თვნიერ კეთილ-  
 ისა დამბადებლობითისა შიზეზისა ყოველთა  
 არსთაჲსა? არამედ უკუეთუ მისგან არს, ვითარ  
 არსებით ბოროტ არს? რამეთუ ღეთილისა მიერ  
 შობილნი და ქმნულნი ყოველნი კეთილ არი-  
 ან. ღოლო უკუეთუ მოქმედებით ოდენ ბოროტ  
 არს, მოქმედებადცა იგი არასადმე შეუცვალებ-  
 ელ არს. თა ესე თუმცა არა, ვინამცა იყვნეს  
 სათნოებანი, არა თუმცა კეთილის სახედ იქმნე-  
 ბოდეს იგინი. ჴინაჲცა ესელა დაუშთა ბოროტსა,  
 რაათა უძღურება იყოს და მოკლება კეთილისა.

31. კეთილთა შიზეზი ერთ არს. თა უკუეთუ  
 ღეთილი ბოროტისა წინააღმდგომ არს, ბორო-  
 ტისა სადმე მიზეზნი მრავალ არიან; არა ხოლო  
 ესე, გარნა ბოროტის მოქმედ არა სიტყუანი არ-  
 იან და ძალნი, არამედ უძღურებად და პირუტყუ-  
 ებად და უზომოდ თანა აღრევაჲ უმსგავსოთაჲ.  
 წრცა მარადის მოძრავ და მარადის მასვე ზედა  
 მყოფ არიან ბოროტნი, არამედ უზომო და უს-  
 აზღვრო და სხვთი-სხუად მიმომგრდომ და ესე  
 ურიცხუთა მიმართ. აეჭუელად ყოველთა და  
 ბოროტთაცა დასაბამი და დასასრული ღეთილი  
 არს. ჴამეთუ ღეთილისა ძლით არს ყოველი,  
 რაოდენი კეთილ არს და რაოდენი წინააღმდგომ  
 არს. ჴამეთუ რაჟამს ბოროტთაცა ვიქმოდით,  
 ვითარცა კეთილსა ეგრეთ ვიქმთ მათ (ვინაჲთ-  
 გან არავინ ბოროტისა მიხედვითა ჰყოფს, რა-  
 ს-იგი ჰყოფს). ჴინაჲცა არცაღა გუამი აქუს  
 ბოროტსა, არამედ გარემოდსი გუამისა და იგიცა  
 არა მისთვის, არამედ ღეთილისათჳს ქმნული.

32. წმისთვის ბოროტისა ყოფად შემთხუვეით-  
 ად განიწესებოდენ, ვითარმცა სხვსა შორის და  
 არა თავით თვსით აქუნდა დასაბამი. ჴინაჲცა  
 რაოდენი რაჲ იქმნების, მართალ ქმნილად სა-  
 გონებელ არს, რამეთუ ღეთილისათჳს იქმნების.  
 ღოლო რომელი რაჲ არა მართალ იყოს, ესე  
 ამისთვის, რამეთუ არა კეთილად გულისჴმა-ვჴყ-  
 ოფთ კეთილისა. ჴანცხადებულ არს უკუე  
 სხუა-ყოფად სასურველისაჲ და სხუა-ყოფად  
 საქმეთა ქმნადთაჲ. ჴინაჲცა ბოროტსა დაესა-  
 ვა, ვითარმედ გარეგან გზისა არს და თვნიერ  
 განხილვისა და თვნიერ ბუნებისა და თვნიერ  
 მიზეზისა და თვნიერ დასაბამისა და თვნიერ  
 დასასრულისა და თვნიერ საზღვრისა და თვნიერ  
 განზრახვისა და თვნიერ გუამისა.

ჴინაჲცა მოკლებაჲ სადმე არს ბოროტ და  
 ჴუებულებაჲ და უძღურებაჲ და უსწოროებაჲ და  
 ცოდვაჲ და უსაგნობაჲ და უკეთურებაჲ და უცხ-  
 ოვლობაჲ და უგონებობაჲ და უსიტყუელო-  
 ბაჲ და უსრულობაჲ და დაუმტკიცებლობაჲ და  
 უმიზეზობაჲ და უსაზღვროობაჲ და უშობლობაჲ  
 და უქმობაჲ და უმწნობაჲ და დაუნყნარებლობაჲ  
 და უმსგავსოობაჲ და უზომობაჲ და სიბნელე  
 და უარსობაჲ და თვთ ბოროტი არასადა არა-  
 ოდეს არარაჲ არა არს.

ჴითარ ყოვლად შეუძლოს რაჲმე ბოროტ-  
 მან კეთილსა თანა-აღრევისა შორის? რამეთუ  
 ყოვლად უნაწილოჲ ღეთილისაგან არცა არს რაჲ,  
 არცა შესაძლებელ არს ყოფად. ჴამეთუ უკუე-  
 თუ ღეთილი წრს არს და მნებებელ და კეთილად  
 შემძლებელ და მოქმედ, ვითარ უძლოს რაჲმე  
 წინააღმდგომმან ღეთილისამან, დაკლებულმან  
 განზრახვისაგან და ძალისა და მოქმედებისა?  
 არა ყოვლად ყოველთა ყოველსა ზედა იგივე  
 მასვე და ერთსა ზედა ბოროტ არს. ჴამეთუ  
 ეშმაკი ბოროტ არს კეთილისა სახისა ბუნები-  
 საგან გარდაქცევითა, ხოლო სული – გარეგან  
 სიტყვერებისა განვრდომითა, ხოლო ჴორცნი –  
 გარეგან ბუნებისა მიდრეკითა.

33. ჴითარ სადა იყოს ბოროტი ყოვლითურთი  
 ყოფასავე თანა წინააღმდგომისა განგებულებისა-  
 სა? რამეთუ ვითარ-იგი არს არსებითი ბოროტი,  
 არცა ყოვლად არს, არცა არსთა შორის არს. თა  
 არარაჲ არს არსთაგანი წინა-განუგებელ; არცა  
 წრს არს ბოროტი, ვითარმცა შეურევენელ იყო  
 ღეთილისაგან. თა უკუეთუ არარაჲ არსთაგანი  
 მიუღებელ არს ღეთილისა, ბოროტ არს მოკ-  
 ლებაჲ ღეთილისაგან, ხოლო არარაჲ არსთაგანი

ყოველითურთ მოკლებულ არს ღეთილისაგან. ჟამეთუ ყოველთა არსთა შორის არს საღმრ-  
 თოდ წინა-განმგებლობად და არარად არს არ-  
 სთაგანი წინა-განუგებელ, არამედ ქმნულთა  
 მათცა ბოროტთა კეთილის შუენიერად იწუმევს  
 წინა-განმგებლობად მათთვისვე ანუ სხუათა, თუ-  
 საგანად, ანუ ზოგადად სარგებელად და შემს-  
 გავსებულად თითოეულისა არსთა მოქმედებისა  
 წინა-განმგებლობს. ღინადცა არა მივითუალა-  
 ვთ ჩუენ მრავალთასა მას ცუდის-მეტყუელე-  
 ბასა, რომელნი იტყვან, ვითარმედ უჭმდა წინ-  
 ა-განმგებლობასა, რათამცა უნებლიეთცა  
 სათნოებად მიგვყვანებდა ჩუენ. ჟამეთუ გან-  
 რწნად ბუნებისად არა წინა-განმგებლობისად  
 არს. წმისთვისცა, ვითარცა წინა-განმგებლო-  
 ბად თითოეულისა ბუნებისა მაცხოვრებელი თუ-  
 თმოდრავთა, ვითარცა თუთმოდრავთა ზედა წინ-  
 ა-განმგებლობს და ყოველთა და თითოეულ-  
 სა, შემსგავსებულად ყოვლისა და თითოეული-  
 სა, რაოდენ წინა-განსაგებელთა მათ ბუნებად  
 მიითუალავს ყოვლისავე და ყოველით კერძოდა  
 წინა-განმგებლობისაგან მიცემულთა შემს-  
 გავსებულად თითოეულისა წინა-განგებითთა  
 სახიერებათა.

34. წრასადმე წრს არს ბოროტი, არცა არს-  
 თა შორის არს ბოროტი. ჟამეთუ არასადა არს  
 ბოროტი, ვითარ იგი არს ბუნებითი ბოროტი,  
 ხოლო ბოროტ-ყოფად არა ძალისად არს, არამედ  
 უძღლურებისად. წა ეშმაკთაცა, რომელი-იგი არ-  
 იან, ღეთილისაგან არიან და კეთილ არს არსე-  
 ბად მათი. ღოლო ბოროტებად მათი თვთ მათი-  
 სა მისგან არს კეთილთაგან განვრდომილებისა  
 და შეცვალება მათდა, მოუძღლურებად იგი მათი  
 სრულებისა მისგან მისვეობისა და წესისა  
 ანგელოზ-შუენიერთა კეთილთადასა, ვითარ-  
 ნი-იგი შეეტყუებოდეს მათ. წა ამით კერძო-  
 თა სურისცა ღეთილისათვს, რომლითა არიან  
 და ცხოვლობენ და სცნობენ და წადიერობენ.  
 წა დაღაცათუ არა ღეთილისათვს სურის, არა  
 არსისათვს სურის. ღინადცა არა არს ესე მათ-  
 და სურვილ, არამედ ჴუებულება ჴემშარიტისა  
 სურვილისაგან.

35. წჰა ეგერა მეცნიერებით მცოდველთა-  
 ცა უწოდენ ჩერილნი სახელსა მეცნიერებისა-  
 სა, რომელნი-იგი დაუფინყებელისაგან კეთილთა  
 მეცნიერებისა გინა მოქმედებისა მოუძღლურე-

ბულ იყვენ და კუალად უწყებულთა ნებისათა  
 და არა მყოფელთა, რომელთა ასმიოდის საღმე,  
 ხოლო მოუძღლურებულ იყენიან სარწმუნოები-  
 სა მიმართ ანუ მოქმედებისა კეთილთადასა. წა  
 არამნებებელთა კეთილისა გულისწმის-ყოფი-  
 სათა გარდაქცეულებითა გინა მოუძღლურები-  
 თა ჯეროვნისა მნებებელობისადათა კეთილისავე  
 სახელთა მისცემენ არა კეთილად მწუმეველთა  
 მათ.

10 ღითარცა მრავალ-გზის გვთქუამს, ესე არს  
 ყოვლად ბოროტ უძღლურებად და ვერ შემძლე-  
 ბელობად და ჴუებულებად ანუ მეცნიერებისად  
 გინა დაუფინყებელისა მეცნიერებისად, ანუ სარ-  
 წმუნოებისად, ანუ სურვილისად, ანუ კეთილისა  
 15 მოქმედებისად, არამედ თქუას ვინმე, ვითარმედ  
 არა სატანჯველ არს უძღლურებად, უფროდასა  
 შესანდობელცა. ღოლო მე მიუგებ: უკუეთუმცა  
 ვერ შესაძლებელ იყო მოგებად სიმრთელისა,  
 აქუნდამცა კეთილ-ყოფად სიტყუასა მაგას; ხო-  
 20 ლო უკუეთუ კეთილისაგან არს შეძლებად და ჴგი  
 ყოველთა უშურველად და ერთ-სახედ მისცემს,  
 ვითარი შეჰგვანდეს თითოეულსა მეძიებელთ-  
 აგანსა, არა საქებელ არს ჴუებულებად ღეთილ-  
 ისაგან და გარე-მიქცევათ თვსთა კეთილთა  
 25 ჩუეულებისაგან ლტოლვით და განვრდომით.

ღარწა ესე ჩუენ მიერ «სიმართლისა და საღმ-  
 რთოთა მშჯავრთათვს» თქუმულსა შინა ძალი-  
 საებრ კმა-საყოფელად ითქუა, რომლისა დიდსა  
 საქმეთ-შემოღებასა შინა სიტყუათ-ჴემშარიტე-  
 30 ბამან ბრძენთა იგი თქუმულნი სიცრუისა და  
 უსამართლოებისა მეტყუელნი იმერთსა ზედა,  
 ვითარცა სულელთა სიტყუანი, შორს წარრიტნა.

ღოლო აწ, რაოდენ ჩუენგან კმა იყო, იგალო-  
 ბა სახიერებად, ვითარცა ნამდვლვე საკვრველე-  
 35 ბად, ვითარცა წასაბამი და წლსარული ყოვ-  
 ელთა, ვითარცა შემცველი არსთა, ვითარცა  
 სახემყოფელი არა-არსთა, ვითარცა შიზეზი  
 ყოველთა კეთილთა, ვითარცა არა მიზეზი  
 ბოროტთა, ვითარცა წინა-განმგებლობად და  
 40 სახიერებად ყოვლად სრულებითი და ჴემშთა-  
 აღმატებული ყოველთა არსთა და არა-არსთა,  
 რომელი თვთ მას ბოროტსაცა და ძუსსა მოკ-  
 ლებისა ქმნასა სხვსა შორის კეთილვე ჴყოფს. წა  
 ყოველთა სასურველ არს და სატრფიალო და  
 საყუარელ და სხუად, რაოდენი რად ჴემო-კერ-  
 ძო განაცხადა, ვითარ მგონიეს, ჴემშარიტმან  
 სიტყუამან.

ნამდვლმისათჳს,როჴლისა შინა არს სახმითჳსსა

1. ჴმცვალებლობდე ან ნამდვლვე წრსისა მიმართ, ნამდვლვე ნამდვლვისა იმრთის-მეტყუ-  
 ელებითისა არსებათ-სახელობისა და ესე ხოლო  
 მოგაჴსენო, ვითარმედ პირი სიტყჳსაჲ არა თუ  
 ზემთაარსებისა წრსებასა ზემთაარსებისად სა-  
 ჩინო ჰყოფს (რამეთუ გამოუთქუმელ არს ჴგი  
 და უცნაურ და ყოვლად გამოუცხადებელ და  
 ძუთ მის წრთობისა (ზემთააღმატებულ), არ-  
 ამედ არსებათ-მოქმედსა ყოველთა წრსთა-  
 სა იმერთ-მთავრობითსა არსებათ-დასაბამად  
 გამომავლობასა უგალობს. ჴამეთუ სახიერე-  
 ბისა იმრთის სახელობაჲ ყოველთაჲე ყოვლი-  
 სა მიზეზისა გამომავლობათა გამოაჩინებს; და  
 არსთაჲე მიმართ და არა-არსთა განეფინების  
 და ზემთაარსთაჲსა და ზემთა არა-არსთაჲ-  
 სა არს; ხოლო წრსი ყოველთა მიმართ არს-  
 თა განეფინების და ზემთა არსთაჲსა არს; ხო-  
 ლო ცხორებაჲ ყოველთა მიმართ ცხოველთა  
 განეფინების და ზემთა ცხოველთაჲსა არს; ხო-  
 ლო სიბრძნე ყოველთა მიმართ სიტყჳერთა და  
 მცნობელთა და გრძნობადთა განეფინების და  
 უზეშთაჲს ამათ ყოველთაჲსა არს.

2. წმათდა უკუე ქებად სურვილ არს სი-  
 ტყუაჲ წინა-განგებულებითსა საჩინოებასა იმ-  
 რთის სახელთაჲსა; და არა გამომთარგმანებ-  
 ლობს თვთზეშთაარსებისასა მას სახიერებასა  
 და წრსებასა და ცხორებასა და სიბრძნესა,  
 თვთზეშთაარსებისა მის იმრთეებისასა ზემთა  
 ყოველთა სახიერებათა და იმრთეებათა და არ-  
 სებათა და სიბრძნეთა და ცხორებათასაობასა,  
 რომელი დაფარულთა შინა ზემთადამყარებულ  
 არს, ვითარ-იგი სიტყუანი ჭერილთანი იტყჳან  
 მისთჳს (ფს.17,12; 80,8); არამედ გამოცხადებულსა  
 ჳეთილის მოქმედებითსა წინა-განმგებლობასა  
 ზემთასიკეთისაჲსა მის ჳეთილისასა და ყოველ-  
 თა კეთილთა შიზეზსა უგალობს. თა წრსსა და  
 ცხორებასა და სიბრძნესა არსებათ-მოქმედისა  
 და ცხოველს-მყოფელისა და სიბრძნის მომცე-  
 მელისა შიზეზისასა ჴადაგებს მათთჳს, რაოდენ-  
 ნი მიმღებელ არიან არსებისა და ცხორებისა  
 და გონებისა და სიტყჳსა და გრძნობისა. Ⴢოლო  
 არა სხუად ვიტყჳ ყოფად სახიერებასა და სხუად  
 წრსსა და სხუად ცხორებასა, გინა სიბრძნესა,  
 არცა მრავალთა მიზეზთა და სხუათა სხჳსა არ-  
 სად მომყვანებელთა იმრთეებათა, უზეშთაჲს-

თა და უდარესთა, არამედ ერთისა იმრთისაგან  
 5 დავამტკიცებ ყოველთა კეთილებისა წინა-გამო-  
 სავალთა და მისვე ერთისად ვიტყჳ წუენ მიერ  
 საგალობელ ქმნულთა ამათ იმრთის სახელ-  
 თა. თა რომელთაჲე მათგანთა ყოვლითურთ  
 საჩინო-მყოფად ვიტყჳ ერთისა მის იმრთი-  
 10 სა წინა-განმგებლობათა, ხოლო რომელთაჲე  
 ყოვლითურთთა (და მისთა და უსაკერძოესთა (ცა.

3. წრამედ თქუას ვინმე, ვითარმედ ვინაჲთ-  
 გან არსისასა ცხორებაჲ და ცხორებისასა სი-  
 15 ბრძნე ზემთა-აღმატების, ეგრეთვე სადმე  
 არსთასა ცხოველობაჲ, ხოლო რაოდენნი ცხ-  
 ოველ არიან ამათსა გრძნობადნი და კუალად  
 ამათსა სიტყჳერთნი და სიტყჳერთასა საცნაურნი  
 უზეშთაჲს არიან და იმრთისა თანა არიან და  
 20 უფროესად შისდა მახლობელ არიან? რამეთუ  
 უჴმდა უმეტესთა ნიჴთა იმრთისათა მიმღებელ-  
 თა უმეტესობაჲცა და ქონებაჲ სხუათა ზემთაო-  
 ბისაჲ. წრამედ უკუეთუმცა ვინმე უარსობასა  
 და უცხოველობასა იტყუოდა საცნაურთათჳს,  
 25 კეთილიმცა აქუნდა სიტყუასა მაგას ადგილი  
 სამართალობისაჲ, ხოლო უკუეთუ არიან საღმ-  
 რთონი გონებანი ზემთა ყოველთა შემდგომთა  
 არსთა და ცხოველობენ უფროეს სხუათა ცხოვე-  
 ელთა და სცნობენ და უწყიან უფროეს გრძნო-  
 30 ბისა და სიტყჳსა და უფროეს ყოველთა არსთასა  
 არიან მოსურნე და მიმღებელ ჳეთილისა, ამიერ  
 ცხად არს, ვითარმედ იგინი სადმე უფროეს და  
 უმეტეს არიან მახლობელ და მიმღებელ სახი-  
 ერებისა და უმრავლესთა და უმეტესთა ნიჴთა  
 35 მიიღებენ შის მიერ, რაოდენ ესე სიტყჳერთა  
 აქუს უზეშთაჲსობაჲ უფროეს მგრძნობელთა-  
 სა, ვითარცა მიმზუეჴელთა სიტყჳერებისათა,  
 და კუალად მგრძნობელნი გრძნობითა ჰმატან  
 უგრძნობელთა ცხოველთა და ცხოველნი ცხ-  
 ოველობითა სრულიად უცხოველთა და უძრავ-  
 40 თა. თა არს ჴემმარტიჲ ესე, ვითარ მე მგონიეს,  
 ვითარმედ უფროესად მიმღებელნი ერთისა ამის  
 იმრთისა ნიჴ-განუზომელობისანი უმახლობე-  
 ლეს არიან მისსა და უსაღმრთოეს სხუათა მათ  
 45 მათსა უნაკლულეგანესთასა.

4. Ⴢოლო ვინაჲთგან ამათთჳს ვთქუთ, მოვედ  
 ამიერითგან, რაჲთა უგალობდეთ სახიერებასა,  
 ვითარცა ნამდვლვე წრსსა და ყოველთა არს-

თა არს-მყოფელსა, რომელი-იგი არს ჴი ღაგ-  
 ადი ზემთაარსებისა(გამს.3,14), არს ყოვლისავე  
 ძალისაებრისა ყოფისა, გუამ-მყოფელ, მიზეზ  
 და დამბადებელ ნამდვლვისა, მყოფობისა, გუა-  
 მისა, არსებისა, ბუნებისა, დასაბამ და საზომ  
 5 ჟამთა და საუკუნეთა, არსობა და საუკუნე არ-  
 სთა, ჟამ-ქმნადთა ყოფა ესრეთ ვითამე მყოფთა,  
 შესაქმე ესრეთ ვითამე შექმნულთა. ჩამდვლვე  
 ამის ორსისაგან არიან საუკუნენი და არსებად  
 და ყოფად და ჟამი და ქმნა და ქმნადნი, არსთა  
 10 შორის არსნი და ესრეთ ვითამე მყოფთა შო-  
 რის მყოფნი. ოა რამეთუ იმერთი არა ესრეთ  
 ვითამე არს, არამედ მარტივ და გარე-შეუსაზ-  
 ღვრებელობით ყოველივე ყოფად თავსა შორის  
 ძესსა აქუს და პირველითგანვე აქუს; ვინადაცა  
 15 შეუფედ ითქუმის საუკუნეთა(ტიმ.1,17), ვითარ-  
 ცა შის თანა და შის შორის მპყრობი ყოვლისავე  
 ყოფისა და არს-ყოფისა და დგომისაა. ოა არ-  
 ცა იყო, არცა იყოს, არცა იქმნა, არცა იქმნეს,  
 არცა ქმნულ არს, უფროდსა არცა რად იყოს  
 20 ორსთაგანი. ჴამეთუ ჴი არს ყოფად მყოფთა;  
 და არა ხოლო მყოფთა ყოფა არს, არამედ არ-  
 ამყოფთაცა და ყოფადთა ყოველთა ყოფად პირ-  
 ველ საუკუნითგან თავსა შორის ძესსა აქუნდა,  
 რამეთუ ჴი არს საუკუნე საუკუნეთა, ჴომელი  
 25 იყო პირველ საუკუნეთა.

5. ხუალად ვიქცეთ უკუე და ვთქუათ, ვი-  
 თარმედ ყოველთა არსთა და საუკუნეთა ყო-  
 ფად პირველთაგან შყოფისაგან არს. ოა ყოვე-  
 30 ლივე ჟამი და საუკუნე შის მიერ არს, ხოლო  
 ყოვლისავე ჟამისა და საუკუნოსა და ყოვლის-  
 ავე ვითარ-რამე მყოფისა ოასაბამ და შიზეზ  
 პირველითგან მყოფი ჴი არს; და ყოველივე  
 მიიღებს შისგან და არცა ერთისაგან არსთა-  
 35 განისა განყოფილ არს; და ჴი არს პირველ  
 ყოველთა და ყოველივე შის შორის დგას; და  
 ერთბამად რადცა-რად ვითარ-რამე არს პირ-  
 ველითგან შყოფისა შორის და არსცა და ითქუ-  
 მისცა მოგონებად და ცხოველ-ყოფად; და პირ-  
 40 ველ ყოველთა მისგან მისაღებელთა სხუათასა  
 ყოფად მიეცემის; და არს შის მიერი თესაგან ყო-  
 ფად უმოხუცებულეს თვთცხოველ-ყოფისასა და  
 თვთსიბრძნე-ყოფისასა და თვთმსგავსება საღმ-  
 45 რთო-ყოფისასა; და სხუათა ყოველთა, რაოდენი  
 რად შისგან არსთა მიაქუს, პირველ ყოვლისსა  
 ყოფად მიაქუს; უფროდსა, მასვე ერთბამად  
 ყოველსა, რომელსა არსობად მიაქუს, მასვე იგ-  
 ივე ყოფად მიაქუს. ოა არა არს არსი, რომლისა

არა არსება და საუკუნე არს თვთყოფად იგი.  
 ოინაითგან უკუე ყოველთავე სხუათასა უპ-  
 1 ირატეს არს ორს-იმერთი, ამისთჳს სამართ-  
 ლად უმოხუცებულესისაგან ნიჭთა მისთადა  
 იგალობების. ჴამეთუ პირველითგან ყოფად  
 და ზემთაყოფად პირველითგან აქუს და ზემ-  
 თამქონებელ არს ყოფისასა. ოსე იგი არს, რომელ  
 ვიტყვ, ვითარმედ ყოველსავე შის მიერსა თვთ  
 იგი ყოფადცა თჳსი შის შორის წინათვე აქუნდა  
 10 და შისდად ყოფად ყოვლისადა, ვითარ-სახედ რად  
 არს, წინა-განსაზღვრებულ იყო. ჴამეთუ დასა-  
 ბამნი არსთანი ყოველნივე ყოფისა მიმღებელ  
 არიან და პირველად არიან და ეგრეთლა დასაბამ  
 არიან. ოა გნებავს თუ ცხოველთა, ვითარცა ცხ-  
 15 ოველთა, დასაბამ გამოჩნდების თვთ-ცხოვრება;  
 და მსგავსთა, ვითარცა მსგავსთა – თვთმსგავსე-  
 ბად; და შეერთებულთა, ვითარცა შეერთებულ-  
 თა – თვთერთობად; და განწესებულთა, ვითარცა  
 განწესებულთა – თვთწესი; და სხუათა, რაოდენ-  
 20 ნი ამას, გინა მას, ანუ ორთავე, გინა მრავალთა  
 მიმღებელ არიან. ოსე ანუ იგი, ანუ ორივე, გინა  
 მრავალი საპოვნელ არს თვთმისაღებელთაგანი,  
 რომელთა პირველად მისაღებელად აქუს ყოფად  
 და პირველად ყოფად დაადგრების და ეგრეთლა  
 ამის გინა იმის რადსმე დასაბამნი მიმღებელად  
 25 ყოფისა და არსობისა და მისაღებელთა. ღოლო  
 უკუეთუ მისაღებელსა შორის ყოფად არს, ფრი-  
 ად სადმე უფროდს მისგან მიმღებელთა შორის.

6. ოა ვინაითგან თვთყოფისა ნიჭი უპირა-  
 3 ტესად მოუცემიეს თვთსახიერებასა, ამისთჳსცა  
 უპირატესად უკუე მისაღებელთა მისთა უმოხ-  
 უცებულესისაგან იგალობების. ოა შისგან და  
 შის შორის არს თვთყოფადცა იგი და დასაბამნი  
 35 არსთანი და ყოველნი არსნი და რაოდენნი ვი-  
 თარ-სახედცა რამე ყოფითა იპყრობებიან. ოა  
 ესე განუყოფელად და შეერთებულად და ერ-  
 თობითად. ჴამეთუ ერთობასაცა შინა ყოველივე  
 რიცხვ ერთ-სახეობით წინათვე მყოფ არს და  
 40 აქუს ყოველივე რიცხვ ერთსა თავსა შორის თჳს-  
 სა მარტოებით და ყოველივე რიცხვ შეერთებულ  
 არს ერთსა შინა. ღოლო რაოდენ ერთობისა-  
 გან წინა-განვიდოდის, ესოდენ განირჩევის და  
 განმრავლდების. ოა წერტილსა შინაგან თჳსსა  
 45 აქუს ერთბამობითი ერთობად ყოველთა მათ  
 გარე-მონერილთა სიმრგულეთა. ოა ყოველნივე  
 იგი მართლ განმავალნი გზანი თავსა შინა თჳსსა  
 ჰქონან ნიშანსა ერთ-სახეობით შეერთებულად  
 ურთიერთასცა და ერთისა მისცა დასაბამი-

სა მიმართ; რომლისაგან პირველ გამოვიდეს, და თვით მის წერტილისა მიმართ ყოვლითურთ შეერთებულ არიან. ღოღო მცირედ რად მისგან განიყოფებოდინ, მცირედ ურთიერთასცა განიყოფებიან; და რაოდენ მისგან უფროდს-რე განეშორებოდინ, ურთიერთასცა უფროდს განეშორებებიან; და რაოდენ წერტილსა მას მიეახლებოდინ, ესოდენვე მასცა და თავთა თვსთაცა შეერთებიან; და რაოდენ მისსა მშორებელ იყვნენ, ეგოდენვე ურთიერთასცა შორიელ არიან.

7. წრამედ ყოველსა მას შინაცა ყოველთა ბუნებასა ყოველნივე თითოეულისა ბუნებისა სიტყუანი შეერთებულ არიან ერთბამობითა შეურევენელისა ერთობისაათა. ნა სულსაცა შინა ერთსახეობით არიან კერძობითნი ყოველთანი წინა-განმგებლობითნი იგი ძალნი ყოვლისა გუამისანი. ღინააცა არა უჯერო არს წულილადთა სახეთაგან ყოველთა შიზეზისა მიმართ აღმავალთათვს ზეშთასოფლისაათა თუალითა განცდად ყოვლისავე ყოველთა შიზეზსა შორის, ვითარ ურთიერთას წინააღმდგომნი, ერთსახე და შეერთებულ არიან. ჟამეთუ წასაბამი არს არსთაჲ, ჟომლისა მიერ არს ყოველთა თვთყოფააცა იგი და ყოველივე ესრეთ ვითამე ყოფაჲ, ყოველი დასაბამი, ყოველი დასასრული, ყოველი ცხორებაჲ, ყოველი უკუდავებაჲ, ყოველი სიბრძნე, ყოველი წესი, ყოველი შენაწევრებაჲ, ყოველი ძალი, ყოველი ცვაჲ, ყოველი დამყარებაჲ, ყოველი გებაჲ, ყოველი მოგონებაჲ, ყოველი სიტყუაჲ, ყოველი გრძნობაჲ, ყოველი გუარი, ყოველი დგომაჲ, ყოველი ძრვაჲ, ყოველი ერთობაჲ, ყოველი შეზავებაჲ, ყოველი მეგობრობაჲ, ყოველი მომზავებელობაჲ, ყოველი განრჩევის-ყოფაჲ, ყოველი საზღვარი და სხუანი, რაოდენნი არიან არსთა მიერნი გამოხატვანი ყოველთა არსთანი.

8. ნა ამისვე ყოველთა შიზეზისაგან არიან საცნაურნი და მცნობელნი არსებანი იმრთის სახეთა ანგელოზთანი და ბუნებანი სულთანი და ყოვლისა სოფლისანი და ვითარ-რაჲმე გინა სხუათა შინა მყოფნი ანუ მოგონებით ვითამე მყოფად სათქუმელნი. ჟამეთუ ყოვლად წმიდანი იგი და უმოხუცებულესნი ძალნი ნამდვლვე ზეშთა არიან და რეცა თუ წინაბჭეთა არსებათა უზეშთაესისა სამებისათა დამყარებულ არიან. ჟამეთუ შის შორის და შისსა მიმართ აქუს ყოფააცა და იმრთის სახე-ყოფააცა და შემდგომო-

ბით მათსა უდარესნი უდარესრე და უუკუანაჲსკენელესნი უუკუანაჲსკენელესრე, რეცა სხუათა მათ უზენაესთა მათსა ანგელოზთასა, ხოლო ჩუენსა იგინიცა ზეშთასოფლისაადვე. ნა სულნიცა და სხუანი ყოველნი არსნი შისვე ყოველთა შიზეზისა სიტყუასაგან მქონებელ არიან ყოფასა და კეთილად ყოფასა, არსობასა და კეთილ-არსობასა, რამეთუ შის შორის არს არსობაჲ და კეთილ-არსობაჲ პირველითგან შყოფისა შისგან და კეთილად ყოფისა მქონებელისა; შის მიერ დაინყებვის და შის შორის შეიცვების და შის შორის სრულ იქმნების. ნა უმოხუცებულესობაჲ ყოფისაჲ მიეცემის უზეშთაესთა მათ არსებათა, რომელთაცა-იგი საუკუნე უწოდს სიტყუაჲ.

15. ღოღო შისდად ყოფაჲ არსთა ყოველთაჲ არაოდეს მოაკლდების. ნა თვთყოფააცა იგი პირველითგან შყოფისაგან არს და შისი არს ყოფაჲ, ხოლო წვთ ღგი არა ყოფა არს; და შის შორის არს ყოფაჲ, არა თუ ღგი ყოფისა შორის; და შას აქუს ყოფაჲ, არათუ ღგი აქუს ყოფასა; და ღგი არს ყოფისა საუკუნე და წასაბამ და საზომ, ჟომელი-იგი არს პირველ არსებისა და ყოფისა და საუკუნოჲსა და ყოველთა არს-მყოფელ წასაბამ და წინაზოგება და წასასრულ. წმისთვს სიტყუათა მიერ წერილისათა ნამდვლვე პირველითგან შყოფი ღგი ყოვლისავე არსთა მოსაგონებელისათვს მრავალ-წანილ იქმნების; და იყოჲ და არსი და იყოსი და იქმნაჲ და იქმნებისი და იქმნესი შისთვს საკუთრებით იგალობებიან. ჟამეთუ ესე ყოველნი იმრთივ-შუენიერებით გულისწმის-მყოფელთა ყოველსა ცნობასა შისსა ზეშთაარსებისა ყოფად მომასწავებელ ექმნებიან. ნა ვითარ-იგი ყოვლით კერძო მიზეზ არს ყოველთა არსთა. ჟამეთუ არა ამის რაჲსმე მიზეზ არს, ხოლო იმის რაჲსმე არა, არცა ოდესმე არს და ოდესმე არა არს, არამედ ყოველივე არს, ვითარცა ყოველთა შიზეზი და შის შორის მპყრობელი ყოველთა დასაბამთა და ყოველთა დასასრულთაჲ; რამეთუ ყოველთავე არსთა იპყრობს და წინათვე იპყრობს. ნა ზეშთა მათ ყოველთა არს, ვითარცა პირველ ყოველთა ზეშთაარსებისა ზეშთა-მყოფი. ღინააცა ყოველივე რაჲმე შას ერთბამად სახელ-ედების და არცა ერთი არს მათ ყოველთაგანი; ყოველ-ხატი, ყოველ-სახე, უსახოჲ, უსიკეთოჲ, დასაბამსა და საშუვალსა და დასასრულსა არსთასა უთვსოდ და აღმატებულად თავსა შორის წვსსა წინათვე მქონებელი და ყოვლისავე ყოფისა ერთობითთა და



ზეშთა-შეერთებითა მიზეზითა უხრწნელად გამომაბრწყინებელი.

ქამეთუ უკუეთუ ჩუენ შორისი ესე მზე გრძნობადთა ამათ არსებათა და რომელობათა დაღაცათუ მრავალ და თითო-სახე არიან, გარნა ეგრეთცა იგი, რომელი ერთ არს და ერთ-სახისა ნათლისა გამომაბრწყინებელ, განაახლებს და ზრდის და სცავს და სრულ ჰყოფს და განარჩევს და შეაერთებს და განატფობს და შობის მოქმედ ჰყოფს და აღაორძინებს და სცვალებს და დაამყარებს და აღმოაცენებს და ძრავს და ცხოველ ჰყოფს ყოველთა და ყოველივე თითოეული თვსად საკუთრად მისდად მიიღებს მასვე და ერთსა მზესა; და მრავალთა მათ მიმღებელთა მიზეზნი ერთსა და მასვე მზესა თავსა შორის თვსსა ერთ-სახეობით წინათვე მიუხუმან; ფრიად სადმე უფროს თავისაცა თვისისა და ყოველთა შიზეზისა შორის ყოველთა არსთა იგავნი ერთითა ზეშთაარსებითითა ერთობითა პირველითგანვე მყოფად შენდობილ იქმნენ, ვინათგან არსებათა მოიყვანებს არსებათაგანითა შეტყუებითა. ღოლო იგავ-ყოფად ვიტყვით იმრთის შორისთა მათ არსებათ მოქმედთა და ერთობითად წინა-მყოფობითთა სიტყუათა, რომელთა იმრთის-მეტყუელებად წინა-განსაზღვრებად უწოდს და საღმრთოდ და კეთილად ნებად განმაჩინებელად და მოქმედად არსთა, რომლითა ზეშთაარსებისამან მან ყოველნი არსნი წინა-განსაზღვრნა და მოიყვანნა.

9. ღოლო უკუეთუ ფილოსოფოსი **ჰლეგენტოს** რაჲსა მიმართთა სახეთა უდასაბამიერესად უწოდს არსთა შორის, პირველად უკუე ამისთვის, რამეთუ არა საკუთართა და ყოვლითურთა და მარტივად საყოველთაოთა სახელთათვს არს სიტყუად მისი. ღოლო შეუნდოთ თუ ამისი მართლ თქუმად იმრთის-მეტყუელებისად მოვიწსენოთ ესრეთ მეტყუელებად, ვითარმედ არა ამისთვის გიჩუენენ შენ ესენი, რაჲთა მიხვდე შედგომად მათდა(გამს.თ.25), არამედ რაჲთა ამათდა შესატყვისითა მეცნიერებითა, რაოდენ გუეძლოს, ყოველთა შიზეზისა მიმართ აღყ-

ვანებულ ვიქმნეთ. წმისთვის უკუე ყოველივე ესე არსთა საქმე თვთ მათ ყოველთა არსთა ერთბამობით ზეშთა-აღმატებულსა ცნობასა მიუტეოთ. წინათგან ყოფისაგან არსებათ-მოქმედისა წინა-გამომავლობისა და სახიერებისა ინყებს და ყოველთა მიმართ მიინვეის და ყოველთა შისგან ყოფასა აღავსებს და ყოველთა არსთა ზედა იხარებს, ყოველივე თავსა შორის ძვსსა წინათვე აქუს ერთბამობითი სიმარტივისა ზეშთააღმატებულებად განშორებად ყოვლისა ორ-კერძობისაგან, ყოველივე სწორებით შემოუკრებიეს ზეშთაგანფენილითა მით განუზომელობითა შისითა და ყოველთა მიმართ ერთბამობით მიიღებვის, ვითარცა-იგი წმად ერთ იყვის და იგივე მრავალთა მიმართ სასმენელთა მიიღებვოდის, ვითარცა ერთი და იგივე.

10. ყოველთავე უკუე არსთა წასაბამ და წასასრულ არს პირველითგან შყოფი იგი: წასაბამ უკუე, ვითარცა შიზეზი, ხოლო წასასრულ, რამეთუ შის ძლით არიან ყოველნი – და წასასრულ ყოველთა და დაუსრულებელობა ყოვლისავე დასასრულისა და დაუსრულებელობისა ზეშთააღმატებით, ვითარცა წინააღმდეგობთა. ქამეთუ ვითარ-იგი მრავალ-გზის თქუმულ არს, ერთსა შინა ყოველნი არსნი პირველითგან ჰქონან და დაუბადებიან და ყოველთა თანა არს და ყოვლით კერძო და ერთსა და მასვე შინა და შისთვისვე არს ყოველი; და ყოველთა მიმართ წინა-გამომავალ არს და ჰვიეს თავსავე შინა ძვსსა, დგომასაცა შინა და მოძრავობასაცა; და არცა იძრვის, არცა დგას, არცა დასაბამი აქუს გინა საშუალი ანუ დასასრული, არცა ერთსა რასმე შინა არს არსთაგანსა, არცა ყოვლად შეეტყუების შას რამე საუკუნეთაგანი, ანუ ჟამიერად მოყვანებულთაგანი, არამედ ჟამისა და საუკუნოჲსა და საუკუნოსა შინა მყოფთა და ჟამსა შინა მყოფთა ყოველთა ზეშთააღმატებულ არს, ამისთვის რამეთუ ძვთსაუკუნე არს და არსნი და საზომნი არსთანი და განზომილნი შისგან და შის მიერ არიან. წრამედ ამათ პირთათვს სხუაგან უმოცალესად-რე ითქუმოდენ!

ც ხ ო რ ე ბ ო ს ა თ ო ს

1. ღოლო ან საგალობელ ჩუენდა იყავნ ცხორებაჲ საუკუნოჲ, ჰომლისაგან არს თვთცხორებაჲ და ყოველი ცხორებაჲ და ჰომლისაგან შემსგავსებულად თითოეულისა განეთესვის ცხორებაჲ ყოველთა ვითარ-სახედცა რადმე მიმღებელთა ცხორებისათა. ჰამეთუ უკუდავთა მათ ანგელოზთა ცხორებაჲ და უკუდავებაჲ და შეურყვევლობაჲ მათი ანგელოზებრისა მის მარადის მოძრავობისაგან, შისგან და შის მიერ არს და დაბადებულ არს, ვინაჲცა მარადის ცხოველ და უკუდავ არიან და კუალად არა უკუდავ სახელ-იდებიან. ჰამეთუ არა თავით თვსით აქუს უკუდავ-ყოფაჲ იგი და საუკუნოდ ცხორებაჲ, არამედ ცხოველს-მყოფელისაგან და ყოვლისავე ცხორებისა შემოქმედობითისა და მპყრობელობითისა შიზეზისაგან. ჰამეთუ ვითარცა-იგი წრსისათჳს ვიტყოდეთ, ვითარმედ თვთ იგი არს საუკუნე, ეგრეთვე კუალად აქა ცხორებისათჳს ვიტყვთ, ვითარმედ თვთ მის ცხორებისა ცხოველს-მყოფელ და გუამ-მყოფელ არს ზეშთა-ცხოველთა იგი საღმრთოდ ცხორებაჲ, ცხოველობითი და გუამ-მყოფელობითი. თა ყოველივე ცხორებაჲ და ცხოველობითი ძრვად თვთ შის ცხორებისაგან არს უზეშთაჲს ყოველთა ცხორებათა და ყოველთა დასაბამთაჲსა ყოველთა ცხორებისა. ჰამეთუ შის მიერ აქუს სულთაცა ცხორებაჲ მოუკლებელი და ცხოველთაცა და ნერგთა ყოველთა უკუანაჲსკენელადლა ნაწმევეად ცხორებისა აქუს ცხორებაჲ, რომელი-იგი მიელეზვოდის რად ჳმისაებრ საღმრთოთა სიტყუათაჲსა, მოაკლდების ყოველი ცხორებაჲ, რომლისაგან მოკლებული იგი უძღურებაჲ მიმღებელისა მისისაჲ კუალად მოქცევითა კუალად ცხოველ იქმნების.

2. თა მიენიჭების პირველად უკუე თვთცხორებაჲ იგი ცხოველ-ყოფად და ყოვლისავე ცხორებისა და თითოეულისა მყოფთაგანისა თჳსად თითოეულისა განეკუთვნის, რადცა იგი არს, და ცხოველთა მათცა ზეშთაცათათა უნივთოსა და იმრთის სახესა და უცვალებელსა უკუდავებასა და განუზნეველსა და მიმოუტაცებელსა მარადის მოძრავობასა მისცემს, ხოლო სიმდიდრითა სახიერებისაჲთა ზეშთა-გარდაეფინების ეშმაკთაცა ცხორებისა მიმართ, რამეთუ არცა მათი ყოფაჲ სხჳსა მიზეზისაგან არს, არამედ

შისვე და ერთისა შიზეზისა ყოველთა ცხორებისაჲსაგან აქუს ცხოველ-ყოფაჲ და მდგმო-ყოფაჲ; მიანიჭებს უკუე კაცთაცა, ვითარცა შეზავებულთა, რაოდენ დასატევენელ და შესაძლებელ არს მათდა, ანგელოზთ-სახესა ცხორებასა; და გარდამატებულებითა კაცთ-მოყუარებისაჲთა მლტოლვარეობასაცა ჩუენსა თავისა მიმართ ჴვისსა მიაქცევს და აღუნოდს და უსაკრველესი ესე და ფრიად უსაღმრთოესი. შითარმედ ყოვლისავე ჩუენისაჲ, სულსა ვიტყვ და მეულლეთა მისთა ჳორცთა, ყოვლითურთად ცხორებაჲ და უკუდავებაჲ აღუთქუამს შეცვალებაჲ საქმე, რომელი ძუეელობასა ნუუკუე და გარეგან ბუნებისა შეერაცხოს, ხოლო მე და შენ და ნემშარიტებასა საღმრთოდცა და ზეშთაბუნებისაჲ.

ღოლო ზეშთაბუნებისად ვიტყვ ჩუენისა ამისთჳს ხილულობისა და არა თუ ყოველად ძლიერისა მისთჳს საღმრთოჲსა ცხორებისა. ჰამეთუ ჴგი, ვითარ-იგი არს ბუნება ყოველთა ცხოველთა და უფროდლა უსაღმრთოესთა მათ, არცა ერთი ცხორებაჲ არს შისსა გარეგან ბუნებისა ანუ ზეშთაბუნებისა. შინაჲცა ამის პირისათჳს უგუნურებანი იგი სიმონის წინაჲლსადგომელთა სიტყუათანი შორს განჳდილ იქმნენდ საღმრთოჲსაგან მწყობრისა და შენისა მაგის სამღდელოჲსა სულისაგან. ჰამეთუ ვითარ ვჳგონებ, ამით ოდენ ბრძენ-ყოფაჲ საგონებელ უჩნს და ესე დაჳვიწყების, ვითარმედ არავისსა ჯერ არს კეთილად მზრახველთაგანისა, რადთა განცხადებულნი ესე სიტყუანი გრძნობადთანი თანამბრძოლად იჳუმინეს ყოველთაგან დაფარულისა მისთჳს ყოველთა შიზეზისა. წმისი ჯერ-არს მისგან თქუმაჲ გარეგანად ბუნებისა; ხოლო ამისი თქუმაჲ, ვითარმედ გუამნი განცხოველდებიან იმრთისა, ესე არარაჲთ წინაღმდგომ არს ნემშარიტებისა.

3. ჰამეთუ შისგან ცხოველ იქმნებიან და იპყრობებიან ყოველნივე ცხოველნი და ნერგნი და რომელიცა რად სთქუა: გინა თუ საცნაური ანუ სიტყვერი, გრძნობითი ანუ მოზარდობითი, აღორძინებითი ანუ სხუად, რომელიცა სადმე ცხორებაჲ ანუ დასაბამი ცხორებისაჲ ანუ არსებაჲ ცხორებისაჲ შისგან ცხოველ არს და ცხოველობს უზეშთაჲსისაგან ყოველთა ცხორებათაჲსა. თა პირველითგან შის შორის

ყოფილ არს ერთ-სახეობითთა მიზეზობითა, ჟომელ-იგი არს ზემთაცხოველთა და ცხორების დასაბამი ცხორებად და ყოვლისა ცხორებისა არს შიზეზ და აღმავსებელ და განმყოფელ ცხორებისა და ყოვლისავე ცხორებისაგან საგალობელ მრავალ-მშობელობითა ყოველთა ცხოველთათა, ვითარცა ყოვლით კერძოდა და ყოვლისა ცხორებისაგან სახედველი და საქე-

ცაპი 8:

სიბრძნისათჳს, ჴონებისათჳს, სიტყჳსათჳს, ნაშაარბიებისათჳს

1. შოვედ, გნებაჲს თუ, რათა ვაქებდეთ სახიერსა მას და საუკუნესა ცხორებასა, ვითარცა ბრძენსა და თვთსიბრძენსა, უფროს-  
15 ლა ვითარცა ყოვლისა სიბრძნისა გუამ-ყოფელსა და უფროს ყოვლისა სიბრძნისა და გულისწმის-ყოფისა ზემთაამაღლებულსა. ჟამეთუ არა ხოლო ზემთასავსე სიბრძნითა არს იმერთი და გულისწმის-ყოფისა შისისა არა არს რიცხვ(ფს.146,5), არამედ ყოვლისავე სიტყჳსა და გონებისა და სიბრძნისა ზემთადამყარებულ არს. ზა ესე ზემთაბუნებითად გულისწმა-ყო ნამდვლვე საღმრთომან მან ზოგადმან განმანათლებელმან მზემან ჩუენმან და მოძღურისამან. შმისთჳს «სულელსა მას იმრთისსა უბრძნეს კაცთა»(1კორ.1,25) იტყჳს არა ხოლო ამისთჳს, რამეთუ ყოველივე კაცობრივი მოგონებად მაცთუნებელ არს, რაჟამს თანა-შეატყუა იგი მტკიცესა მას და მდგომსა  
30 საღმრთოთა მეცნიერებათა უსრულესობასა, არამედ ამისთჳსცა, რამეთუ ჩუეულეება აქუს იმრთის-მეტყუელთა, რათა წინააღმდგომთა შემთხუევათა მიერ ჰყოფდენ იმრთისათჳს განჩინებასა მოკლებათაგან.

ჴსრეთ «იხილავად» უწოდს სიტყუად ყოვლად ბრწყინვალესა მას ჩათელსა და მრავალ-საგალობელსა შას და მრავალ-სახელსა «ღამოუთქუმელად და ისახელოდ და ყოველგან შყოფსა და ყოველთა შორის საპოვნელსა» მიუნდომელად და გამოუკულებელად. შმითვე სახითა არცა საღმრთოდ მოციქული საქებელად იმრთისა იტყჳს «სისულელესა»(1კორ.1:21,25), რომელი-ესე თავით თჳსით უჯეროდ და არა კეთილად ჩანს, არამედ წმიდად მოციქული ამით უჯეროდ საგონებელითა სისულელითა იმრთისადათა გამოუთქუმელისა შის და პირველისა ყოველთა სიტყუათადას ჭემარბიებისა აღმიყვანებს ჩუენ; რამეთუ ვითარ-იგი სხუასა

ბელი და ვითარცა უნაკლულოდ, უფროსდა ზემთასავსე უფროს ცხორებისასა, ჴვთაცხოველი და ვითარცა ზემთა ყოვლისა ცხორებისა ცხოველს-ყოფელი და ზემთაცხოველთა; ანუ ვითარ-სახედცა ვინ უძლოს კაცობრივითა სიტყჳთა ქებად ცხორებასა მას უთქუმელსა და გამოუთქუმელსა?

ადგილსაცა მითქუამს, საკუთარ არს და თჳს ჩუენდა, რათა რაჟამს უზემთაესთა ჩუენტა გულისწმის-ყოფად აღვიდოლით, პირველად თანაზრდილსა ამას ჩუენსა გრძობადთაგანსა სახესა შინა მეთრევე ვიქმნეთ და რაჟამს განვიცადოთ, ვითარმედ ვსცთებით, უკუეთუ ჩუენ მიერისა ამის გრძობადისა რაღსმე ღონისა მიერ ჴელ-ვჰყოფთ საღმრთოთა მათ სიმაღლეთა მინთომასა, მაშინ ღტოლოვილნი ხილულთაგან მოსწრაფედ მივსდევდეთ მიუნდომელობასა და გამოუთქუმელობასა საღმრთოთა სიტყუათასა.

ჴინადაცა ჯერ-არს ცნობად, ვითარმედ გონებასა ჩუენსა ძალი უკუე აქუს მცნობელობისა მოგონებად, რომლისა მიერ საცნაურთა ხედავს, ხოლო ერთობად ზემთა-ჰმატს ბუნებასა გონებისასა, რომლისა მიერ შეიერთების იგი მისსა მიერ კერძოთა და ზემთა-კერძოთა. შმით უკუე  
35 ესე-ვითარითა სახითა გულისწმა-ყოფებოდედ საღმრთონი საიდუმლონი არა ჩუენებრობით, არამედ რაჟამს ყოველნი თავნი თჳსნი ყოველთავე თჳსთაგან განვაშორნეთ და ყოველიურთ იმრთისად ვიქმნეთ, რამეთუ უმჯობეს არს იმრთისად და არა თავთა თჳსთად ყოფად. შმას უკუე უსიტყოსა და უგონებოსა და სულელსა სიბრძნესა ზემთააღმატებით რად უგალობდეთ, ვიტყჳთ, ვითარმედ ყოვლისავე გონებისა და სიტყჳსა და ყოვლისავე სიბრძნისა და გულისწმის-ყოფისა მიზეზ არს; და შისი არს ყოველი განზრახვად და შის მიერ არს ყოველი მეცნიერებად და გულისწმის-ყოფად და შის შორის არიან ყოველნი საუნჯენი სიბრძნისანი და დაფარულნი მეცნიერებისანი(კოლ.2,3); და რამეთუ შემდგომობით პირველ-თქუმულთა თანა ზემთაბრძენი იგი და ყოვლად ბრძენი შიზეზი თვთ მის სიბრძნისა ყოველთადასა და თითოეულისა ჰემოქმედ არს.

2. ჯამეთუ შის მიერ აქუს მცნობელთა და საცნაურთა ძალთა ანგელოზებრთა მათ გონებათასა მარტივი იგი და სანატრელი ცნობად, არა განყოფილთა შინა, ანუ განყოფილთა მიერ, ანუ გრძნობადთა გინა სიტყუათა მიერ წარმოთქუ-  
 მითთა შეიკრებენ იგი საღმრთოსა მეცნიერება-  
 სა. წრცა ზიარისა რადასაგანმე შემოკრებებიან იგი  
 წმისსა მიმართ, არამედ ყოვლისავე ნივთიერისა  
 ვნებისაგან განწმედლინი საცნაურად და უნი-  
 ვთოდ ერთ-სახეობით სცნობენ საცნაურება-  
 სა საღმრთოთა საიდუმლოთასა. თა არს მათი  
 საცნაური ძალი და მოქმედება შეურევნელითა  
 და უხრწნელითა სინმიდითა განბრწყინვებულ;  
 და თანა-მხედველობითი საღმრთოთა ცნობათა  
 განუყოფელობად და უნივთოებად და იმრთის  
 სახეობითად ერთობად დასახვენ თავთა თვსთა,  
 რაოდენ დასატვენელ არს, საღმრთოსა მიმართ  
 ზეშთა სიბრძნისა და გონებისა და სიტყვსა მს-  
 გავსებისა თვთ მით საღმრთოსავე სიბრძნისა  
 მინიჭებითა; და სულთაცა სიტყვერობად აქუს  
 წარმოთქუმითი და არსთა მიერ ჭემმარიტე-  
 ბასა გარე-მოჰვლიან, განყოფილებითა უკუე  
 და ყოვლით კერძობითა მრავალ-ფერობი-  
 სადათა დაკლებულ არიან წმიდათა მათ ზეცისა  
 გონებათაგან, ხოლო მრავლისა-რადს ერთად  
 შემოკრებითა ანგელოზთა სწორებითსაცა ღირს  
 იქმნებიან მცნობელობასა, რაოდენი ოდენ თვს  
 ეყვის სულთა ამას მიწოდომად ღირს-ქმნულთა.  
 წრამედ თვთ გრძნობათაცა ამათ უკუეთუ ვინ  
 სიბრძნისა ნაწმევად უწოდოს, არავე ჯუებულ  
 იყოს წესისაგან.

თა ეშმაკისაცა იგი გონებად, ვითარ-იგი  
 გონება არს, შის მიერვე დაბადებულ არს, ხო-  
 ლო ვითარ-იგი პირუტყუთ გონება იქმნა მიმთხ-  
 უევად, რასა-იგი გულმან უთქუა, რომელი არცა  
 უწყოდა, არცა ინება ცნობად, მის ძლით გან-  
 ვრდომად სიბრძნისაგან უსაკუთრეს არს თქუ-  
 მად მისთვს. წნ უკუე ჩუენგან ესე თქუმულ  
 არს, ვითარმედ თვთ მის ყოვლისა სიბრძნისა და  
 ყოვლისა გონებისა და სიტყვსა და ყოვლისავე  
 გრძნობისა თვთ საღმრთოდ სიბრძნე არს და-  
 საბამ და შიზეზ, ლუამ-მყოფელ და სრულ-მყო-  
 ფელ, შცველ და თასასრულ. ღოლო ამიერი-  
 თგან ესე ითქუმოდენ, თუ ვითარ თვთ ზეშთა-  
 ბრძენი იმერთი სიბრძნედ და ლონებად და სი-  
 ტყუად და შცნობელად იგალობების? რამეთუ  
 ვითარ სცნობს საცნაურთა, რომელსა-იგი არა  
 აქუს საცნაური მოქმედებად? ანუ ვითარ სცნობს  
 გრძნობადთა ყოვლისავე გრძნობისა ზეშთადა-

ყარებული? გარნა ეგრეთცა ყოვლისავე ცნო-  
 ბასა შისსა იტყვან საღმრთონი სიტყუანი და  
 ვერარად განეველთას მეცნიერებასა საღმრთო-  
 სა, არამედ ვითარ-იგი მრავალ-გზის მითქუამს,  
 5 საღმრთონი საიდუმლონი იმრთივ-შუენიერად  
 იცნობებოდენ.

ჯამეთუ უგონებო და უგრძნობელობად  
 არა მოკლებითად, არამედ ზეშთააღმატებით-  
 ად ითქუმოდენ იმრთისათვს, ვითარ-იგი უს-  
 იტყუობასაცა ვიტყვთ ზეშთასიტყუაობისათვს  
 და უსრულობასა ზეშთასრულისათვს და პირ-  
 ველითგან სრულისათვს და შეუხლებლობასა და  
 უხილავ-ნისლობასა ჩათლისა შეუხებლისასა,  
 რამეთუ ზეშთა-აღმატების იგი ხილულსა ამას  
 15 ნათელსა. წინადაცა საღმრთოსა ლონებასა ყოვე-  
 ლივე უპყრიეს ყოველთა ზეშთააღმატებულთა  
 მით მეცნიერებითა და ყოველთა მიზეზობითა  
 ყოველთავე ცნობად თავსა შორის ძვსსა პირ-  
 ველითგან აქუს. ჯამეთუ პირველ ანგელოზთა  
 20 შექმნისა იცოდა ვითარებად ანგელოზთად და  
 ეგრეთ დაჰბადნა ანგელოზნი და სხუანი ყოვე-  
 ლნივე წვთ მიერ, რადთა ესრეთ ვთქუა: შიგნით  
 და პირველ დასაბამით მათითგან უწყოდნა და  
 ესრეთ არსებად მოიყვანნა; და ამას მოგუცე-  
 25 მენ ჩუენ, ვითარ ვჰგონებ, სიტყუანი წმიდათა  
 ჩერილთანი, რაჟამს თქუან: «რომელმან უწყნის  
 ყოველნი პირველ-ყოფადმდე მათდა»(დან.13,42).  
 ჯამეთუ არა თუ არსთა მიერ ისწავებს საღმ-  
 რთოდ იგი ლონებად მეცნიერებასა არსთა, არ-  
 ამედ თავით ძვსით და თავსა შინა ძვსსა მიზეზ  
 30 ყოფით წინადათვე და პირველითგანვე აქუს ყოვე-  
 ლთავე მეცნიერებად და ცნობად და არსებად;  
 არა თუ სახით შეატყუებს თითოეულსა, არამედ  
 ერთბამობითა მიზეზისა შემომკრებელობისა-  
 35 თა ყოველნივე უწყნის და იპყრობს, ვითარ-იგი  
 ნათელსაცა მიზეზ-ყოფით თავსა შორის თვსსა  
 წინადათვე აქუს უწყებად ბნელისა; და არა სხ-  
 ვთ ვინაამე არს გამოცნობად ბნელისა, თვნიერ  
 ნათლისაგან.

წინადათგან უკუე საღმრთოდ იგი სიბრძნე  
 მეცნიერ არს თავსა ძვსსა, ყოველსავე სც-  
 ნობს უნივთოდ ნივთიერთა და განუყოფლად  
 განყოფილთა, ერთობითად მრავალთა და ერთ-  
 თითა ყოველთა მეცნიერ არს და დაჰბადებს.  
 45 ჯამეთუ დაღაცათუ ერთითა მიზეზ-ყოფითა  
 მისცემს იმერთი ყოველთა ყოფასა, მითვე  
 ერთობითითა მიზეზითა და უწყნის ყოველნი,  
 ვითარცა შისგანნი ქმნულნი, და შის შორის  
 წინადათვე მყოფნი; და არა თუ არსთაგან მი-

აქუს მას მეცნიერებად არსთად, არამედ თვთ მათცა, რომელნი სთხოვდენ მას, თითოეულსა სხუასა და სხვსა მეცნიერებისა მიმნიჭებელ ექმნების, ხოლო არა განთვსებულად ძვსაგან აქუს იმერთსა მეცნიერებად თავისა ძვსისად და კუალად ძვსაგან სხუად მიიღებს მეცნიერებასა ყოველთა არსთასა. ჯამეთუ უკუეთუ ძვთ თავსა ძვსსა მეცნიერ არს ყოველთა შიზეზი იგი, არასადა უმეცარ იყოს მისგანთა მათდა, რომელთა იგი შიზეზ არს. წმის მიერ უკუე უწყნის იმერთმან არსნი არა თუ შემეცნებითა არსთადთა, არამედ ცნობითა თავისა ძვსისადთა. ჯამეთუ ანგელოზთა მიერცა იტყვან ჩერილნი მეცნიერ-ყოფასა ქუეყანისათასა; ხოლო არა თუ გრძნობადითა მეცნიერებითა იცნობენ იგინი გრძნობადთა ამათ, არამედ თვსისა მის გონებისა ძალითა იმრთის სახითა და ბუნებითა საცნაურითა.

3. ღოლო ვინადთგან ამისიცა ძიებად საჭმარ არს, ვითარმედ ჩუენ ვითარ ვიცნობთ იმერთსა, ჯომელი-იგი არცა საცნაურთაგანი არს, არცა გრძნობადთად, არცა ყოვლად რადცა რად არსთაგანი? ვინადცა ჭემმარიტად სათქუმელ არს, ვითარმედ არა თუ ლუნებისაგან შისისა ვიცნობთ ჩუენ იმერთსა (რომლისა ლუნებად უცნაურ არს და ზემთააღმატებულ ყოვლისა სიტყვსა და გონებისა), არამედ ყოველთა არსთა განწესებისაგან ვიცნობთ მას, ვითარმედ შის მიერ იპრობების ყოველი. თა ხატნი რადმე და მსგავსებანი გუქონან საღმრთოთა მათ შისთა იგავთანი, რომელთა მიერ მიერ-კერძო ყოვლისავე გზისა და წესისა და ძალისა აღვიყვანებით ყოველთავე აღმატებულებისა მიმართ და ზემთააღმაღლებულებისა და ყოველთა შიზეზისა.

თინადცა ყოველთა შორის იცნობების იმერთი და გარეგან ყოველთა, და ცნობითაცა იცნობების იმერთი და უცნაურებითაცა; და არს შისი მოგონებად და სიტყუად და ჳელოვნებად და შეხებად და ნებად და ოცნებად და სახელი და სხუად ყოველი; და არცა იცნობების, არცა ითქუმის, არცა სახელ-იდების; და არარად არს არსთაგანი, არცა რადს არსთაგანისა შორის იცნობების; და ყოველთა შორის ყოველ არს და არცა ერთსა რას შორის არარად; და ყოველთა მიერ ყოვლითურთ იცნობების და არცა ერთსა რას შორის არარადთ. ჯამეთუ ამასცა და მასცა იმრთისათვს სამართლად ვიტყვთ და არსთა ყოველთაგან იგალობების ძალისაებრ

და დატევნისა თითოეულთა მათ, რომელთა იგი არს შიზეზ. თა არს კუალად საღმრთოდ იგი მეცნიერებად იმრთისად უცნაურებისა მიერ ცნობილი ზემთაგონებისადათა შეერთებითა, რაჟამს გონებად ყოველთა არსთაგან განეშოროს და ამისსა შემდგომად თავიცა თვსი დაუტეოს და შეერთოს ზემთაბრწყინვალეთა მათ შარავანდედთა. შაშინ მიერ და მუნ გამოუბრწყინდეს მას გამოუკულებელი იგი სიღრმე სიბრძნისად(იგავ.8,30). ჯამეთუ, ვითარ-იგი ვთქუე, ყოველთა მიერ ესე იცნობების და ესე არს სიტყუათაებრ ჩერილისათა: ყოველთა მოქმედი ჳი და მარადის ყოველთა შეტყუებული და თვთ მის ყოველთა შეტყუებისა და წესისა შიზეზი და მარადის დასასრულსა პირველთასა შეანყოზს დასაბამთა თანა მეორეთასა და ერთსა ყოველთა ერთ-სულობასა და შეწყობასა კეთილის-მოქმედებს(სიბრ.7,21).

4. ღოლო «სიტყუად» იგალობების იმერთი წმიდათა სიტყუათა მიერ არა ხოლო ამისთვს, რამეთუ ყოველთა სიტყვსა და გონებისა და სიბრძნის მომცემელ არს, არამედ რამეთუ ყოველთა მიზეზნი თავსა შორის თვსსა ერთ-სახეობით პირველითგანვე ჰქონან და რამეთუ ყოველთამდე მიინევის და განჰვლის, ვითარცა სიტყუანი იტყვან, ვიდრე ყოველთა დასასრულადმდე; და პირველ ამათსა, რამეთუ ყოვლისა სიმარტივისასა საღმრთოდ სიტყუად ზემთა-გარდაეფინების და ყოვლითურთ არს ზემთა ყოველთა ზემთაარსებითითა მათ განფენითა ძვსითა(სიბრ.7,24;8,1).

უსე სიტყუად არს მარტივი და ნამდვლვე ჭემმარიტი ჭემმარიტებად, რომლისათვს, ვითარცა წმიდისა და უცთომელისა ყოველთა მეცნიერებისა, საღმრთოდ იგი სარწმუნოებად იქმნების დამტკიცებით პყრობა და რწმუნება ამათისა დამამყარებელისა ჭემმარიტებისა მორწმუნეთა შისთა შორის და სცავს მათ გარდაუქცეველსა მასვეობასა ზედა მარტივისა ჭემმარიტისა ცნობისასა, რომელთა აქუნდეს სარწმუნოებად. ჯამეთუ მეცნიერებად შემაერთებელ არს მცნობელთა და ცნობილთა, ხოლო უმეცრებად მარადის მიზეზ იქმნების შეცვალებისა და განწვალებისა მათდა მიმართ, რომელთა უმეცარ იყვნენ. ღოლო ჭემმარიტებით მორწმუნესა, სამდდელოჲსა მისებრ სიტყვსა, ვერცა ერთი რად შეარყევს საინაწისა მისგან ჭემმარიტისა სარწმუნოებისა, რომელსა ზედა აქუს მდგმო-ყოფად

შეუძრველსა მას და შეუცვალელებლსა მასვეობასა. ჟამეთუ კეთილად უწყის წემშარიტებისა შეერთებულმან მან, ვითარმედ კეთილად დგას, დაღაცათუ მრავალნი სწავლიდენ მას, ვითარცა განცვრებულსა; ვინაფთგან ვითარ-იგი შეჰგავს, მიეფარვის მათ ცთომილებისაგან საცთურია-ნობათა მათთაჲსა ჭემშარიტი იგი წემშარტე-ბაჲ ნამდვლვე ჭემშარიტისა სარწმუნოებისაგან განწყებულთა მათ. ღოლო მან ჭემშარიტებით იცის თავი თჳსი არა (ვითარ-იგი იტყვან) ბორ-გნეულად, არამედ ყოვლად განთავისუფლებულად დაუპყრობელისა მისგან და მიმოქცევისა და ყოვლით კერძოჲსა თითო-სახედ საცთურთა

ღაჰი ზ:

ქალისათჳს, სიბარძისათჳს, ცხორებისათჳს, ჴამოყსნისათჳს, როგელთა შინა არს უსწოროებისათჳსა

1. წრამედ ვინაფთგან საღმრთოსა წემშარიტებასა და სიბრძნეთა უზეშთაესსა მას სიბრძნესა ვითარცა ქალად და ვითარცა სიბართლედ უგალობენ იმრთის-მეტყუელნი და ცხორებად და ჴამოყსნად სახელ-სდებენ მას, მოვედ, რაფთა ესეცა იმრთის სახელები განვჰმარტოთ, ვითარ-იგი ჩუენდა დასატევენელ არს. ჟამეთუ ვითარმედ იმერთ-მთავრობაჲ ყოვლისავე ვითარ-სახედ მყოფისა და ოდეს სადაცა მყოფისა გინა მოსაგონებელისა ძალისასა უმაღლეს არს და ზემთააღმატებულ, ამისსა უმეცრებასა არაგისგან ვჰგონებ საღმრთოთა სიტყუათა შინა აღზრდილთაგანისა. ჟამეთუ მრავლით კერძო და მრავალგან განუკუთნებს მას იმრთის-მეტყუელებაჲ და განუჩინებს ოფლებასა თვთ მათ ზეცისა ძალთასაცა ჩუენდა მოცემულთა სიტყუათა შინა(ფს.23,10). ღოლო თუ ვითარ იმრთის-მეტყუელნი ვითარცა ძალად უგალობენ მას და ვითარცა ზემთააღმატებულად ყოვლისა ძალისა? ანუ თუ ვითარ მის ზედა მივიღებთ ძალისა სახელ-დებასა?

2. ᴒსე საძიებელ არს, ვიტყვთ უკუე, ვითარმედ ძალ არს იმერთი, ვითარცა ყოვლისავე ძალისა თავსა შორის ძჳსსა მქონებელი და წინაფთვე მქონებელი და ვითარცა ყოვლისავე ძალისა მიზეზი და ყოველთავე ძალისაებრობასა მიუდრეკელად და გარეშეუსაზღვრებელად მომყვანებელი და თვთ მის ძალ-ყოფისა, გინა თუ ზოგად ყოველთაჲსა, ანუ თჳსაგან თითოეულისა მიზეზ-მყოფი და ვითარცა ძალ-განუზომელი

კუეთებისა, რომლისაგან იჴსნნა მარტივმან მან და მარადის მასვე ერთ-სახეობასა ზედა მდგომ-მან წემშარიტებამან.

ᴒსრეთ უკუე მარად დღე ჭემშარიტები-სათჳს მოსწყდებიან ჩუენისა ამის იმრთივ-განბრძნობილობისა უდასაბამიერესნი და უძუელესნი წინამძღუარნი და, ვითარ-იგი შეჰგავს, ყოვლითურთ სიტყვთ და საქმით წამებენ ერთ-სახეობითობასა ჴრისტიანეთა ჭემშარიტი-სა მეცნიერებისასა, ვითარმედ იგი არს ყოველ-თასა უმარტივესი და უსაღმრთოესი; უფროჲსა, თვთ იგი არს მხოლოჲ და ერთი ჭემშარიტე-ბაჲ და ყოვლად მარტივი იმრთის მეცნიერებაჲ.

არა ხოლო ყოვლისა ძალისა მოყვანებად, არამედ ზემთა ყოველთა და თვთძალ-ყოფისაცა და ზემთაძალისაცა, აურაცხელობით ურიცხუთა სხუათაცა ძალთა დაბადებად შემძლებელი, რომლისასა ვერ შეუძლებს ოდესცა დაბადებაჲ ძალთა ურიცხუთა და ზემთაურიცხუები-სათაჲ მოკლებისა ანუ დამცირებისა შეძლებად ზემთაგანუზომელობისასა მას ძალმყოფელ-სა ძლიერებასა შისსა და ქალსა უთქუმელ-სა და უცნაურსა და მოუგონებელსა ყოველ-თა უზეშთაესობასა, რომელი-იგი სიმდიდრითა ძლიერისაჲთა უძღურებასაცა ძლიერ ჰყოფს და უკუანაჲსკნელესსა ნაჴმევთა მისთასა იპყრობს და სცავს, ვითარცა-იგი გრძნობადისა ამის ძლიერისაგან ვსცნობთ და ვხედავთ; რამეთუ ზემთაბრწყინვალეთა მნათობთა იგი შარავანდელი ვიდრე მოკლებულთა მათ სახედველ-თამდეცა მიიწვეიან. ᴒა დიდთა მათთჳს ბგერათა თქუმულ არს, ვითარმედ თვთ მათცა არა ადვილად მიმღებელთა ჴმისათა სასმენელთა მიმართ შეიწვეიან. ჟამეთუ ყოვლად ვერ მსმენელი რაჲმე ვერცა ყურ არს და ყოვლად ვერ მხედველი არცა თუალ არს.

3. ᴒსე არს უკუე ძალ-განუზომელი მიმცემლობაჲ იმრთისაჲ, რომელ ყოველთა მიმართ არსთა მიიწვეის. ᴒა არცა ერთი რაჲ არს არსთა-განი ყოვლითურთ განწყებულნი ქონებისაგან ძალისა, არამედ ანუ საცნაური ანუ სიტყვერობითი ანუ გრძნობითი ანუ ცხოველობითი ანუ არსებითი რაჲმე ძალი აქჳს. ᴒა გნებავს თუ

თქუმად, თვთ მას ყოფასაცა ძალი იგი მყოფობისაა ზემთაარსებისაჲსა მისგან ძალისა აქუს.

4. ჯამეთუ შის მიერ არიან იმრთის სახენი იგი შემკობილებანი ანგელოზებრთა ძალთანი, მის მიერ აქუს მათ დაუცემელობაჲ ყოფისაჲ და ყოველნივე იგი საცნაურნი და უკუდავნი მარადის მოძრავობანი და განუვრდომელობაჲ იგი და მოუკლებელი სურვილი კეთილისაჲ სახიერება-განუზომელისა მისგან ძალისა მიუღებეს. ჯამეთუ ჴი შეუქმს მათ თვთ მასცა ძალსა მყოფობისასა და სურვილსა მარადის ყოფისასა და თვთ მას წადიერებასა შეძლებისასა, რაჲთა მარადის შემძლებელ იყვნენ.

5. წინა-გამომავალ არს უკუე მოუკლებელობაჲ იგი ძალისა იმრთისაჲ კაცთა მიმართცა და ცხოველთა და ნერგთა და ყოვლად ყოვლისავე ბუნებისა მიმართ. ჯამეთუ განაძლიერებს შეერთებულთა ზიარებად და მეგობრობად ურთიერთას, ხოლო განყოფილთა სცავს თვსთა თითოეულისა წესთა და საზღვართა შინა შეურევნელ და შეუმრღუეველ ყოფად; და ყოველსავე წესსა და განწესებასა ცესითა სახიერებითა აცხოვნებს და უკუდავებასა მას ანგელოზთა ცხოველთა ერთობისასა შეუმრღუეველად დაიცავს; და ზეცისათა და მნათობიერთა და ვარსკულავოანთა არსებათა და წესთა საუკუნოდ ყოფასა და უცვალებელად მყოფობასა შესაძლებელ ჰყოფს; და წელიწდისა გარე-მოვლათა განარჩევს უკუე განფენითა და შემოჰკრებს კუალად გებითა; დაუშრეტელ ჰყოფს ძალსა ცეცხლისასა და მოუკლებელ წყალთა მდინარეობასა, განასაზღვრებს განფენასა ჰაერისასა და არარას ზედა დააფუძნებს ქუეყანასა; და ცხოველობის მშობელთა მათ ღმობათა მისთა განუზრუნვლად დაიცავს; ურთიერთას შეერთებასა და შეზავებასა ნივთთასა შეურევნელად და განუწვალებელად ჰმარხავს; და იპყრობს საკრველსა სულისა და ჳორცთასა, მზრდელობითსა და აღორძინებითსა ძალსა ნერგთასა ძრავს და იპყრობს არსებითსა მას ძალსა ყოველთასა; და ყოველთასა მას დაუწსნელსა მდგმოობასა განამტკიცებს და ძალსა განღმრთობისასა განღმრთობადთა მათ მიანიჭებს. ჴინაცა ყოვლად არარად არს ყოვლითურთ განწუებული ყოვლისა მპყრობელობითისაგან სიმტკიცისა და ცვისა საღმრთოჲსა მის ძალისა ყოვლად რაჲცა რაჲ არსთაგანი. ჯამეთუ ყოვლად არცა ერთისა რაჲს

ძალისა მქონებელი არცა არს, არცა რაჲ არს, არცა კუალად არს რაჲმე ესე-ვითარისა მის წესი და გუარი.

6. ნა დაღაცათუ იტყვს **ღვმას** მოგვ, ვითარმედ: «უკუეთუ ყოვლად ძლიერ არს იმერთი, ვითარ ითქუმის იგი რაჲსამე ვერ შემძლებელად სიტყვსაებრ თქუენისა იმრთის-მეტყუელისა?» და ამით სიტყვთა აგინებს დიდსა **სავლეს** მეტყუელსა ესრეთ, ვითარმედ «ვერ ძალ-უც იმერთსა უარის-ყოფაჲ თავისა ძესისაჲ» (2ტიმ.2,13). ღოლო მე ამისიცა თქუმაჲ შევსძინო, ვითარმედ ფრიად მეშინის, ნუუკუე უგუნურებისა და სიცილისა თანა-მდებობაჲ დამესაჯოს, უკუეთუ ჳელ-ვჰყოფდე ყრმათა მომღერალთა ნაშენებსა და უძღურსა ქვჳსა ზედა ნამღერებსა დარღუევედ წინააღმდგომთა სიტყვს-გებასა. ნა ვითარცა მიუნდომელსა რასმე საგანსა მიმთხუევედ მოსწრაფება ვყო აწინდელთა ამათ სიტყუათა იმრთის-მეტყუელისა მის გონებისათა გულისწმის-ყოფასა. ჯამეთუ უკუეთუ უარის-ყოფაჲ თავისა თვსისაჲ განვრდომა არს ჭემმარიტებისაგან, ხოლო ნემმარიტებაჲ წრს არს და ნემმარიტებისაგან განვრდომაჲ წრსებისაგან განვრდომა არს, ამისთვსცა უკუეთუ ნემმარიტებაჲ წრს არს, ხოლო განვრდომაჲ ნემმარიტებისაგან წრსებისაგან განვრდომა არს, ვერ ძალუც იმერთსა განვრდომაჲ ჭემმარიტებისაგან და არა-არს ყოფაჲ შისი არასადა არს, ვითარმცა ვინ თქუა, ვითარმედ ვერ ძალ-უც შას არა შეძლებად და არა ცებნად მოკლებითად არასადა უწყის შან, რომელი ესე ბრძენმან მან ვერ გულისხმა-ყო.

წმისთვს ემსგავსების მბრძოლთაგანთა მათ ძღვევის გამოუცდელთა, რომელთა მრავალგზის უძღურ საგონებელ რაჲ უწინდინ წინა განმწყობნი მათნი დაჯერებითა თავთა თვსთაჲთა. წმისთვს მათ ყოველთა მიმართ სიმწინით აწრდილის-მბრძოლობდიან და ამაოჲთა წყლვითა სილაღითა ჰაერსა სცემდიან ესრეთ მგონებლობითა, ვითარმცა ეძლია პირისპირ მბრძოლთა მათთადა. ნა მაშინვე მძღედ ქადაგებდიან თავთა თვსთა, ოდეს ჯერეთ არღა უწყოდიან ძალი წინააღმდგომთაჲ მათ. ღოლო ჩუენ ძალისაებრ გულისწმის-ყოფითა სიტყუასა მას იმრთის-მეტყუელისასა, ზემთაძალისასა იმერთსა უგალობთ, ვითარცა ყოვლად ძლიერსა, ვითარცა ნეტარსა და მხოლოდ ძლიერსა, ვითარცა ძლიერებითა ძესითა მფლობელსა

საუკუნეთასა, ვითარცა არარადასა არსთაგანი-  
საგან განუუებულსა; უფროსდა, ზემთამქონებ-  
ელსა და წინაფე მქონებელსა ყოველთა არსთა  
ძალისაებრისა ზემთარსებისაობისასა და ყოვ-  
ელთა არსთა შემძლებელ-ყოფისა და ესრე-ვი-  
თარად ყოფისა მიმნიჭებელსა უშურველად  
მიფენითა ყოვლად მდიდრისა მის და ზემთა  
გარდამატებულისა ძალისა შისისაათა.

7. ღლო კუალად სიმართლედ იგალობების  
იმერთი, ვითარცა ღირსებისაებრ მიმგებე-  
ლი ყოველთა და საზომი და შუენიერება და  
კეთილი წესიერება და შემკობილება, რომელი  
ყოველთა განყოფათა და წესთა განუჩინებს თი-  
თოეულსა ჭემმარიტებისაებრ ნამდვლვე სამარ-  
თაღთა საზღვართა შისთადასა. თა ყოვლისავე  
მათისა თითოეულისა კეთილთ-მოქმედებისა  
შიზეზ არს. ჯამეთუ ყოველთავე ზედა საღმ-  
რთოდ იგი სიბრძნე განმანესებლობს და საზ-  
ღვრის-მდებლობს და ყოველთა ყოველთაგან  
შეურევენელად და შეუმრღუველად სცავს და  
თითოეულსა არსთაგანსა შემსგავსებულსა და  
შეტყუებულსა თითოეულისა ძალისა და დატე-  
ვისასა მიანიჭებს ღირსებისაებრ თითოეულისა  
არსთაგანისა.

თა უკუეთუ ამას მართლიად ვიტყვთ ჩუენ,  
ცხად არს, ვითარმედ რომელნი საღმრთოსა  
სიმართლესა აგინებენ, ესე დაავიწყდების მათ,  
ვითარ განცხადებულსა უსამართლოებასა გა-  
ნაჩინებენ თავთა თვსთათვს. ჯამეთუ იტყვან,  
ვითარმედ თანა-ნადებ იყო მოკუდავთა შორის  
ყოფა უკუდავებისა და უსრულთა შორის  
სრულებისა და თვთომძრავთა ჭირი სხუათა  
მიერ ძრვისა და ცვალებადთა იგივეობისა და  
უძლურთა ძალ-სრულობისა, უჟამობაჲ ჟამ-  
იერთად და უქცევლობაჲ ბუნებით ქცევადთა  
და წუთ-ჟამისა გემოთა წილ საუკუნო ყოფა  
გემოვნებათა და ესრეთ ყოველსავე სხუათასა  
სხუათა მიმცემელ იქმნებიან. ჯერ-იყო მათდა  
ამიერ ცნობაჲ სიმართლეთა იმრთისათა, ვი-  
თარმედ ამით არიან ნამდვლვე სიმართლე, რა-  
მეთუ ყოველთა მისცემს ჴგი თვსსა მათსა, რა-  
სა-იგი ღირს იყვნენ თითოეული და თითოეულსა  
ბუნებასა თვსსა წესსა და სახესა და ძალსა ზედა  
სცავს.

8. სრამედ უკუეთუ ვინმე თქუას, ვითარმედ  
არა სიმართლისა არს შეუნევენელად დატე-  
ვებაჲ კაცთა წმიდათა ბილწთა მიერ კაცთა

ძვრ-ხილულთა, რომლისა მიმართ ითქუოდენ,  
ვითარმედ რომელთა-იგი შენ იტყვ წმიდად,  
უკუეთუ ნივთიერისა ამისდა ქუეყანიერისადა  
შემმჭუალულ არიან, უეჭუელად საღმრთოდ-  
სა ტრფიალებისაგან განვრდომილ არიან. თა  
არა უწყი, თუ ვითარღა წმიდა ეწოდოს მიმხ-  
უეჭელთა მათ ნამდვლვე საღმრთოსა მის და  
სასურველისა ტრფიალებისათა არა საშურველ-  
თა მათ მიმართ, არცა სასურველთა მათ მიერ  
არა ღირსებით გარემოსად სათნო-ყოფილთა.  
ღლო უკუეთუ ნამდვლვე ჭემმარიტათვს სუ-  
რის, სიხარული უქმს მოსურნეთა რადასათამე,  
რაჟამს სასურველსა მათსა მიემთხუეოდინ.  
სწუ არა მაშინ უფროს მახლობელ არიანა ან-  
გელოზებრთა სათნოებათა, რაჟამს რაოდენ  
ედლოს, განაშორონ სურვილი იგი საღმრთოდ  
ნივთიერთაგან ვნებულებათა, რაჟამს კეთი-  
ლად გამოიცადნენ ამას ზედა ფრიად სიმწნი-  
თავს-დებითა, კეთილისათვს შემთხუეულთა  
განსაცდელთაათა? ვინაეცა ჭემმარიტებით  
სათქუმელ არს, ვითარმედ თვთ უფროსდა  
ესე თვს ეყვის სიმართლესა იმრთისასა, რა-  
თა არა მომედგრდეს და წარწყმდეს წულობა  
რჩეულთა მათ განცემითა ნივთიერთა მიმართ,  
არცა დაუტევენეს იგინი შეუნევენელად; რასაცა  
ვინ უყოფდეს მათ, არამედ დაამტკიცენეს იგინი  
კეთილსა მას ზედა და შეურყეველსა დგომასა  
და მაშინღა ესე-ვითარობისა მისთვს ღირსებით  
მიაგოს მათ სასყიდელი.

9. სრეთ უკუე საღმრთოდ სიმართლე და  
ყოველთა შაცხოვარებაჲ იგალობების მაცხ-  
ოვნებელობისათვს და დამცველობისა თვსსა  
თითოეულისა არსებასა და წესსა წმიდად და  
შეურევენელად სხუათაგან, რომლითა განწმე-  
დილ მიზეზ არს ყოველთა შორისსა მას თვსსა  
თითოეულისა მოქმედებასა. ღლო უკუეთუ  
ვინმე ცხორებად უგალობდეს მას, ვითარცა  
უდარესთაგან მაცხოვნებლობით აღმტაცებ-  
ელსა ყოველთასა, უეჭუელად საღმე ესეცა შე-  
ვინწყნაროთ მგალობელად ყოვლით კერძოსა  
შაცხოვარებისა და მისვე პირველად ცხორე-  
ბად ყოველთა განსაზღვრებაჲ ვითხოოთ მისგან,  
რომელი-იგი თავისა შორის ძვსისა სცავს ყო-  
ელსა უცვალებელად და განუნვალებელად და  
ბოროტთა მიმართ მიუდრეკელად; და ყოველთა  
გარე-შეჭზლუდავს უბრძოლველობით და უშფო-  
თველობით შემკობილად წესითა და გუარითა  
თითოეულისა მათისაათა; და გარეგან ყოველ-



თა საზღვრისა განჰჳდის ყოველსა უსწოროებასა და უცხოვს მოქმედებასა; და შემსგავსებულსა თითოეულისასა ძალსა იპყრობს განუვრდომელად და შეურევნელად წინააღმდეგომთა მისთა კუეთებისაგან.

წინადაცა ამას შაცხოვარებასა არა გარეგან წესისა სამღვდელთა იმართის-მეტყუელებათაჲსა უგალობდეს ვინმე, ვითარცა ყოველთა არსთა ყოვლად მაცხოვრებლობითთა სახიერებითა თჳსთა კეთილთაგან განვრდომილებისაგან ლამომჴსნელსა, რაოდენსა რას მიითუალავს თითოეული ბუნებაჲ ცხოვრებულთა მათგანისაჲ, ვინადაცა ლამოსაჴსრად სახელ-სდებენ მას იმართის-მეტყუელნი. ჟამეთუ არა უტევებს შთავრდომად არა არსებასა ჭეშმარიტებით არსთა მათ და რამეთუ დაღაცათუ რასმე შესცთენ ბრალსა და უწესობასა და შეამთხვონ შემრღუევაჲ სრულებასა თჳსთა კეთილთასა და ამისცა ვნებისაგან და უმწნობისა და მოკლებისა გამოიჴსნის, აღავსებს ნაკულევიანებასა და შამობრივ იტ-

ვრთავს უძღურებასა და აღადგინებს ბოროტისაგან; უფროდღა დაადგინებს კეთილსა ზედა და დაკლებულსა მას კეთილსა აღმოაგებს და განავსებს და შეამკობს უწესობასა მისსა და უმკობლობასა და ყოვლად სავსებით სრულ ჰყოფს და ყოველისაგანვე განრღუეულებისა განჴსნილ და თავისუფალ ჰყოფს.

წრამედ ამით პირთათჳს და სამართლისათჳს თქუმულ არს, რომლითა ყოველთა სწორებაჲ მიენყობის და განისაზღვრების და ყოველი მოკლებითი უსწორებაჲ თითოეულისა მათ შორისისა სწორებისაგან განიჴადების. ჟამეთუ უკუეთუ ვინ შემოიღოს უსწორებაჲ ყოველთა შორის ყოველთაჲსა ყოველთაგან განყოფილებისათჳს, ამისსადა მცველ და შემზღუდეულ სიმართლე არს, რომელი-იგი არა უტევებს შერევნად და შეშფოთებად ყოველთა ყოველსა შინა, არამედ იპყრობს და სცავს თითოეულსა ყოველთა არსთაგანსა ყოფად თვთ მას წესსა და სახესა შინა, რომელსა ზედა ყოფად მიუღლებიეს.

ღაჳი თ:

ბიღისათჳს, შხირისათჳს, შისვიისათჳს, სხსათჳს, შსგამისათჳს, ომგამისათჳს, ბგომისათჳს, ორჴათჳს, სწორებისათჳს

1. წინადაცან უკუე ბიდიცა და შცირე ითქუმიან ყოველთა შიზეზისათჳს, ჴგივეობაჲ და სხუაობაჲ, შსგავსებაჲ და ომსგავსობაჲ, ბგომაჲ და შოძრავობაჲ, მოვედ, რაჲთა ესეცა იმართის სახელთა ქანდაკები, რაოდენ ჩუენდა დასატევენელ არს, განვიხილოთ. ბიდად უკუე იგალობების იმერთი იმრთივ-სულიერთა სიტყუათა შინა, რომელნი-იგი სიდიდესა და ნიავ-წულილსა შინა გამოაჩინებენ სიმცირესა საღმართოსა; და ჴგივეობასა, რაჴამს იტყოდინ სიტყუანი, ვითარმედ: «ჴენ ჴავადი ჴგივე ხარ»(ფს.101,28); და სხუაობასა, რაჴამს ვითარცა მრავალ-სახესა და მრავალ-ფერსა აზმნობდენ შას სიტყუანი; და შსგავსსა, ვითარცა მსგავსთა და მსგავსებისა ბამბადებელსა; და ყოველთა ომსგავსოსა, რამეთუ არარაჲ არს მსგავს შისსა; და შდგომარესა და ოძრავსა და შჯდომარესა საუკუნოდ და შოძრავსა, ვითარცა ყოველთა ზედა მიმავალსა; და სხუად, რაოდენები არს ამათ თანა ერთ-ძალები საღმართოჲ სახელები, რომლითა იგალობების სიტყუათა მიერ.

2. ბიდ უკუე სახელ-ედების იმერთსა მჴსან მისდა განკუთნვილობისათჳს დიდისა და

ყოველთა დიდთა შისისა სიდიდისაგან მიმცემელობისა. ბა რამეთუ გარე-შემოსწერს ყოველსა სიდიდესა, ზეშთა-გარდაეფინების და გარე-შეიცავს ყოველსა ადგილსა, ზეშთა-აღემატების ყოველსა რიცხუსა და ზეშთა-გარდაჴვლის ყოველსა ურიცხუებასა; და ზეშთასავსებითა შისითა და დიდთ-მოქმედებითა და ნიჴთა შისთა წყაროებითა, რაოდენ განჴფენდეს მათ ყოველთა მიმართ მიმღებულთა ნიჴ-განუზომელობითა მჴსითა, ესოდენ ყოვლით კერძო მოუკლებელ არიან და იგივე აქუს ზეშთასავსეობაჲ. ჟამეთუ არა დამცირდებიან მისაღებლობითა, არამედ უფროდ ზეშთა-აღმოეცენებიან. ᴒსე სიდიდე განუზომელცა არს და ურავდენო და ურიცხუ; და ესე არს მისი ზეშთაგარდამატებული მიმოგანფენითი და ზეშთაგარდაფენითი მიუნდომელი მიფენაჲ დიდებულებისაჲ.

3. Ⴢოლო შცირე ეწოდების მას მისთჳს თქუმულისა მისგან ნიავ-წულილისა, რამეთუ ყოველისა სიზრქისა და სიმძიმისასა ზეშთაგარდაფენილ არს და ყოველთა მიმართ დაუყენებულად მიინევის. ჟამეთუ ყოველთა ნივთ-მყოფელობითი შიზეზი არს სიმცირე იგი; ვინადაცან არასა-

და ჰპოო სახე მცირისაჲ მიუღებელად. ოსრეთ უკუე შცირედ ითქუმის იმერთი, ვითარცა ყოველთა ზედა და ყოველთა მიმართ დაუყენებულად მიმწვენელი და მოქმედი და განმვლელი, «ფიდრე განსაყოფელადმდე სულისა და გუამისა, ნანევეართა და ტვნთა და მოგონებათა გული-სათა»(ებრ.4,12), უფროსლა ყოველთა არსთა. ჟამეთუ «არარაჲ არს დაბადებულთაგანი უჩინო წინაშე მისსა»(ებრ.4,13). ოსე შცირე ურავდენო არს, ურბამო და უმჭირველ, განუზომელ, შეუსაზღვრებელ, შემცველ ყოველთა და თვთ გარე-შეუცავ.

4. ღოლო კუალად შასვეობასა იტყვან მისთვს, რამეთუ ზემთაარსებისა არს უჟამო და უქცეველ, მარადის თავსა შცსსა შინა ჰგიეს ქონებითა შისვეობისა და მასვე ზედაობისათა ყოველთა ზედა ლგივე და ერთ არს. ოა შვთ ლგივე თავსა შინა შცსსა მდგომ არს და უხრწნელად ყოველთა კიდეთა ზედა დამყარებულ არს სიმდიდრითა შასვეობისათა უცვალეებულად, განუვრდომელად, დაუცემელად, დაუწსნელად, შეურევნელად, უნივთოდ, მარტივად, უნაკლულოდ, აღუორძინებლად, მოუკლებულად, შეუქმნელად, არა თუ ვითარმცა არლა სადა ყოფილ იყო, ანუ უსრულ ყოფილ იყო, ანუ თუ ამის რაჲსმე გინა იმის რაჲსმე მიერ არა იქმნებოდა, არცა ვითარმცა არასადა არაოდეს სადა იყო. ორამედ ვითარცა ზემთა ყოვლისა აუგებლობისა და თავისუფლებით აუგებელი და მარადის ორსი და შვთ სრულ-არსი და იგივედ მყოფი თავით შვსით და თავისა მიერ შვსისა განჩინებული ერთ-სახეობით და მითვე სახეობით და მასვეობასა თავისა მიერ შვსისა ყოველთავე სიმარჯვსაებრ მათისა მიმღებელთა გამოუბრწყინებებს და სხუათა სხუათათანა დაანესებს სიმდიდრითა და მიზეზ-ყოფითა ლგივეობისათა და თავსავე შინა შცსსა პირველითგან ჰქონან წინააღმდგომნიცა იგივეობით ერთითა მით და ერთობითთა ყოვლისავე ლგივეობისა ზემთააღმატებულთა იგივეობითა.

5. ღოლო სხუაობაჲ ითქუმის მისთვს, ვინაჲთგან ყოველისავე თანა არს იმერთი წინა-განმგებელობით და ყოველთა ყოველსა შინა ყოველ ექმნების ყოველთა ცხორებისათვს, ჰგიეს თავსა შცსსა შინა და შვსისა მასვეობისაგან გამოუვალად ერთითა და დაუცხრომელითა მოქმედებითა დგას; და მისცემს თავსა შვსსა

უნოდებელითა ძალითა მათ, რომელნი მისსა მიიქცეოდინ განდმრთობითა; და სხუებრობასა თითო-სახეთა მათ და მრავალ-სახეთა იმრთისა სახის ჩუენებათასა სხვთა რაჲთმე სახითა ყოფად საგონებელ უყოფს გარეგან მისსა, ვითარ-იგი ჩანან. ჟამეთუ ვითარ-იგი სული ჩუენი ლორცთ-სახედ იზმნობვის სიტყვსა მიერ და ლორციელი ნანილები ითქუმის განუყოფელისა მისთვს. ჟამეთუ სხუებრ ვსცნობთ მის ზედა დადებულთა მათ ნანილთა განუყოფელობისათა, ვითარ-იგი საკუთარ ეყვის სულსა. ოა თავად გულისწმა-ვჰყოფთ გონებასა, ხოლო ქედად ნებასა, ვითარცა საშუვალსა სიტყვერებისა და პირუტყუებისასა, ხოლო მკერდად მრისხანებასა და მუცლად გულის-თქუმასა, ხოლო წვვად და ფერვად ბუნებასა ვიტყვთ და სახელებსა ასოთა კერძობისასა თანაშესატყუებელად ძალისა ვიწუმევთ. ლრეთვე ფრიად უფროს ყოვლისა სხუებრობისა მიერ კერძოჲსათვს მოპონებულთა ხატთა და სახეთა დიდთა და იმრთივ-შუენიერთა და საიდუმლოთა აღწსნათა მიერ ჯერ-არს გამოწმედაჲ.

ოა უკუეთუ გნებავს სამ-ნანილებსა სახეებსა ლორცთასა შეხებად შეუხებელისა მისთვს და დაუსახველისა იმრთისა, სივრცედ უკუე საღმრთოდ ითქუმოდენ ზემთასივრცისა იგი განფენაჲ იმრთისაჲ ყოველთა ზედა, ხოლო სივრძედ ზემთააღმატებულებაჲ იგი ძალისა შისისაჲ ყოველსა შინა, ხოლო სიღრმედ ყოველთა არსთაგან მიუნდომელი იგი დაფარულებაჲ შისი და უცნაურებაჲ. ორამედ რაჲთა არა დაგუავინყდენ თავნი თვსნი, და სხუა სახეთა ხატებათა აღწსნითა შევჰრინეთ გრძნობადთა სახეთა თანა უწორცონი იგი იმრთის სახელნი, ვინაჲცა ამათ პირთათვს თანა-შეტყუებითსა იმრთის-მეტყუელებასა შინა ითქუმოდედ. ღოლო აწ თვთ საღმრთოჲცა იგი სხუებრობაჲ ნუმცა გუგონიეს შეცვალეებად რადმე შეზთაუქცეველისა მის ლგივეობისა, არამედ ერთობითად მის და მრავალ-ნანილობად და ერთ-სახეობითად ყოველთა მრავალ-მშობლობისა მიმართ წინა-გამომავლობად.

6. ღოლო შსგავსებასა იმრთისათვს, უკუეთუ ვინმე ვითარცა ლგივეობად იტყოდის, ვითარცა ყოველთა ყოვლისა მიერ თავისა შვსისა მხოლოობით და განუყოფლად მსგავს არსსა, ამით სახითა არა უპატიო იყოს ჩუენდა მსგავსისა იმრთის-სახელობაჲ. ღოლო იმრთის-მეტყუ-

ელნი ზეშთა ყოვლისასა იმერთსა, ვითარ-იგი არს ჴვთ, არცა ერთისა რაჲს მსგავს-ყოფად იტყვან, არამედ ჴვთ შას საღმრთოსა მსგავსებასა მიანიჭებს ჴგი მათ, რომელნი შისსა მიმართ მიიქცეოდინ ძალისაებრითა მსგავსებ-  
 5 ითა ზეშთა ყოვლისავე საზღვრისა და სიტყუ-  
 სა. ნა არს საღმრთოსა მის მსგავსებისა ძა-  
 ლი არსად მოყვანებულთა ყოველთა შიზეზისა  
 მათისა მიმართ მიმაქცეველ. Ⴎსე უკუე ითქუ-  
 მოდედ მსგავსებად იმრთისა ხატებისაებრ და  
 მსგავსებისა საღმრთოსა ჩუენი მისდა მსგავსე-  
 ბად(შესქ.1,26) და არა თუ იმრთისა ჩუენდა მს-  
 გავსებაჲ; რამეთუ არცაღა კაცი თვისსა ხატისა  
 მსგავს არს, ვინაფთგან ერთ-მონესეთა ძალ-უც,  
 რაფთა იგინივე მსგავს იყენენ ურთიერთას; და  
 მოიქცევის მათი იგი მსგავსებაჲ ურთიერთას;  
 და ზოგებითი არს მსგავსებაჲ მათი ურთიერ-  
 თას წინაძღუანვითა მსგავს სახეობისაფთა. ჴო-  
 ლო ვინაფთგან მიზეზისათს და მიზეზისაგანთა  
 არა მივითუალავთ კუალად მოქცევასა, რამეთუ  
 არა ამათ ვიეთდამე გინა მათ ვიეთდამე მიუნი-  
 ქებიეს მსგავს-ყოფად, არამედ ყოველთა მს-  
 გავსებისა მიმღებელთა მსგავს-ყოფისა იმერთი  
 მიზეზ იქმნების; და არს მისცა თვთმსგავსებისა  
 გუამ-მყოფელ და ყოველთა შორის მსგავსების  
 25 კუალითა რაფთმე საღმრთოსა მსგავსებისაფთა  
 მსგავს არს.

7. ნა რაფლა ჯერ-არს ამისთს თქუმად? რა-  
 მეთუ თვთ იგი იმრთის-მეტყუელებაჲ იმსგავ-  
 სო ყოფასა მისსა ჰმსახურებს და ყოველთაგან  
 შეუნყოზლობასა შისსა იტყვს, ვითარცა მათ  
 ყოველთაგან სხუასა და უსაკრველესი ესე,  
 რომელ არცა რაფასა იტყვს მსგავს შისსა ყო-  
 ფასა. Ⴎინაფცა არავე წინააღმდგომ არს სიტყუ-  
 ად ესე შისსა მიმართისა მსგავსებისა. Ⴎამეთუ  
 იგივე მსგავსცა არს იმრთისა და უმსგავსოცა;  
 ერთი იგი მიმთუალველობისაგან მსგავსებასა  
 იმსგავსოფასა, ხოლო მეორე უდარესობისათს  
 მიზეზისაგანთაფა შიზეზისა მიმართ და ნაკ-  
 35 ლულევანებისათს საზომებითა განუზომელო-  
 ბითა და თანა-შეუტყუებელითა.

8. ჴოლო რაფლა-მე ვთქუათ საღმრთოჲ-  
 სა Ⴎგომისათს გინა Ⴎდომისა? რაფლა სხუად,  
 თვნიერ ესე, რამეთუ ჰგიეს იმერთი თვთ თავსა  
 შორის Ⴎვსსა და შეუძრველსა შასვეობასა ზედა  
 Ⴎდგმოობით დამტკიცებულ არს და ზეშთადამ-  
 45 ყარებულ არს და მათვე ზედა და მათთსვე და

ეგრეთვე მოქმედებს. ნა ყოვლად მიუდრეკელ  
 არს თავისა Ⴎვსისაგან და რამეთუ შეურყეველ  
 არს მიერ და ყოვლითურთ შეურყეველ და ესე  
 ზეშთაარსებისა. Ⴎამეთუ ჴგი არს შიზეზ ყოვ-  
 5 ელთა დგომისა და დამყარებისა, უზეშთაესი  
 ყოველთა დგომათა და დამყარებათა და შის  
 შორის ჰგიეს ყოველივე თვსთა კეთილთა დგო-  
 მისაგან შეუძრველად დაცვული.

9. ჴოლო კუალად რაჟამს იმრთის-მეტყუ-  
 ელნი ყოველთა წინა-გამომავალად და Ⴎოძ-  
 რავად იტყოდინ უძრავსა მას, რაჲ სთქუა, არა  
 იმრთივ-შუენიერად გულისწმა-იყოფებოდე-  
 ნა ესე? რამეთუ მოძრავობაჲ მისი კეთილად  
 15 მსახურებით გულისწმის-საყოფელ არს არა  
 დაუპყრობელობად, არცა შეცვალებადობად,  
 ანუ სხუაობად, ანუ ადგილ-ადგილ მიმომოძ-  
 რავობად, არცა მართლ მავალობად, არცა  
 გარე-მოვლითობად, არცა ორ-კერძობადვე,  
 20 არცა საცნაურებითად, არცა სულიერებით-  
 ად, არცა ბუნებითობითად, არამედ არსებად  
 მომყვანებელ არს იმერთი და იპყრობს ყოვ-  
 ელთა და ყოვლით-კერძოვე წინა-მომგონებე-  
 ლობს ყოველთათს; და ყოველთა თანა არს  
 25 ყოველთაგან უთვსოფთა გარდამატებულებითა  
 და არსთა მომართ ყოველთა წინა-მცნობელო-  
 ბითითა წინა-გამომავლობითა და მოქმედები-  
 თა. Ⴎრამედ მოძრავობათაცა იმრთისათა იმ-  
 რთივ-შუენიერებით გალობად შეენდობვოდენ  
 30 სიტყუასა. ნა მართლ მავალობაჲ მიუდრეკე-  
 ლობად გულისწმა-იყოფებოდენ და მიმო-დაუბ-  
 ნეველად წინა-გამომავალობად მოქმედებათა  
 შისთა და შის მიერ შექმნულობად ყოველ-  
 თა. ჴოლო იკანკლედობითად სიმტკიცითსა  
 35 წინა-გამომავალობასა და მიმრეცსა დგომასა  
 სახელ-ედებოდედ, ხოლო მომრგულებითად –  
 იგივეობაჲ და საშუვალთა და კიდეთა პყრო-  
 ბაჲ და თვთ მათ სხუათა მპყრობელთაფცა შის  
 მიერვე პყრობაჲ და კუალად შისსა მიმართვე  
 40 მიქცევად ყოველთავე შისგან გამომავალთაჲ.

10. ჴოლო უკუეთუ ვინმე ჴგივეობისა სი-  
 ტყუასა გინა თუ სიმართლისა იმრთის სახე-  
 ლობასა სწორობისათსვე გულისწმა-ჰყოფდეს,  
 45 სწორობაჲ უკუე ითქუმოდენ იმრთისათს არა  
 ხოლო ვითარცა განუყოფელისა და განუზნე-  
 ელისათს, არამედ ვითარცა ყოველთა ზედა  
 და ყოველთა მიმართ სწორებით მიმწვენელი-  
 სათს და ვითარცა თვთ მის სწორობისა Ⴎამ-

ბადებელისათვის, რომლითა განასწორებს ყოველთა ურთიერთას მსგავსებითა დატევენასა და მიმღებელთა ყოველთაგან სწორებით მისაღებლობასა შემსგავსებულად თითოეულისა სიმარჯვსა და სწორებით ღირსებისაებრ ყოველთა ზედა განყოფისათვის მიცემათაჲსა და ვითარ

ყოველივე სწორებაჲ, საცნაური და მცნობელი, სიტყვერი და გრძნობითი, არსებითი და ბუნებითი და ნებებითი ზემთააღმატებულად და ერთობითად თავსა შორის ძესსა პირველითგან აქუს ზემთა ყოველთაჲსა მის ყოვლისა სწორებისა მოქმედებითთა ძალითა.

თავი 4:

ყოველისა შპყრობელისათვის, ძუელისა ზღვითაჲსათვის, რომელსა შინა არს საშუენოჲსა ლა ჰამისათვისსა

1. ჟამი არს ამიერიტგან სიტყვსა მიერ მრავალ-სახელისა იმრთისაჲ, ვითარცა ჟოვლისა შპყრობელად და ვითარცა ძუელად ზღვითად გალობად. შირველი იგი ითქუმის შისგან მყოფისა მისთვის ყოველთა ყოვლისა მპყრობელობითისა სიმტკიცისა, პყრობისა და გარე-შემცველობისა ყოვლისა და დამამტკიცებელობისა და დამაფუძნებელობისა და შემანანევერებელობისა და სიმტკიცით თავსა შინა ძესსა ყოველსავე სრულ-მყოფელობისა და თავისაგან ძესისა, ვითარცა ძირისაგან, ყოვლისავე ჟოვლისა შპყრობელობისა, წინა-აღმომაცენებლობისა და კუალად ყოველთა შისსა მიმართე, ვითარცა უფსკრულისა რაჲსმე, მიმაქცეველობისა და შემცველობისა მათისა, ვითარცა ყოველთა სიმტკიცისა ყოვლისა მპყრობელობითა, შესაცველთა ყოველთა ერთითა ყოველთა აღმატებულთა ყოველთა შემომკრებელობისა შემამტკიცებელობითა და არა მიმშუებელობითა განვრდომად მისგან, ვითარცა ყოვლით-კერძოჲსა საინაჲსაგან წარწყმედად ვინაჲთე.

ჲლოო კუალად ამისთვისცა ითქუმის ჟოვლისა შპყრობელ იმერთ-მთავრობაჲ ვითარცა ყოველთა მპყრობელი და რამეთუ შეურევენელად მთავრობს მისთა მათ სამთავროთა ზედა და ვითარცა ყოველთა სასურველი და საწადელი და ყოველთა ზედა დამდებელი ნებს არსებითთა მათ უღელთა და ტკბილთა ლმობათა საღმრთოჲსა და უნივთოჲსა და ყოველთა მპყრობელობითისა ძესისა ტრფიალებისასა.

2. ჲლოო ძუელად ზღვითა იგალობების იმერთი ყოველთა ამათ შისდად ყოფისათვის, ესე იგი არიან: საუკუნე და ჟამი და პირველ დღეთაობაჲ და პირველ ჟამითა და საუკუნეთაობაჲ. ზალაცათუ წელიწადი და დღე და ჟამი და საუკუნე იმრთივ-შუენიერად ითქუმინ მისთვის, ვითარ-იგი არს ყოველსავე მოძრავობასა შინა

უცვალელებელი და შეურყეველი და სამარადისო-სა ძრვასა შინა მარადის თავსა ძესსავე შინა ჰგიეს და ვითარცა მიზეზისათვის ჟამისა და დღეთა და საუკუნოჲსა. ჴინაჲცა წმიდათა მათ შინა საიდუმლოჲსა ხედვისა იმრთის გამოცხადებათა მცოვნადცა და ჭაბუკადცა აზმნობს შეცვალეებასა: სიბერიტა უკუე პირველიტგანობასა და დაუნყებელობასა მოასწავებს, ხოლო სიჭაბუკიტა დაუბერებელობასა; და ზოგად ორითავე, სიბერიტაცა და სიჭაბუკიტა, დასაბამიტგან და ვიდრე დასასრულადმდე ძესსა მას ყოველთა მიმართსა წინა-გამომავალობასა გუასწავებს. წნუ თუ ვითარცა საღმრთო იგი ჩუენი მღდელთ-სრულ-მყოფელი იტყვს, ორ-კერძოთავე მით იმრთისა პირველიტგანობაჲ საცნაურ იქმნების მოხუცებულეებითა უკუე უპირატესობაჲ ჟამითა, ხოლო სიჭაბუკიტა მქონებელობაჲ რიცხუსა ზედა უდასაბამიერესობისაჲ; ვინაჲთგან ერთსაცა ფრიადი რაჲმე უდასაბამიერესობაჲ აქუს ერთისაგან მრავლად განმავალთა მათ რიცხუთაჲ.

3. ჟამეთუ ვითარ ვჰგონებ, ჟამისა და საუკუნოჲსა ბუნებასა სიტყუათა მიერ წმიდათა ჩერილთასა ჯერ-არს ცნობაჲ. ჟამეთუ არა თუ ყოვლითურთად და განფენითად აუგებელად და ყოვლად ჭეშმარიტებით სამარადისოდ გულისწამა-იყოფების ყოველთა ადგილთა თქუმული იგი სახელი საუკუნოჲსაჲ, არამედ უზრწნელთაცა რათმე და უკუდავთა და უცვალეებელთა და მასვე ზედა მყოფთა საუკუნოდ უწოდს ჩერილი, ვითარ-იგი რაჟამს თქუას: «აღებუენით ბჭენი საუკუნენი»(ფს.23,7) და სხუანი მსგავსნი ამათნი. ჟამეთუ მრავალ-გზის ძუელთაცა რათმე საქმეთა საუკუნოჲსა მოსახელებითა დაჰსახავს და არს ოდესმე, რომელ ყოველსავე ჟამითა ჩუენთა განგრძობასა საუკუნედ სახელ-ედების, ვინაჲცა თვს საუკუნოჲსა არს სიძუელი და დაუწუნ-



ჩუენდაცა, სახიერთა კაცთაგან ფრიად რაამე დაკლებულთადა.

2. ნა პირველად უკუე ესე ითქუმოდენ, ვითარმედ თვთმშვდობისა და ზოგად ყოვლისა და 5  
 ჩვსგან თითოეულისა ჴი თავადი არს ნამბადებელ და ვითარმედ ყოველთა ურთიერთას შეზავებულ ჰყოფს შეურევენლითა მით ერთობითა მათითა, რომლითა დაღათუ განუყოფელად და განუნვალებელად შეერთებულ არიან ურთიერთას, არამედ ეგრეთცა ჰგვიესვე რომელობა მათი სახესავე და წესსა ზედა თითოეულისასა. ნა არა შეიმრლევის წინააღმდეგომთა მათ მიერ ურთიერთას შეზავებათა, არცა შეუშობიეს რაამე ერთობითისა ზედამინენითობისა და სინმიდისაგან. ჴამეთუ ამის ყოვლისა მოქმედად ერთსა რასმე ვხედავთ და მარტივსა მშვდობითისა ერთობისა ჴუნებასა, ჴომელი ყოველთავე შეიერთებს თავსა ჩვსსა და შეაერთებს მათ თვთ თავთა ჩვსთა და ურთიერთას და სცავს ყოველთასა შეურევენლსა და შეუმრლეველსა შემოკრებასა და შეზავებასა; რომლისა მიერ საღმრთონი იგი გონებანი შეერთებულნი ჩვსთა მოგონებათა შეეერთებიან მათ მიერ ცნობილთა მათცა და კუალად უცნაურისა მისვე აღვლენ ზეშთაგონებათა დამყარებულისა შეერთებისა; რომლისა მიერ სულნიცა ყოვლით კერძოთა მათ მათთა სიტყუათა შეაერთებენ და ერთად საცნაურებად შემოკრებისა სინმიდითა ზეშთა-აღვდებიან თვსისა მის გზისა და წესისა უნივთოთა და განუყოფელთა ცნობათა მიერ ზეშთაცნობისადათა მით ერთობითა; რომლისა მიერ ერთი და დაუჴსნელი ყოველთა თხზულება საღმრთოდას მისებრ შის მიერისა შენანვერებისა დგას და შეინყოფის ყოვლითურთითა ერთ-ჴმობითა და ერთ-ნებაობითა და თანა-მოდასეობითა შეურევენლად შემოკრებული და განუყოფელად განფენილი.

ჴამეთუ მიინევის ყოვლითურთისა მშვდობისა ყოვლობა ყოველთავე არსთა ზედა 40  
 მარტივობითისა მის და ერთ-მყოფელისა და შეურევენლისა ძალისა შისისა მოსლვითა, შეაერთებს ყოველსა და თანა-შეაკრავს კიდეთა კიდითა საშუვალთა მიერთითა ერთად ერთბამობითად შეუღლებულად მეგობრობად, და მისაღებლობასა თვსსა მიანიჭებს უკუანაჴსნელთა მათცა ყოვლისა შესრულებისათა, და ყოველთავე თანა-ნაშობ ჰყოფს ერთობითა, იგივეობითა, შეერთებითა, შესაკრებლებითა. ცხად არს,

ვითარმედ ამას ყოველსა შინა განუყოფელად დგას საღმრთოდ შშვდობად და თითოეულად აჩუენებს ყოველსა და ყოველთა ზედა მიინევის და ჩვსისა იგივეობისაგან არა განეყოფების, რამეთუ წინა-გამომავალ არს ყოველთა ზედა და მისცემს ყოველთა თავისა ჩვსისაგან თვსსა საკუთარსა თითოეულისასა და ზეშთა-აღმოუცენებს სამდიდრითა მშვდობითისა მშობლობისადათა და ჰგვიეს ზეშთააღმატებულებითა 10  
 ერთობისადათა ყოველი ყოვლისა მიმართ და ყოვლითურთ ზეშთაშეერთებულთა თავსა ჩვსსა.

3. ჩქუას ვინმე, ვითარმედ: ვითარ სურის ყოველსა შშვდობისათვს? რამეთუ მრავალი რაა არს, რომელსა უხარის სხუებრობად და განყოფილობად და არაოდეს ინებებს ნეფსით მყუდროებასა. ნა უკუეთუ სხუებრობასა და განრჩეულ-ყოფასა იტყვს მეტყუელი იგი ამისი თითოეულისა არსთა თვთებისასა და ვითარმედ 20  
 მისგანსა, ვითარ-იგი არს თითოეული არსთა-განი, არცა ერთსა რას ინებებს წარწყმედად ოდესცა. შმის პირისათვს არცა რას ჩუენ წინააღმდეგომით ვმეტყუელებდეთ მისსა მიმართ, არამედ ამითცა მშვდობისა საწადელობასა გამოვანიებთ. ჴამეთუ ყოველსავე უყუარს თავისა თვსისათვს, რადათა მშვდობით იყოს და ერთობით და თავისა თვსისა მიმართდა თავისა თვსისათა აქუნდეს შეუძრველობად და განუვრდომელობად; და არსვე მათდა თითოეულისა თვთები- 30  
 სა შეურევენლობასა მცველ ყოვლით კერძოდ შშვდობად მშვდობის მიმნიჭებელითა მით წინა-განმგებელობითა თვსითა. ჴომლითა სცავს ყოველთა განუნვალებელად და შეურევენლად თავთა თვსთა მიმართ და ურთიერთას და ყოველსავე დაადგინებს მტკიცესა მას ზედა და მიუდრეკელსა ძალსა და შეუძრველობასა თავთა თვსთა მიმართისა შშვდობისასა.

4. ნა უკუეთუ ყოველსა მოძრავსა არაოდეს დაყუდებამ, არამედ მარადის ძრვად ჰნებავს თვსისა მოძრავობისა, და ესეცა სურვილივე არს საღმრთოდას ყოველთა შშვდობისა, რომელი სცავს ყოველთა დაუცემელ-ყოფად წესისაგან მათისა და თვთებასა ყოველთა მოძრავთასა და მოძრავობითა ცხოველობასა მათსა შეურყვევლად და განუვრდომელად დაჴმარხავს მოძრავთა მათდა მინიჭებითა თავთა თვსთა მიმართ მშვდობისადათა და რადათა ვითარ-იგი აქუს, მასვე ზედა ჰყოფდენ თვსთა ჩუეულებათა.

5. ხოლო უკუეთუ განვრდომად შშვდობისა-  
 გან თქუმითა სხუებრობისადათა დაამტკიცებს არა  
 ყოველთა მიერ სასურველ-ყოფასა მშვდობისა-  
 სა, მიუგებთ და ვეცყვთ, ვითარმედ უფროსლა  
 არარად არს არსთაგანი ყოვლითურთ განვრ-  
 დომილ ერთობისაგან. ჟამეთუ ყოვლად დაუდ-  
 გრომელ და განუზომელ, დაუმტკიცებელ და  
 შეუსაზღვრებელ დაბადებულთაგანი რამე არ-  
 ცა წრს არს, არცა არსთა შორის. ხოლო უკუე-  
 თუ მათთვს იტყვს დამძიმებასა მშვდობისასა და  
 მშვდობისა მიერთა კეთილთასა, რომელთა-იგი  
 უხარის ჳდომათა ზედა და გულის-წყრომათა,  
 შეცვალებათა და დაუდგრომელობათა და ეს-  
 ენიცა აწრდილებრითა კერპებითა მშვდობითისა  
 სურვილისადათა შეპყრობილ არიან შფოთებულ-  
 ნი მრავალ-მოდრავობითა ვნებათადათა და ამის  
 სურვილისა დაყენებად უჳელოვნოდ წყურიელნი  
 და მგონებელნი აღმოვსებითა მარადის ქუე-გამ-  
 დინარეთადათა დამშვდებად თავთა თვსთა აღ-  
 შფოთებულთა მიუმთხუეველობითა, მძლე-ქმ-  
 ნილთა მათ მათდა გემოვნებათადათა. ჟაღლა ვინ  
 თქუას ჴრისტეს მიერისა ამის მშვდობის მადინე-  
 ბელისა კაცთ-მოყუარებისათვს, რომლისა მიერ  
 არლარა ვისწავებთ მერმეცა ბრძოლად, არცაღლა  
 თავთა თვსთა, არცა ურთიერთას, არცა ანგე-  
 ლოზთა მიმართ, არამედ თვთ მათდაცა ძალ-  
 ისაებრ თანა-მოქმედ ვართ საღმრთოთა შინა  
 წინა-განმგებელობისაებრ შესუფსსა, რომელი  
 ყოველსა ყოველთა შორის იქმს და ჰყოფს მშვ-  
 დობასა გამოუთქუმელსა და საუკუნიტგან წი-  
 ნა-განსაზღვრებულსა. ზა დამაგებს ჩუენ თავსა  
 ძვსსა სულისა მიერ და თავისა მიერ ძვსისა  
 და თავსა შინა ძვსსა შამასა. შმათ ზემთაბ-  
 უნებითთა ნიჭთათვს იმრთის-მეტყუელებითთა  
 განწესებათა შინა კმა-საყოფელად თქუმულ არს  
 თანამონამედ ჩუენდა შემოყვანებითა წმიდათა  
 წერილთა სიტყუებისა მიერისა მობერვისადათა.

6. წრამედ ვინაჲთგან სხუა ჟამ ოდესმე  
 ებისტოლისა მიერ შენისა გეკითხა ჩემდა, თუ  
 ვითარ ვიტყვ იგივე-ყოფად ძვთცხორებასა,  
 ძვთსიბრძნესა, და ამისსა მიმართ გეთქუა  
 უღონოებაჲ, თუ ვითარ იმერთსა ოდესმე ძვ-  
 თცხორებად ვიტყვ და ოდესმე თვთცხორებაო-  
 ბისა სუამ-მყოფელ, ამისთვს საჭირო ვჰგონე,  
 სამღდელლო კაცო იმრთისაო, რაჲთა ამისცა  
 ჩუენდა მომართისა უღონოებისაგან გიჳსნე  
 შენ. სირველად უკუე ამით, რაჲთა ბევრ-წილ  
 თქუმული კუალად ვაქციოთ აწცა, ვითარმედ

არა წინააღმდგომ არს ძვთძალად ანუ ძვთცხ-  
 ორებად თქუმად იმრთისაჲ და თვთცხორებისა  
 გინა მშვდობისა ანუ ძალისა სუამ-მყოფელობაჲ  
 მისი: პირველი-იგი ამისთვს, რამეთუ არსთა-  
 გან უფროსლა არსთა უპირატესთაგან ვითარ-  
 ცა შიზეზი ყოველთა არსთაჲ სახელ-იდების,  
 ხოლო მეორე-ესე ამისთვს, რამეთუ ვითარცა  
 ზემთა ყოველთა და თვთ უპირატესთა მათცა  
 არსთასა ზემთა არს ზემთაარსებით. ზა უკუე-  
 თუ მეტყოდი, ვითარმედ რაჲ სთქუა ყოვლად  
 ძვთყოფად სახელ-დებულთა მათთვს, ანუ ძვ-  
 თცხორებად, ანუ თუ სხუად, რაოდენირაჲ არს  
 განფენითად დასაბამ-მყოფელობისათვს და  
 პირველითგან იმრთისა მიერ დაბადებულები-  
 სათვს ყოველთაჲსა შისდად განკუთვნილი და  
 აწ ამათდად სახელ-დებული.

სიტყვ უკუე, ვითარმედ ესე არა ძნელ არს,  
 არამედ ადვილი და მარტივი თარგმანებაჲ აქუს,  
 რამეთუ არა თუ არსება რამე საღმრთო ანუ  
 ანგელოზებრ ყოფად ვიტყვთ ჩუენ თვთყოფასა  
 მყოფისა მის არსთა ყოველთა შიზეზისასა, რა-  
 მეთუ იგი მხოლოჲ არს ჴოფად ყოველთა არსთაჲ  
 და თვთ მის ყოფისაჲცა ზემთაარსებისა ზასაბამ  
 და წრსება და შიზეზ; არცა ვინ ვიცით სხუად  
 იმრთეებად ცხოველს-მყოფელად თვნიერ ზე-  
 შთაღმერთთაჲსა მის ყოველთა, რაოდენნი ცხ-  
 ოველ არიან, და თვთ მის ცხორების მიზეზი-  
 სა ცხორებისა; არცა, რაჲთა შემოკლებულად  
 ვთქუა, დასაბამითნი რაჲმე გვთქუმან ოდესცა  
 არსთა ყოველთა დამბადებელობითნი არსებანი  
 და გუამნი, რომელნი-იგი ვიეთმე იმერთად და  
 დამბადებულად არსთა თვთშემზადებულებით  
 გამოპირნეს, რომელთათვს ჳემმარიტებით და  
 საკუთრებით სათქუმელ არს, რომელნი-იგი არ-  
 ცა თვთმეტყუელთა მათ ეხილნეს სადამე (ვი-  
 თარ-იგი არცა იყვნეს), არცა მამათა მათთა;  
 არამედ ძვთყოფად და ძვთცხორებად და თვ-  
 თღმრთეებად ვიტყვთ ჩუენ, პირველითგანობით  
 – უკუე და იმრთეებით და მიზეზობით ერთსა  
 ოდენ ზემთადასაბამისასა და ზემთაარსებისა-  
 სა ზასაბამსა და შიზეზსა ყოველთასა, ხოლო  
 მისაღებლობით – მიცემულთა მათ იმრთისა  
 მიერ მიულებელთა მისგან წინა-განმგებლობით-  
 თა ძალთა თვთარს-ყოფასა, თვთცხოველ-ყო-  
 ფასა, თვთგანღმრთობასა, რომელთაცა არსნი  
 თვსად შესატყვსად თითოეულისა მათისა ძალ-  
 სა მიიღებენ და არიან და ცხოველ არიან და  
 საღმრთო არიან. შმათ ვიტყვთცა და არსცა და  
 სხუათა მსგავსთა ამათთა ეგრეთვე მსგავსად.

წინადაცა პირველად არსმყოფელ მათადა ყოველთა კეთილთა მიზეზი სახიერებად ითქუმის ყოფად. წმისსა შემდგომად ყოველთა მათთა, ამისსა შემდგომად ნაწილებთა მათთა, მერმე ყოველად მიმღებელთა მათთა, მერმე კერძოდ მიმღებელთა მათთა.

წა რაჲლა ჯერ-არს ამათთჳს თქუმად? ვინათგან ვიეთმე ჩუენთაცა საღმრთოთა მღდელოძღუართა თვთსახიერებისა და განმღრთობისა ჴუამ-მყოფელ თქუეს ზეშთასახიერი იგი და ზეშთაღმერთთა წვთსახიერებად და იმრთეებად კეთილის მოქმედისა მისთჳს და იმერთ-მყოფელისა იმრთისა მიერ წინა-გამომავალისა ნიჭისა. წა წვთსიკეთედ უწოდეს წვთკეთილის მოქმედობისა განფენასა და ყოველად სიკეთედ და კერ-

ძოდ სიკეთედ და ყოველად კეთილად და კერძოდ კეთილად; და სხუად, რაოდენი რაჲ თქუმულ არს და ითქუმის ესე ვითართა ამათ სახეთათჳს, ყოველნივე-იგი ცხად ჰყოფენ წინა-განმგებელობისა და სახიერებისა წმისსა მისაღებელთა ნამდვლვეთა მათგან იმრთისა მიერ მიუღებელისა წინა-გამომავლობითთა უშურველთა განფენათა და ზეშთა-აღმატებულთა აღმოცენებათა, რათათა ყოველთა მიზეზი იგი განცხადებულად მიერ კერძო იყოს ყოველთა და ზეშთაარსებისაობად და ზეშთაბუნებისაობად მისი ზეშთა-ჰმატდეს ყოველთა, ვითარ-სახედცა რაჲმე და ოდესცა ყოფილთა და მყოფთა ანუ ყოფადთა ბუნებათა გინა არსებათა.

ცაჲი იბ:

წმიდისათჳს წმიდათამასა, კუჴოსისა მუჴმთამასა, ოჴლისა უჴუებათამასა და იმრთისა ჲმრთთამასა

1. წრამედ ვინათგან ამათ პირთათჳსცა სიტყუამან რაოდენისა რაჲს თქუმად ჯერ-იყო, ვითარ-ესე ვჰგონებ, ჯეროვანი მიილო აღსასრული, ამიერთგან იგალობებოდენ ჩუენ მიერ სახელ-განუზომელი იგი ვითარცა «წმიდად წმიდათაჲ»(დან.9,24) და «წუჴე მეუჴებათაჲ»(1 ტიმ.6,15; გამც.19,16) და რომელი მეუჴებს უკუნისადმდე, უკუნითი-უკუნისადმდე და მერმეცა და ვითარცა «ოფალი უფლებათაჲ»(1 ტიმ.6,15; გამც.19,16) და «იმერთი ღმერთთაჲ»(ფს.49,1). წა პირველად უკუე ესე ითქუმოდენ, თუ რაჲ ყოფად ვჰგონებთ სინმიდესა წმისსა, რაჲ წუჴებასა, რაჲ ოფლებასა, ანუ რაჲ იმრთეებასა, გინა თუ რაჲ ჰნებავს ჩუენდა უწყებად წერილთა სიტყუებსა მრჩობლ ორ-კეცობითა სახელთაჲთა.

2. სინმიდე უკუე არს, ვითარ-ესე ჩუენ მიერ სათქუმელ არს, ყოვლისა ბინისაგან თავისუფალი და ყოვლითურთი და ყოველად უხრწნელი სინმიდე; ხოლო წუჴება არს ყოვლისავე საზღვრისა და შემკობილებისა და ბრძანებისა და წესისა განმყოფელობად; ხოლო ოფლება – არა ხოლო უდარესთა ზედა ოდენ ქონებად უმეტესობისაჲ, არამედ ზოგად ყოველთა კეთილთა და სახიერთა ყოვლითურთი ყოველად მომგებელობად და ჭეშმარიტი და ყოველად განუვრდომელი მტკიცედ პყრობად. წინადაცა ოფლებად ითქუმის მფლობელობისათჳს და სიმტკიცისა და საკუთრებისა, ხოლო იმრთეებად – ყოვ-

ელთა მხედველისა წინა-განმგებელობისათჳს და ყოველად სრულისა სახიერებისა და ვითარ ყოველთავე მოიხილავს და შემოკრებით იპყრობს და თავისა მიერ წვთისა აღავსებს და ზეშთა მათ ყოველთა გარდაეფინების, რაოდენნიცა არიან მიმღებელ წინა-განმგებელობასა მისსა.

3. ჴე-ვითარნი უკუე სახელნი საზოგადოდ იგალობებოდედ! ყოველთა ზეშთააღმატებულისა შიზეზისათჳს და სათქუმელ იქმნებოდედ მისთჳს ზეშთააღმატებული სინმიდე და ოფლებად და წუჴებისა ზეშთააღმაღლებულეებად და მარტივი იმრთეებად. ჴამეთუ წმის მიერ თითოეულისა და მყის მიცემულ და განყოფილ არს ყოველი შეურევნელი განცხადებულეებად ყოვლისავე განწმედილისა სინმიდისაჲ, ყოვლისავე არსთა განწესებულებისა და შემკობილებისაჲ, რაჴამს ყოველსა შეუნყობელობასა და უსწოროებასა და უზომოებასა განჰჴდიდეს და კეთილად განწესებულებისა მასვეობასა და სიმართლესა ზედა მოხარულ და მომყვანებელ იყოს ღირსქმნულთა მათ წმისსა მიმღებელობისათა. წა ყოველსავე ყოვლითურთა და ყოველთა კეთილთა ყოველად მომგებელობასა ყოველი სახიერი წინა-განმგებელობად მხედველ არს და შემომკრებელ წინამოგონებულთა წვთსა სახიერების შუენიერთა მიცემათა მიერ განღმთობად მისსა შიმართ მიქცეულთა მათ.



4. **ჰოლო ვინაფთგან ყოველთასა ზემთასავსე არს შიზეზი იგი ყოველთაჲ ერთობითთა მით ყოველთა ზემთააღმატებულთა, ზემთაგარდაფენითა, ამისთვის წმიდა წმიდათა იგალობების და სხუანი იგი შემდგომნი ამათნი ზემთააღმოდინარითა მიზეზ-ყოფითა და აღმატებულთა უზემთაესობითა. ჴითარ ვინ თქუას, რამეთუ რაოდენ ზემთა-ჰმატან არა-არსთა არსნი წმიდანი და გინა საღმრთონი ანუ საუფლონი ანუ სამეუფონი, და კუალად მიმღებელთა მათ თვთ იგი მისაღებელნი ამითვე სახითა ყოველთა არსთასა ზემთაადამყარებულ არს უზემთაესი იგი**

თავი მე-3

სრულსათჳს ლა ორთისა

1. **ოსოდენ იყავნ ამათ პირთათჳსცა. ჰოლო წუენ გნებავს თუ თვთ მის უძლიერესისა სიტყჳსა მიმართ მივიწინეთ ამიერიტგან, რამეთუ იმრთის-მეტყუელეზაჲ ყოველთა შიზეზსა მას ყოველსავე და თანად ყოველსა უწოდს და ვითარცა სრულად და ვითარცა ორთად უგალობს. სრულ უკუე არს არა ხოლო ვითარცა თვთსრული და თავით თჳსით თავსა თჳსსა შინა ერთ-სახეობით განთჳსებული და ყოვლად ყოველითურთ სრული, არამედ ვითარცა ზემთასრული, ყოველთავე ზემთააღმატებითა ყოველსავე უზომოებასა განასაზღვრებს, ხოლო თვთ ყოველისავე განზომისა და საზღვრისა ზემთაგარდაფენილ არს. თა არცა ერთისა რაჲსაგანმე დაიტევის ანუ გარე-შეიცვების, არამედ განჰფენს თანად ყოველთა ზედა და ზემთა ყოველთა მოუკლებელთა მათ მოცემათა და დაუსრულებელთა მოქმედებათა ძჳსთა. ჰოლო კუალად სრულ ითქუმის იგი, ვითარცა აღუორძინებელი და მარადის სრული და ვითარცა მოუკლებელი, ვითარცა ყოველთა თავსა შორის ძჳსსა წინათვე მქონებელი და ზემთააღმომაცენებელი ერთბამითა მით დაუცხრომელითა და იგივეითა და ზემთასავსითა და მოუკლებელითა მიცემითა მით, რომლითა სრულთა ყოველთა სრულთ-მოქმედებს და აღავსებს ძჳსისა სრულებისაგან.**

2. **ჰოლო ორთ, რამეთუ ყოველთა შორის ერთ-სახეობით არს ერთითა მით ერთობისა ზემთააღმატებულეზითა და ყოველთავე ერთისა გამოუვალობისა შიზეზ არს. ჴამეთუ არარაჲ არს არსთაგანი მიუღებელ ორთისა, არამედ ვითარცა ყოველი რიცხჳ, ერთისაგან**

**ყოველთა არსთაჲ და ყოველთავე მისაღებელთა და მიმღებელთა მიუღებელი იგი შიზეზი. ჰოლო წმიდებს და შეუფებს და აფლებ და იმრთეებს უწოდენ სიტყუანი წერილთანი თითოეულთა შორის უდასაბამიერესთა მათ შემკობილეთა, რომელთა მიერ მეორედ მიმღებელნი იგი იმრთისა ნიჭთანი მისთა მათ მიცემათა სიმარტივესა ძჳსთა თავთა მიერ თითო-სახედ განამრავლებენ, რომელთა თითო-სახეობასა უპირველესნი იგი დასანი წინა-განმგებლობით და იმრთის სახეობით ერთობითად თავთა შორის ძჳსთა შემოიკრებენ.**

**მიიღებს; და ერთი ორადცა და ათადცა ითქუმის და ნახევარი ერთ და მესამედი და მეათედი ერთ. ოგრეთვე ყოველნი და ყოველი ყოველთა ნაწილები ერთისაგან მიიღებენ და ყოფაჲ იგი ერთ ყოველთავე არსთაჲ არს. თა არა ერთი მრავალთა ერთთაგანი არს ყოველთა მიზეზი იგი ორთი, არამედ პირველ ყოველისა ერთისა და მრავალთა განსაზღვრებისა. ჴამეთუ არცა სადა არს სადმე სიმრავლე არა მიმღებელი ერთისაჲ, არამედ მრავალნი იგი ნაწილებითა ერთ იქმნებიან ყოვლად შემოკრებითა; და მრავალნი იგი შემთხვევითთა შინა ერთ არიან მათ თანა-მოკიდულსა მას გუამსა შინა; და მრავალნი რიცხვთა გინა ძალითა ერთ არიან სახითა; და მრავალნი სახითა ერთ არიან ნათესავითა; და მრავალნი წინა-განმავლობითა ერთ არიან დასაბამითა. თა არარაჲ არს არსთაგანი, რომელი არასადმე მიიღებს ერთსა ყოველთა მიმართ ერთობითა ყოველისაჲთა და ყოვლად ყოველთა წინააღმდეგომითთა და ერთობითთა წინა-შემოკრებითა. თა თვნიერ ერთისა ვერ არს სიმრავლე, ხოლო თვნიერ სიმრავლისა არს ერთი, ვითარ-იგი ერთობაჲ უპირატეს არს პირველ ყოველისა რიცხვსა განმრავლებულისა. თა უკუეთუ ვინმე ყოველისა ყოველთა შეერთებულეზაჲ დადვას, ყოველივე იყოს ყოვლად ერთ.**

3. **შმას თანა ესეცა საცნაურ იყავნ, ვითარმედ თითოეულისა ყოველისა პირველ-მოგონებული სახე შეერთებად ითქუმის შეერთებულთა და ყოველთა შემანივთებელ არს ორთი. თა უკუეთუ მოსპო ერთი, არცა ყოვლობაჲ, არცა ნაწილი, არცა სხუაჲ რამე არსთაგანი იყოს. ჴამეთუ**

ყოველსავე თავსა შორის თვსსა ერთ-სახეობით მიუღიეს ერთი და წინა-მიუღიეს. წმისთვს უკუე იმრთის-მეტყუელუბაჲ ყოველსა იმერთ-მთავრობასა, ვითარცა ყოველთა შიზეზსა, უგალობს სახელის-დებითა წრთობისაჲთა. ოა წრთ არს იმერთი შამაჲ და წრთ ოფალი წესუ ჴრისტე და წრთ თვთ სული წმიდაჲ ზემთა-გარდამატებულითა მით ყოვლისა იმრთეებისა ერთობისა განუყოფელობითა, რომლისა შორის ყოველი ერთობითად შემოკრებულ არს და უფროსად შეერთებულ არს და პირველითგან არს იგი ზემთაარსებისა. წინაჲცა შის შორის ყოველივე სამართლად აღმოეცენების და დაიუნჯების, ჴომლისაგან და ჴომლისა მიერ და ჴომლისათვს და ჴომლისა შორის და ჴომლისა მიმართ ყოველივე არს და განწესებულ არს და ჴგიეს და იპყრობების და აღივსების და მოიქცევის. ოა არასადა ჴპოვო არსთაგანი რაჲმე, რომელი არა წრთსა შორის არს, წრთსა მას, რომლითა ყოველი იმრთეებაჲ ზემთაარსებისა სახელ-იდების და არს, ვითარ-იგი არს, და შის შორის სრულ იქმნების და ცხოველ არს ყოველივე. წინაჲცა საწმარ არს ჩუენდაცა, რაჲთა მრავლობისაგან ერთობად მოქცეულნი ძალითა საღმრთოსა მის ერთობისაჲთა ერთობითად უგალობდეთ ყოლადას მას და ერთსა იმრთეებასა, წრთსა შიზეზსა ყოველთასა, ჴომელი-იგი პირველ ყოვლისა წრთისა და მრავლისა, და კერძოთა და ყოვლისა, და საზღვრისა და უსაზღვროებისა, და დასასრულისა და დაუსრულებელობისა განასაზღვრებს ყოველთა არსთა და თვთ მას ყოფასაცა; და ყოველთა და ყოვლად ყოვლითურთ და თანად პირველ ყოველთა და ზემთა ერთობითად შიზეზ არს და თვთ მის ერთ-ყოფისაცა ზემთა არს და თვთ მას ერთ-ყოფასაცა განასაზღვრებს, ვინაჲთგან არსებითი ერთი არსთა შორის ერთ-რიცხუედ არს, ხოლო რიცხვ არსებისა მიმღებელ არს.

ჰოლო ზემთაარსებისა იგი წრთი არსებითსა მასცა ერთსა და ყოველთა რიცხუთა განასაზღვრებს და იგი არს ერთისა მისცა რიცხვსა და ყოველთა არსთა ოასაბამ და შიზეზ და ჴიცხუ და წეს. წინაჲცა წრთობად და სამებად რაჲ იგალობებოდის ზემთა ყოველთა იმრთეებაჲ, არა ჩუენებრი არს, არცა სხუათა რათმე არსთა მსგავსად ცნობილი ერთობად გინა სამობად მისი, არამედ რაჲთა ზემთაშეერთებულსა მას და იმერთ-მშობელსა ჴემმარიტებით ვაქებდეთ, ამისთვს სამებად და წრთობად თქუმითა იმრთის

სახელთაჲთა, ზემთასახელისასა მას სახელ-ვსდებით არსთა შორის უზემთაესსა არსებათასა. ჰოლო არცა ერთი არს წრთობად ანუ სამობად, არცა რიცხვ, არცა პირველობად, არცა მშობლობად, არცა სხუად რაჲმე არსთაგანი ანუ ცნობილი არსთაგანისა რაჲსაგანმე, რომელმანმცა უძლო განცხადებად ზემთა ყოვლისა გონებისა და სიტყვასა მას დაფარულებასა ზემთა ყოველთა სიტყუათა და გონებათა ზემთაარსებით ზემთამყოფისა ზემთაღმრთეებისასა, არამედ შეუვალთა შინა დამკვდრებულ არს.

ოა ვერცაღა თვთ მას სახიერებისა სიტყუასა, ვითარ-იგი შეეტყუების, ეგრეთ შევსწირავთ შისსა, არამედ სურვილითა მოგონებად რასმე ანუ თქუმად გამოუთქუმელისა მის ჴუნებისათვს წადიერნი უპატიოსნესსა ამას სახელთასა განუკუთნებთ მას უპირატესად და ამითცა ვითამე ერთვმა ვიქმნებით იმრთის-მეტყუელთათანა, ხოლო საქმეთა ჴემმარიტებისაგან ქუედავშითებით. წინაჲცა თვთ იმრთის-მეტყუელნი იგი უკუთქუმათასავე მას აღმავლობასა უფროს პატივ-სცემენ, ვითარცა განმამორებელსა სულისასა მის თანათა მათ ერთ-ნათესავთაგან და მავლინებელსა ყოველთავე მიმართ საღმრთოთა ცნობათა, რომელთასა ზემთა-აღმატებულ არს უზემთაესი იგი ყოვლისავე სახელისა და ყოვლისა სიტყვსა და ცნობისაჲ; და ესრეთ უკუანაჲსკნელ ყოვლითურთსა მას წავადასა შეაერთებენ, რაოდენ ოდენ შესაძლებელ არს ჩუენგან შეერთებაჲ შისი.

4. წსრეთ უკუე ჩუენ საცნაურნი ესე იმრთის სახელნი შემოვკრიბენით და, რაოდენ მისანდომელ იყო, განვჴმარტენით, არა ხოლო ამათისა ზედამინწენით ცნობისაგან ნაკლულევანად (რამეთუ ესე ჴემმარიტებით ანგელოზთაცა თქუან), არცა თვთ მის ანგელოზთა ოდენ გალობისასა უდარესად, რომელთა-იგი უკუანაჲსკნელისაცა რაჲსმე გალობისა კერძოსა მოქენე არიან უპირატესნი ჩუენთა იმრთის-მეტყუელთანი, არცა თვთ მათ იმრთის-მეტყუელთასა ოდენ, არცა თვთ მათ მოღუანეთასა, გინა კუალსა მათსა შედგომილთასა ოდენ, არამედ თვთ ჩუენ თანამოდასეთასაცა უკნინესად და უუკუანაჲსკნელესად. წინაჲცა უკუეთუ მართლმეტყუელებაჲ აქუს თქუმულთა ამათ და, რაოდენ შემიგავს ჩუენ, ნამდვლვე შენებულ რასმე ვართ ჩუენ გონებითა იმრთის სახელთა სიტყუათა თარგმანებასა, ყოველთა

კეთილთა მიზეზისად შეირაცხებოდედ საქმე ესე, რომელი-იგი მოგუანიჭებს პირველად თვთ მას თქუმასა და ამისსა შემდგომად კეთილად თქუმასა. ოა რაჲცა რაჲ ჩუენგან დაკლებულ არს აქა საღმრთოთა მათ სახელთაგანი ამათ თანა ერთ-ძალი სიტყუად, იგიცა ამისვე ესე-ვითარი-სა გულისწმის-ყოფისა მოქენე არს წესისაებრ ზემოთქუმულთა ამათ თარგმანებათაჲსა.

ჲლოო უკუეთუ არა მართლ-თქუმულობად ანუ უსრულობად რაჲმე აქუს სიტყუათა ამათ და შეცთომილ ვართ ჭეშმარიტებისა ანუ ყოვლის-აგანვე ანუ კერძოჲსა რაჲსაგანმე, შენისა სადმე კაცთ-მოყუარებისა არს განმართებაჲ უნებლი-ეთ უმეცრისად და მოცემად სიტყუად მოქენე-სა სწავლისასა და შემწე-ყოფად მქონებელსა ძალისა ვერ კმა-საყოფელისასა და კურნებად არა მნებებელსა სწულებისასა და რომელსამე თავით თვსით და რომელსამე სხუათა მიერ მოზ-ოვნებად და ყოველსავე სახიერისა მიერ მიღე-ბად და ჩუენდა მომართ მოწვენად. ოინაჲცა ნუ

დაშურები ქველის-მოქმედებად კაცისა მეგობრისა შენისა, რამეთუ ხედავ, ვითარ-ესე ჩუენ-ცა მოცემულები იგი ჩუენდა მღდელთ-მთავრო-ბითები სიტყუები არცა ერთი რაჲ თავთა ოდენ ჩუენთა შინა შეგვწყუდევიეს.

სრამედ უსაეჭოდ და შეურევენელად გარდ-მოგვცემიეს და გარდმოგვცემთ თქუენცა და სხ-უათა წმიდათა და ღირსთა კაცთა, რაოდენსა რას ჩუენცა კმა ვართ სიტყუად, და რომლი-თა მეტყუელნიცა და მსმენელნი არარაჲთ უს-ამართლოებდენ გარეგან წესთა მოცემულთა, ამათგანი არარაჲ დაგვფარავს, გარნა თუ სად-მე გულისწმის-ყოფასა ანუ თარგმანებასა მათსა ზედა მოუძღურებულ ვიყვნეთ; არამედ ესენი, ვითარცა იმერთსა საყუარელ უჩნან, ესრეთ იპყრობებოდედ და ითქუმოდედ. ოა ესე იყავნ ჩუენ მიერ საცნაურთა მათ იმრთის სახელებთა დასასრული, რაჲთა მე წინაძლომითა იმრთისაჲ-თა სახის-შემოღებითისა იმრთის-მეტყუელები-სა მიმართ მივიცვალო.

